2022 წელს ფულადი გზავნილები საზღვარგარეთიდან გახდა ყველაზე დიდი სავალუტო ნაკადი დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში. მათ გადააჭარბეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, პორტფელის ინვესტიციებისა და სახელმწიფო საგარეო დახმარების მოცულობას. შრომითი მიგრანტები (მუდმივი, სეზონური) თავად პოულობენ დასაქმების შესაძლებლობებს, თავად ქმნიან კომპანიებს, შოულობენ ფულს და შემოსავლის ნაწილს უგზავნიან ოჯახებს სახლში. ასეთი დეცენტრალიზებული ხალხის ეკონომიკური პარტნიორობა ძალიან ღირებულია. საზღვარგარეთ მომუშავე ქართველები, იღებენ არა მხოლოდ ფულს, არამედ ცოდნას, კავშირებს, ნოუ-ჰაუსს, მართვის უნარებს და კაპიტალის სხვა ფორმებს, რომელთა ინვესტიცია გარკვეულ პირობებში შეუძლიათ მშობლიურ ქვეყანაში. ჩატარებული ფართომასშტაბიანი სოციოლოგიური გამოკვლევით გამოვლინდა, რომ მსოფლიო შრომის ბაზარზე ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობა, საერთაშორისო შრომითი მიგრაციის მეშვეობით, საქართველოსთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. არალეგალური შრომითი მიგრაცია საფრთხეს წარმოადგენს, როგორც ცალკე-

ული ინდივიდისთვის, ასევე გამგზავნი და მიმღები ქვეყნისთვის. ამიტომ, საჭიროა გონივრული ღონისძიებების გატარება შრომის ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა, რაც შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერებას მოითხოვს. მნიშვნელოვანია მსოფლიო თანამეგობრობის, განსაკუთრებით საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნებთან შესაბამისი თანამშრომლობის დამყარება, ლეგალური შრომითი და ცირკულარული მიგრაციის განვითარებისთვის. დღეს ქართველების მხარდაჭერის ყველაზე ღირებული ფორმა განვითარებულ ქვეყნებში, პირველ რიგში, ევროკავშირში, აშშ-ში, კანადაში, ბრიტანეთში და ა. შ., არის შემდეგი გადაწყვეტილებების მიღება: ქართველებისა და ადგილობრივი მოქალაქეების სტატუსის გათანაბრება მათ შრომით ბაზარზე; შრომის ბაზარზე შესვლის პროცედურის მაქსიმალური გამარტივება, ღირებულების შემცირება; დროებით დასაქმებულ ქვეყანაში ანგარიშების გახსნის, შიდა და გარე გადახდების შეუფერხებელი უფლების მინიჭება; დროებით საცხოვრებელ ქვეყანაში ფულადი შემოსავლის გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლება.

საქართველოს ეკონომიკა სწრაფად ინტეგრირდება მსოფლიო ეკონომიკაში. ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის დინამიკა წარმოადგენს ეკონომიკური ინტეგრაციის უმთავრეს დეტერმინატებს. ბოლო შვიდ წელიწადში, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, ევროკავშირის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში და სავაჭრო ბრუნვაში, ასევე, მთავარი სავაჭრო პარტნიორების კომპოზიცია, მხოლოდ მცირედით შეიცვალა. ამასთან, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა თითქმის უცვლელია და მხოლოდ მცირე რაოდენობის ახალი პროდუქცია დაემატა ტრადიციულ საექსპორტო პროდუქციას. ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული ინვესტიციების დინამიკაში მნიშვნელოვან პოზიტიურ ცვლილებებს ადგილი არ ქონია. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების, მათ შორის DCFTA-ს განხორციელების ეფექტიანობის ამაღლება, საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის დონის მნიშვნელოვანი ზრდა.

საქართველოს მონაწილეობა ტექნოლოგიების და ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო ბაზარზე ხასიათდება სმარტფონებისა და ინტერნეტის საბაზრო შეღწევადობის მაჩვენებლებით, რომლებიც 2021 წლის მონაცემებით, 84% და 86%-ს შეადგენს. ამ მაჩვენებლით, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. საქართველოში განვითარებულია საბანკო ინდუსტრია, რომლებიც რეგიონში ქმნიან საუკეთესო ინოვაციურ სერვისებსა და პროდუქტებს, რაც ავითარებს ბიზნესსა და ეკონომიკას. საქართველოში არსებობს „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, რომლის მისიაცაა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარებისათვის საჭირო ეკოსისტემის ფორმირება, ინოვაციების და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ექსპორტის ზრდისთვის საჭირო გარემოს შექმნა, ინოვაციისა და ცოდნის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება ეკონომიკის ყველა დარგში.

საერთაშორისო ციფრული კონკურენციის ინდექსი კარგი მაჩვენებელია საქართველოს პოზიციის შესაფასებლად ციფრული კონკურენტუნარიანობის მიხედვით. ციფრული ეკონომიკა არის ეკონომიკური აქტივობა, რომელიც გამოწვეულია მილიარდობით ყოველდღიური ონლაინ კავშირებით ადამიანებს, ბიზნესს, მოწყობილობებს, მონაცემებსა და პროცესებს შორის. ციფრული ეკონომიკის ხერხე-



მალი არის კავშირი, რაც გულისხმობს ადამიანების, ორგანიზაციებისა და მანქანების მზარდ ურთიერთკავშირს, რაც გამოწვეულია ინტერნეტითა და მობილური ტექნოლოგიებით. ციფრული ეკონომიკა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ხელოვნური ინტელექტი, კრიპტოვალუტა, ონლაინ ვაჭრობა, მომსახურება და სხვა. აღსანიშნავია, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში, კიდევ უფრო მეტად გაესვა ხაზი ციფრული ეკონომიკის მნიშვნელობას, გამოჩნდა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა. თუმცა, ციფრული კონკურენტუნარიანობის ინდექსის 64 ქვეყანაში ვერ მოხვდა საქართველო. ინდექსი აჩვენებს რომ მაღალი ციფრული კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: აშშ, ჰონგ კონგი, შვედეთი, დანია, სინგაპური. აღნიშნული ქვეყნები იკავებენ მოწინავე პოზიციებს რეიტინგში, როგორც 2020, ასევე 2021 წელს.

### დასკვნა

საქართველო, წარმატებითაა ჩართული მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში. ქვეყანა ზრდის საექსპორტო პოტენციალს, აფართოებს ეკონომიკურ თანამშრომლობას მსოფლიოს ქვეყნებთან, ამყარებს ურთიერთხელსაყრელ ურთიერთობებს ყველა სფეროში აშშ-სთან, ევროკავშირთან, აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკებთან, ახლო აღმოსავლეთის, ყაზახეთის და შუა აზიის სხვა რესპუბლიკებთან, რუსეთის ფედერაციასთან, ჩინეთთან, ევროპის ქვეყნებთან, იაპონიასთან, სრულიად მსოფლიო თანამეგობრობასთან. მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს ევროპული ინტეგრაცია. ამ მოკლე დროში ქვეყნის პრიორიტეტს წარმოადგენს კანდიდატის სტატუსის მიღება და კიდევ უფრო დაახლოება ევროკავშირის წევრობასთან.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს მონაწილეობის სისტემური ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ არსებული გამოწვევები და მისი დაძლევის გზები, რისთვისაც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ყველა სფერო მნიშვნელოვანია. საქართველოს განვითარებას უნდა განსაზღვრავდეს, სად არის საქართველო და საით მიემართება მისი სამომავლო განვითარება, რა არის პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი სუვერენული სახელმწიფოსთვის, როგორია ქვეყნის ინტეგრაცია მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებთან, განვითარების საგარეო ორიენტირები, რა წარმატებებს ვაღწევთ ქვეყნის მოქალაქეების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ამაღლების მუდმივ და მდგრად უზრუნველყოფაში. ამ ამოცანების გადაჭრა, დროის მოთხოვნის შესაბამისი პრიორიტეტების განხორციელებით შეიძლება, რასაც საქართველოს ხელისუფლება უწყევად მიჰყვება. ამის მნიშვნელოვანი დადასტურებაა 2022 წლის 17 დეკემბერს, ხელმოწერილი „მემორანდუმი აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოს, რუმინეთის და უნგრეთის მთავრობებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ მწვანე ენერჯის განვითარებისა და გადაცემის სფეროში“, რომელსაც რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში მოეწერა ხელი. ეს საუკუნის პროექტი საქართველოს ეკონომიკის განვითარების უპრეცედენტო შესაძლებლობებს ქმნის.

ლოჯისტიკური მომსახურების ბაზრის განვითარება საქართველოს საშუალებას მისცემს სრულად გამოიყენოს თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული პოზიცია და გაზარდოს ბუნებრივი რესურსების, ნავთობის, ბუნებრივი აირის, საქონლის ნაკადების ტრანზიტის გაზრდილი შესაძლებლობები ქვეყნის გავლით. საჭიროა ინფრასტრუქტურის, პორტების, სატრანსპორტო მომსახურების განვითარების, ენერ-

გეტიკული, ინფორმაციული ჰაბის შექმნის ხელშეწყობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სავალუტო შემოსავლის ზრდა.

მსოფლიო შრომის ბაზარზე ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობა, საერთაშორისო შრომითი მიგრაციის მეშვეობით, საქართველოსთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. არალეგალური შრომითი მიგრაცია საფრთხეს წარმოადგენს, როგორც ცალკეული ინდივიდისთვის, ასევე გამგზავნი და მიმღები ქვეყნისთვის. ამიტომ, საჭიროა გონივრული ღონისძიებების გატარება შრომის ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა, რაც შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერებას მოითხოვს. მნიშვნელოვანია მსოფლიო თანამეგობრობის, განსაკუთრებით საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნებთან შესაბამისი თანამშრომლობის დამყარება, ლეგალური შრომითი და ცირკულარული მიგრაციის განვითარებისთვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

**აბესაძე რ. (2020).** საქართველოს ინოვაციური პოლიტიკა და სისტემა. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XIII. თბილისი, გვ.10–46. ელექტრონული რესურსი:

<https://www.pgie.tsu.ge/contentimage/xxxx/shr.kreb.2020.pdf>

**აბესაძე რ. (2022).** საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები DOI:

10.36172/EKONOMISTI.2022.XVIII.02.RAMAZ.ABESADZE“ეკონომისტი”, “*Ekonomisti*” #2, გვ. 22-30.

**ბურდული ვ. (2020).** საქართველოში ინოვაციების გავრცელების სექტორული და რეგიონული პრობლემები. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XIII. თბილისი, გვ. 98–179. ელექტრონული რესურსი: <https://www.pgie.tsu.ge/contentimage/xxxx/shr.kreb.2020.pdf>

**მალრაძე ზ. (2022).** ახალი ფორმატის აბრეშუმის გზა. <https://tv9news.ge/ka/akhali-ambebi/garthoba/article/31730>

**მალრაძე ზ., (2022).** საქართველოსკენ დიდი ქარავნები დაიძრება. <https://tbilisipost.ge/news/zurab-maghradze---saqartvelosken-didi-qaravnebi-daidzreba/6351>

**მალრაძე ზ., (2022).** "ვინც მოისმენს, ის მოიგებს" - მალე, საქართველოს წლიურად \$35 ტრილიონის ტვირთები მოადგება, გვინდა, რომ ფული დარჩეს პირველ რიგში ქართველ ხალხს? <https://tbilisipost.ge/news/zurab-maghradze-vin-moismens-is-moigeb---male-saqartvelos-tslirad-35-trilionis-tvirtebi-moadgeba-gvinda-rom-fuli-darches-pirvel-rigshi-qartvel-khalkhs-/6248>

**პაპავა ვ. (2001).** „საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია.“ სოციალური ეკონომიკა, N 5.

**პაპავა ვ. (2017).** “ერთი სარტყელი – ერთი გზის ინიციატივა” და საქართველო. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.

**ტალიკაძე ნ., (2022).** სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა - უახლესი ტენდენციები ციფრებში. [https://idfi.ge/ge/food\\_security\\_latest\\_trends\\_in\\_numbers](https://idfi.ge/ge/food_security_latest_trends_in_numbers)

**უკლება მ., ციხელაშვილი მ. (2022).** სამხრეთ კავკასია საგარეო ვაჭრობის განზომილებებში. <https://di.gov.ge/publications/analytical-papers/samkhreth-kavkasia-sagareo-vatcrobis-ganzomilebashi-mikheil-ukleba-da-mamuka-cikhelashvili/>

- უკლება მ., ციხელაშვილი მ., თავაძე ნ. (2022). სამხრეთ კავკასია გლობალურ მონაცემთა რაკურსში – ინდექსები, რეიტინგები.  
<https://di.gov.ge/publications/analytical-papers/samkhreth-kavkasia-globalur-monacemtha-rakursshi-indeqsebi-reitingebi-mikheil-ukl-+eba-mamuka-cikhelashvili-nukri-thavadze/>
- ღაღანიძე გ. (2018). საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 149 გვ.
- შენგელია თ., (2022). სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება COVID-19 პანდემიის პირობებში. შრომების კრებული, გვ. 363–370.
- ხუსკივაძე მ. (2020). საქართველოს ეკონომიკის რესურსული უზრუნველყოფა თანამედროვე ეტაპზე. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XIII. თბილისი, გვ. 271–292. ელექტრონული რესურსი: <https://www.pgie.tsu.ge/contentimage/xxxx/shr.kreb.2020.pdf>
- ჯიბუტი მ. (2022). საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გამოწვევები. შრომების კრებული, გვ. 477–482.
- Aslamazishvili, N. (2021). Pandemic and Recent Trends in Balance of Payments: The Case of Georgia. *Globalization and Business*. 12, 94-102. <https://doi.org/10.35945/gb.2021.12.013>
- Aslamazishvili N. (2020). Georgia in the World of Coronomics: Threats and Challenges. *Globalization and Business*. 10, 94-102. <https://doi.org/10.35945/gb.2020.10.012>
- Bedianashvili G. (2022). The COVID-19 Pandemic, Globalization and the Socio-Economic System of the Country (Macro Aspect). *Proceedings*, p.38–42.
- Eteria, E. (2019). Georgia’s Trade Performance in the Light of EU-Georgia Deep and Comprehensive Free Trade Area, *Ecoforum Journal*, 8(2/19).
- Eteria, E. (2022). Economic Dimension of the EU-Georgia Association Agreement: Theory and Practical Implications. “*Ekonomisti*”. N 1, VOLUME XVIII. P. 69-80.
- Castles S. Miller. (2020). The Age of Migration. *International Population Movement in the Modern World*. Washington. 2020.
- Danelia I. (2021). Impact of COVID-19 on Container Shipping Industry Case of Georgia. DOI: [10.13140/RG.2.2.27147.00807](https://doi.org/10.13140/RG.2.2.27147.00807) Conference: Container Transportation in Georgia: market, claims and freight issues. [https://www.researchgate.net/publication/354316469\\_Impact\\_of\\_COVID19\\_on\\_Container\\_Shipping\\_Industry\\_Case\\_of\\_Georgia](https://www.researchgate.net/publication/354316469_Impact_of_COVID19_on_Container_Shipping_Industry_Case_of_Georgia)
- Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016). European Values: What Can We Implement from Them and How Can We Implement Them in Georgia. *Globalization & Business*. (1). 40-46. (In Georgian).
- Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016). Values: Limits and Contradictions. *Globalization & Business*, (1). 35-39. (In Georgian).
- Putkaradze R. (2019). Georgia in the European Union's Eastern Partnership Countries: Historical Aspects and Challenges. *Journal, Ecoforum Journal*. Volume 8, Issue 1(18).
- Papava V. (2020). Becoming european: challenges for Georgia in the twenty-first century. *iUniverse*. Bloomington.
- Papava V. (2020). Georgia’s european way during the period of pandemic deglobalization. *Rondeli Blog*, August 6, <https://gfsis.org.ge/blog/view/1091>.
- Shengelia, T., Berishvili, K., & Jganjgava, K. (2022). IMPROVING THE METHODOLOGY OF MEASURING SOCIAL CAPITAL IN INTERNATIONAL COMPANIES. *Sciences of Europe*, (97), 15-18.

**Silagdze A. (2022).** Economics Contemporary Global Economic Trends: Transitional Economies during Covid-Depression. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 16, no. 3, p. 130–135.

**Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022a).** On State Intervention in the Economy through the Budget in Georgia. *WORLD ECONOMY AND INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS. - International Scientific Collection - Vol. 5.* Kyiv – CUL. <https://doi.org/10.5281/zenodo.5807500>.

**Veshapidze, S., Otinashvili, R., Gvarutsidze, A., Abuselidze, G., Zoidze G. (2022).** "Modern technologies to overcome the challenges of globalization". Entrepreneurship. Volume: 10, Number: 2. <https://www.ceeol.com/search/article-detail?id=1074987>

**Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022).** Value choices of the community in the context of the covid-19 pandemic (საზოგადოების ღირებულებითი არჩევანი კოვიდ-19 პანდემიის პირობებში) URI: <http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1405>

**Zubiashvili, T., Veshapidze, Sh.** Labor Emigration and Employment in Georgia. (Co-authorship). Humanities and Social Sciences Review, Volume 09, Number 01, 2019, USA. pp.127-136. <http://www.universitypublications.net/hssr/0901/html/E9X94.xml>

**Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022)** *The Modern Economy and Values*. Publisher Cambridge Scholars Publishing

**Shota Veshapidze**

*Doctor of Economic Sciences, Associate Professor  
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University;*

**Ramaz Putkatadze**

*Doctor of Economics, Associate Professor  
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS OF GEORGIA AT THE MODERN STAGE OF GLOBALIZATION

DOI: [10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.01.SHOTA.VESHAPIDZE.RAMAZ.PUTKARADZE](https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.01.SHOTA.VESHAPIDZE.RAMAZ.PUTKARADZE)

### Expanded Summary

In the presented article, the field of interest of scientific research is the identification and determination of the results and perspectives of Georgia's participation in international economic relations. The interest in the research topic is due to the fact that the level of economic development of Georgia is significantly dependent on the quality of relations with the rest of the world and international economic unions.

International economic relations are an important factor of the country's sustainable development, which contributes to the acceleration of scientific and technological progress, the rational use of natural resources, the globalization of the world economy, the sharing of international production experience, the accelerated development of international trade in goods and services, the free movement of capital and people. The purpose of the research is an in-depth examination of the results and perspectives of Georgia's participation in international economic relations. Its essence is expressed in the participation of Georgia in the trade of goods, services and technologies, it is also important to cover the aspects of the international movement of labor and capital, integration with the countries of the world, digitalization of the economy.

The subject of the research is the evaluation of the results of international economic relations of Georgia. In particular, the analysis of what results the proximity to the international

community and the involvement in the world economy have brought to the country, as well as what opportunities can be seen in the future.

The object of the research project is the international economic relations of Georgia formed at the modern stage of globalization, the mechanisms of regulation of foreign trade of Georgia, the priority directions of transport and logistics services of Georgia in the world market, the participation of Georgia in the international migration of capital and labor and international economic integration.

The research has the character of both quantitative and mostly qualitative research, which is based on both Georgian and foreign scientific publications, reports of international economic organizations and other sources about the development of international economic relations of Georgia. In particular, the research is based on: United Nations and international organizations documents, reports, researches; Georgian policy documents, development strategies; relevant laws and regulations; sociological research materials and others. The research will be carried out on the basis of deduction, induction, analysis and synthesis, based on an in-depth analysis of the results and perspectives of international economic relations of Georgia. Among the theoretical and empirical research methods used in the process of working on the research project, the desk research and field research methods are worth mentioning. Desk research includes the analysis of relevant statistics, articles, letters, policy documents, institutions, legislation etc. Field research includes both quantitative and qualitative sociological surveys.

In today's conditions, the global economy has entered a new era of national security. The COVID-19 pandemic has made clear the vulnerability caused by the extreme dependence on global supply chains and the lack of coordination to combat global health risks. But what has most informed this new era is Russia's unprovoked invasion of Ukraine, sabotage of the world economy, food wars, and energy wars. In addition to the human and economic losses, the war in Ukraine has sharply intensified the rift between the Western and Eastern geopolitical blocs, gathered around the United States and China, respectively.

In the modern world, the economic development of any country depends on both domestic and foreign factors. Therefore, in the conditions of modern socio-economic development, international economic relations are one of the most important factors of sustainable development of Georgia. It contributes to the acceleration of scientific and technological progress, the rational use of natural resources, the globalization of the world economy, the exchange of industrial experience, the accelerated development of international economic relations and world trade in goods and services.

The main goal of the development of the world economy is the maximum use of the advantages of the joint economic potential of the world community. At the same time, it is necessary to realize that countries play different roles in this process, and the international importance of any country or its individual region is based on existing natural resources, the dynamics of economic development, its place in the world system of production of goods and services, and the existence of financial resources, its availability.

Georgia is successfully involved in the world economic community, increases its export potential, expands economic cooperation with the countries of the world, establishes mutually beneficial relations with the USA, the European Union, the Republics of Azerbaijan and Armenia, the Middle East, Kazakhstan and other Central Asian republics, the Russian Federation, China, European countries, with Japan, with the entire world community, which is a set of interacting entities for the purpose of regulating international relations.

Systematic understanding of international economic relations is necessary for Georgia's integration into the world economic community. Therefore, it is important to find out the accompanying trends of the global processes of the modern world economic space and their impact on our country.

It is important to assess where the future development of the sovereign state of Georgia is headed, in what ways the safety and well-being of our citizens can be ensured, what

are its priorities, what are the external orientations of the country's development. In this context, the European integration of Georgia is an important issue. In this short time, the priority of the country is to get the candidate status and get even closer to the EU membership.

The news of the article is next. Overcoming the world global economic crisis of 2007-2008 at low rates, which is manifested by the slowing down of the growth rate of world trade, by reducing the flows of direct foreign investments, first of all, in developing market countries, means that new tendencies in the development of international economic relations have emerged. It concerns the international movement of factors of production, new tendencies in the international movement of capital and labor, as well as changes in the international market of intellectual property.

The globalization of the economy is significantly influenced by the development of the digital economy, which depicts the impact of digitalization on each form of international economic relations. Based on the analysis of the official documents of the international organizations, the tendency of expanding the digital economy and overcoming the digital inequality in the 21st century is intersected.

**Key words:** globalization of the economy, rational use of resources, international trade, free movement of capital and people, logistic hub, regional economic integration.

**ინკლუზიური ეკონომიკა – INCLUSIVE ECONOMY**

*პაატა კოღუაშვილი  
სტუ პროფესორი;  
დავით მამუკელაშვილი  
სტუ ასოც. პროფესორი*

**ინკლუზიური სამეწარმეო განვითარების რეფორმის ძირითადი  
მიმართულებები საქართველოში**

DOI: [10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.01.PAATA.KOGUASHVILI.DAVIT.MANUKELASHVILI](https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.01.PAATA.KOGUASHVILI.DAVIT.MANUKELASHVILI)

**ანოტაცია.** აუცილებელია ფუნდამენტურად განსხვავებული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რომელიც ორიენტირებული იქნება რეგიონების მოსახლეობის უმრავლესობის, ანუ მცირემიწიანი და დაბალშემოსავლიანი მეურნეების ინტერესების დაცვაზე, ქვეყნის განვითარებაში მათი პრიორიტული როლის აღიარებაზე და ისეთი მოდელების შექმნაზე, რომელიც გახსნის პიროვნების თავისუფალი განვითარების ყველა შესაძლებლობას. გამძაფრებულ სოციალურ პრობლემებთან პირდაპირ კავშირში მყოფი ეს პრობლემა ვერ მოაგვარა საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ, რაც მნიშვნელოვანწილად გახდა მათი ეკონომიკური პოლიტიკის დაბალეფექტიანობისა და, ზოგადად, წარუმატებლობის მიზეზი.

**საკვანძო სიტყვები:** ინკლუზიური, ინტეგრაცია, სათემო კოოპერაცია, აგროსაკრედიტო ბანკი, პარადიგმა, უთანასწორობა, ინდიკატორი.

**შესავალი**

დღეს ქართული სოფელი, წლების განმავლობაში უდიერი დამოკიდებულების და არასწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გამო, უაღრესად დაკნინებულია. სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იმყოფება უკიდურეს გაჭირვებაში და არ გააჩნია არათუ სამეწარმეო განვითარების შესაძლებლობა, არამედ გაჭირვებით ახერხებენ ყოველდღიურად თავის გატანას. ამ გარემოებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მცირემიწიანობის პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოს მთავრობამ გააკეთა დეკლარირება სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტულობის შესახებ, ეს მიდგომა არ აისახა მოსახლეობის მდგომარეობაზე. 2019 წელს საქართველოში მოიხნა მხოლოდ 210 ათასი ჰექტარი სავარგული, მაშინ როდესაც 1999 წელს იხვენბოდა 600 ათასი, 1989 წელს კი 840 ათასი. რაც მთავარია, საშემოდგომო და საგაზაფხულო ნათესი ფართობები იმაზე მცირეა, ვიდრე თუნდაც 10-15 წლის წინ, როცა სოფლის მეურნეობა პრაქტიკულად არ ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 2018-2020 წლებში აგრარული სექტორის ერთგვარი გამოცოცხლების შემდეგ, 2021 წელს კვლავ ვარდნა დაფიქსირდა, შრომის მწარმოებლურობა ამ დარგში ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით ჯერადად დაბალია. ამასთან, მიუხედავად მრავალმილიონიანი სახელმწიფო სახსრების აგრარულ სექტორში განთავსებისა, საქართველო კვლავ ძალიან სუსტია სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით, ანუ კვების პროდუქტებზე ფასები პერმანენტულად იზრდება, საკვები პროდუქტების თითქმის 80% იმპორტირებულია და მხოლოდ ბოლო ხუთ წელი-

წადში (2017-2021 წწ.) სურსათის ექსპორტ-იმპორტში უარყოფითმა სალდომ 1639.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ეს 1.7-ჯერ აღემატება იმავე პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულების საშუალო წლიურ მოცულობას (962.9 მლნ. აშშ დოლარი). ასეთ პირობებში ამ რთული და არაერთგვაროვანი სისტემის კრიზისიდან გამოყვანა, შესაბამისი დაცვითი მექანიზმებისა და დახმარების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. უახლოეს პერიოდში, არსებული და მოსალოდნელი კიდევ უფრო ღრმა ეკონომიკური და სოციალური კრიზისიდან გამომდინარე, იქმნება იძულებითი მდგომარეობა, ვუპასუხოთ გამოწვევებს საკვები პროდუქტების დეფიციტთან და აგვლაციასთან დაკავშირებით, რაც უნდა გახდეს განვითარების სტრატეგიული გეგმის ნაწილი.

**ეკონომიკური პოლიტიკის რეტროსპექტივა.** გასული საუკუნის 80–90-იანი წლების ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც სახელმწიფო მონოპოლიზმის ატროფირებული ბიუროკრატიულ-მმართველობითი ჭაობის წიაღიდან გამოვიდა, პრაქტიკულად არაფერი იღონა სოციალური უთანასწორობის შესამცირებლად; უფრო მეტიც, სრულ იგნორირებას უკეთებდა მას და არც კი განიხილავდა, როგორც ქვეყნის განვითარების შემაფერხებელ მნიშვნელოვან ფაქტორს. არსებულმა რეალობამ უკვე გაუკეთა ანალიზი და შეფასება თანამედროვე წარმოებით ურთიერთობაში არსებულ წინააღმდეგობებს. მან კაპიტალისა და მიწათმფლობელობის მზარდი კონცენტრაციის ტენდენციურობა და შრომის დანაწილებაში არსებული ფორმის დამრღვევი მოქმედება განსაზღვრა როგორც წვრილი მიწის მესაკუთრეების განადგურების, სიდატაკის, კრიზისების, მატერიალური დოვლათის განაწილებაში აღმამფოთებელი უთანაბრობის, ზნე-ჩვეულებათა და ოჯახურ ურთიერთობათა რღვევის და გაძლიერებული მიგრაციის მთავარი ფაქტორი.

გლობალიზაცია ქმნის პირობებს იმისათვის, რომ პროცესები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა განვითარებულ ქვეყნებში, სხვა, შედარებით ჩამორჩენილ სახელმწიფოებში უფრო სწრაფად წარიმართოს. პატარა სახელმწიფოებს, რომლებიც საკუთარ განვითარებას უკავშირებენ მსოფლიო დინამიზმის გლობალურ კანონზომიერებებს, დამოუკიდებლად უხდებათ დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის პრობლემების დაძლევის პოლიტიკის შემუშავება. ქვეყანა ვალდებულია შეიმუშაოს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება არა მარტო მსოფლიო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, არამედ ქვეყანაში სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზეც. საქართველოში და მის მსგავს ქვეყნებში, დგას დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის შეფარდებითი გამოცალკევების პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც უშუალოდ ხელისუფლების ძალისხმევას უკავშირდება.

სახელმწიფო ხელისუფლება წარმოადგენს იმ რეალურ ძალას, რომელიც ეკონომიკურ კანონზომიერებებზე ახდენს გავლენას მაკროეკონომიკურ გარემოში და უქმნის საკუთარ ქვეყანას განვითარების სპეციფიკურ პირობებს – აჩქარებს წინსვლას ან აფერხებს მას.

ეკონომიკური განვითარება პრინციპულად განსხვავებული და გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკური ზრდის მოდელისგან განსხვავებით, ეკონომიკური განვითარების მოდელი პრაქტიკულად წარმოადგენს „სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკურ“ მოდელს და განისაზღვრება არა მარტო მშპ-ის დონით მოსახლეობის ერთ სულზე, არამედ აჩვენებს თუ რა გავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდას უშუალოდ მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ



**მდგომარეობაზე, როგორია ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონის ცვლილების დინამიკა.**

არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში ქვეყანას მოკლე ან საშუალოვადიან პერიოდში შეიძლება ჰქონდეს მშპ-ის შედარებით მაღალი დონე, მაგრამ მისი ზრდის ეფექტი აისახებოდა მხოლოდ ოლიგარქებისა და პოლიტიკოსების საბანკო ანგარიშებზე. საქართველოში ეკონომიკის **ინკლუზიურობის იდეა**, თუ უმუშევრობისა და სიღარიბის, აგრეთვე შემოსავლების უთანაბრობის მაღალ დონეს გავითვალისწინებთ, ფაქტობრივად, სასურველობის ფორმატს არც გასცილება.

გლობალური განვითარების საერთო ტენდენციებიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე კანონზომიერების დაკვირვება და მოქმედების სათანადო რეკომენდაციების შემუშავება. ამ მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ იქნა „ანგარიშთა ერთიანი სისტემა“, რომლის მეშვეობით ყველა ქვეყანა ამუშავებს ეროვნულ სტატისტიკურ მაჩვენებლებს და აქვეყნებს მათ. ქვეყანათა რეიტინგს საფუძვლად დაედო „ადამიანის განვითარების“ ინდექსი, რომელიც წარმოადგენს მთლიან შიდა პროდუქტს მოსახლეობის ერთ სულზე, შეწონილს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასა და მოსახლეობის განათლების დონესთან. მართალია, იგი ვერ ცვლის მთლიან შიდა პროდუქტს, რომელიც რჩება, როგორც ეკონომიკური ზრდის მთავარი ინდიკატორი, მაგრამ ქმნის სრულ წარმოდგენას მოსახლეობის ინკლუზიური განვითარების აქტივობებზე. [1] საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოსთვის, სადაც მოსახლეობის თითქმის 70% გაჭირვებაში ცხოვრობს და საიდანაც 30% სიღარიბის ზღვარს მიღმაა, არამედ მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვისაც. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ საქართველოში ღარიბები შიმშილობენ, ხოლო, მაგ., აშშ-ის ღარიბების საარსებო მინიმუმი თვეში 902,5 აშშ დოლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ერთ სულზე მოხმარებული კალორიების რაოდენობით საქართველოს (2835 კკალ) ყველა მისი სახმელეთო მეზობელი საგრძნობლად უსწრებს: სომხეთი – 5.7%-ით, აზერბაიჯანი – 11.1%-ით, რუსეთი – 18.0%-ით და თურქეთი – 30.9%-ით. აღნიშნული ვითარება, საშემოსავლო, ქონებრივ და სამომხმარებლო დიფერენციაციის საარაკოდ მაღალ დონესთან კავშირში, სიღარიბისა და შიმშილის პრობლემას სოციალურ-ეკონომიკურზე არანაკლებად (თუ მეტად არა) პოლიტიკურ დატვირთვას სძენს.

გასული საუკუნის 60–90-იან წლებში ეკონომიკური პოლიტიკა ახლოს იდგა „ვაშინგტონის კონსენსუსის“ სახელით ცნობილ პარადიგმასთან, რაც გულისხმობს მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას და მასშტაბური ინფლაციის კონტროლს პროექტების განხორციელებით კერძო ინვესტიციების გააქტიურებას, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ეკონომიკური ზრდა და, თავის მხრივ, საბოლოოდ მიგვიყვანდა უთანასწორობის პრობლემის დამლევამდეც. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეკონომიკური ზრდის პარალელურად სიღარიბე და უთანასწორობა არ მცირდებოდა, ხოლო ასეთი ვითარება ხელს უშლიდა გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. 90-იან წლებში „ვაშინგტონის კონსენსუსის“ ლოგიკამ, მისი შედეგებიდან გამომდინარე, დომინანტის ფუნქცია დაკარგა და თანდათან გამოეთიშა მსოფლიო ბანკის ეკონომიკურ პოლიტიკას, სადაც დღეს ამკარად დომინირებს „ინკლუზიური ზრდის“ პარადიგმა. პროგრესული ეკონომიკური აზროვნება საბოლოოდ მივიდა იმ საყოველთაო აღიარებამდე, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, რეალურად ადამიანების პრაქტიკული განვითარების პროცესია, რომელშიც გადამწყვეტი როლი ადამიანის

პრაქტიკულ საქმიანობას და სოციალურ ურთიერთობებს ენიჭება, რაც საბოლოო ჯამში, შესაბამისი იდეოლოგიური საფუძვლების ფორმირებით გამოისახება. მსოფლიო ბანკის შეფასებით, ეკონომიკური ზრდა უდავოდ აუცილებელია სიღარიბის შესამცირებლად, მაგრამ იმისათვის რომ ზრდა იყოს მდგრადი, მან უნდა უზრუნველყოს სამუშაო ძალის ფართო ჩართულობა ზრდის პროცესში და უთანასწორობის შემცირება.

საბოლოოდ დადასტურდა, რომ სოციალური უთანასწორობა საფრთხეს უქმნის ეკონომიკური ზრდის პროცესს, რამაც განაპირობა ინკლუზიური ზრდის პარადიგმის გააქტიურება. ინკლუზიური ზრდა მიზანშეწონილად მიიჩნევა ისეთ სოციალურ პოლიტიკას, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდამი წარმოების ფაქტორთა ფართო ჩართულობას და ემიჯნება ე.წ. „კალდორ-ჰიკსის“ ლოგიკას, რომლის მიხედვით მთავარია ეკონომიკური ზრდა და შემდეგ ზრდის რედისტრიბუცია სოციალური უზრუნველყოფის გზით. ინკლუზიური ზრდა უზრუნველყოფს გადასანაწილებელი ხარჯების შემცირებას და ბიუჯეტის მდგრადობას სოციალური ხარჯების შემცირებით, ხოლო სოციალურ უზრუნველყოფაზე ორიენტირებული ბიუჯეტი კი ეფუძნება სიღარიბის დაძლევის პოლიტიკას გადანაწილების გზით და არა პროდუქტიული დასაქმების ხელშეწყობით, რაც ვერანაირად ვერ გახდება ინკლუზიური ზრდის მეინსტრიმი. ინკლუზიური ზრდის შეფასება მოითხოვს კომპლექსურ ინდიკატორთა კრებულს და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია (წარდგენილი იყო დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე 2015 წელს) შეიძლება მიჩნეული იქნეს ერთ-ერთ საუკეთესოდ ამ კუთხით. ინკლუზიური ზრდის მიზანი პროდუქტიული დასაქმების ხელშეწყობა და ამის ხარჯზე ეკონომიკური ზრდის მიღწევაა [1].

**აგრარული სექტორი.** სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე მნიშვნელოვანწილად გახდა ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელი და მაღალი სოციალური პოლარიზაციის საფუძველი, რაც, უპირველეს ყოვლისა, აისახება ჯინის (სოციალური უთანასწორობის) ინდექსში (0.40), რომელიც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდანაც კი ყველაზე მაღალია რუსეთის შემდეგ. ღარიბი მოსახლეობა და შესაბამისად ღარიბი ქვეყნები ღარიბებად რჩებიან, რასაც ძირითადად განაპირობებს ის გარემოება, რომ მცირე მეურნეების (რომლებიც დღეს საქართველოს სოფლის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ) დაბალი შემოსავლების პირობებში რესურსების დაზოგვა აღწარმოებისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან მთელი შემოსავალი გამოიყენება სამომხმარებლო მიზნით [2]. საქართველოში სოფლად ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიურმა ფულადმა შემოსავლებმა 2021 წელს მხოლოდ 1058.7 ლარი შეადგინა, რაც ამჟამინდელი სამომხმარებლო ფასების დონისა და კვების რაციონის გათვალისწინებით, შინამეურნეობის წევრთა რეალური საარსებო მინიმუმის მხოლოდ ნახევარს ფარავს. ბოლო მონაცემებით, მხოლოდ ნიადაგის დამუშავება (ხვნა, დაფრევა, დაფარცხვა, დათესვა...) ჰექტარზე უკვე 1200 ლარზე მეტი ჯდება. იმის გათვალისწინებით, რომ სოფლად ერთ შინამეურნეობაზე მოდის დაახლოებით 1.5 ჰა მიწის ნაკვეთი (მ.შ. შიდა ქართლში - 1.75 ჰა, ქვემო ქართლში - 1.81 ჰა, სამცხე-ჯავახეთში - 2.21 ჰა, კახეთში - 3.55 ჰა...), გამოდის, რომ მხოლოდ ნიადაგის დამუშავებაზე შინამეურნეობას სჭირდება საკუთარი წლიური ფულადი სახსრების დაახლოებით 1/6. ბუნებრივია, როდესაც შინამეურნეობის მიმდინარე, პირველი რიგის საარსებო მოთხოვნილებები სრულად ვერ კმაყოფილდება, სახსრების დაზოგვაზე საუბარი ვერ იქნება. შესაბამისად, თუ

დაზოგვა არ ხდება, მაშინ ინვესტირების რესურსებიც არ არსებობს. როდესაც აგრარულ მწარმოებელს (გლეხს, შინამეურნეს, ფერმერს...) არა აქვს ისეთი შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის საცხოვრისი პირობების კვლავწარმოებას, მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ბუნებრივია, არ რჩება სახსრები ინვესტირებისთვის, ასეთი მწარმოებელი რჩება აგრარული სექტორის განვითარების პოტენციალს მიღმა და ფაქტობრივად „დაკარგულია“ ქვეყნის ეკონომიკისთვის.

გარდა ამისა, სუსტია ეკონომიკის მონეტიზაცია, რაც ბაზრის დავიწროების კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენს. საქართველოში სიღარიბის გამო არ იქმნება კაპიტალი, რომელიც საკმარისი იქნება საინვესტიციო საქმიანობისათვის, მოსახლეობის არსებული შემოსავლები კი, როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, თავისი ოდენობით ვერ ქმნის საინვესტიციო კლიმატს. შედეგად, სიღარიბე ექცევა ჯადოსნურ წრეში, ხოლო სახელმწიფო ექცევა რუტინულ ტყვეობაში და მოკლებულია შესაძლებლობებს, დაძლიოს შექმნილი ვითარება [2].

**ამ პრობლემის მოგვარება, რაც პიდაპირ კავშირშია გამძაფრებული სოციალური პრობლემების მოგვარებასთან, ვერ შეძლო საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ, რაც მნიშვნელოვანწილად გახდა მათი ეკონომიკური პოლიტიკის დაბალეფექტიანობის და, ზოგადად, წარუმატებლობის მიზეზი.**

საქართველოსათვის არსებულ ისტორიულ პერიოდში უაღრესად მნიშვნელოვანია საწარმოო ურთიერთობათა ფორმის სწორი არჩევანი და მასზე დამყარებული პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური სისტემური ცვლილებები (რეფორმები), რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტურად განსხვავებულ მიდგომებზეა დაფუძნებული და გამოიწვევს მოსახლეობის შემოსავლების და ეროვნული პროდუქციის მოცულობის ინტენსიურ ზრდას, მასობრივ დასაქმებას და უზრუნველყოფს სამეწარმეო განვითარების გრძელვადიან პერიოდზე ორიენტირებული გარემოს ფორმირებას. ამ მხრივ აღმძრავ ღვედად სოფლის აღორძინება-განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის ფორმირება, იქ მოსახლეობის ცხოვრებისა და საქმიანობის პირობების არსებითი გაუმჯობესება (ურბანულის დონესთან გამოთანაბრება და/ან მაქსიმალური მიახლოება) უნდა იქცეს. დღეისათვის სოფლად, სადაც საქართველოს მოსახლეობის 40.3% ცხოვრობს, სიღარიბის დონე 1.6-2.2-ჯერ უფრო მაღალია ქალაქთან შედარებით.<sup>20</sup> ეს არ ეხება მხოლოდ აგრარული საქმიანობით დაკავებულ პირებს – უშუალოდ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია სოფლად დასაქმებულთა ნახევარზე ნაკლები – 247.3 ათასი პირი 508.2 ათასიდან (48.7%), დანარჩენი სოფლად არსებული საწარმოო-სამეურნეო, სოციალური ინფრასტრუქტურისა და ადმინისტრაციული ერთეულების თანამშრომლები არიან.

შექმნილი სიტუაციის დაძლევა მოითხოვს ინკლუზიური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ბრძოლას ახალ პოლიტიკას, რისთვისაც არსებულ პირობებში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ცალსახად განისაზღვროს - რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის უფრო ახლოს აგრარულ სექტორში

<sup>20</sup> 2021 წლის მიხედვით, მედიანური მოხმარების 60%-ის ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი შეადგენს: სოფლად - 24.7%-ს, ქალაქად - 15.0%-ს, საშუალოდ 18.9%-ს; მედიანური მოხმარების 40%-ის ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი, შესაბამისად, შეადგენს: 10.8%, 5.2% და 7.4% [3].

სახელმწიფოს სოციალურ და ეკონომიკურ მისიასთან და, შესაბამისად, რომელ მათგანს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი სახელმწიფო მხარდაჭერის თვალსაზრისით.

### **კოოპერაციის საერთაშორისო გამოცდილება**

სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მცირემიწიანობისა და დაბალშემოსავლიანობის პირობებში, ინკლუზიური სამეწარმეო გააქტიურების, მასობრივი დასაქმების, წარმოების ინტენსიური ზრდის, სიღარიბის დაძლევის, მიგრაციის შეჩერებისა და ადგილებზე გრძელვადიანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივის შექმნის რთული პროცესის განხორციელებაში, კოოპერაციის ინსტიტუტის კულტივირებას და განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რასაც ეკონომიკურ თვითმმართველობასთან ერთად, წარმოების მზარდი კონცენტრაციის ობიექტური აუცილებლობა განაპირობებს. თანამედროვე პირობებში მხოლოდ მასშტაბური წარმოებით არის შესაძლებელი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და მისი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების გარკვეული ნაწილის აკუმულირება აღწარმოების მიზნით, რის გარეშე სამეურნეო სისტემის განვითარება და თანმდევი ეფექტების მიღწევა შეუძლებელია. ამ მოდელის უპირატესობა მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებების კომპლექსურ ხასიათშია, რაც იძლევა საწარმოთა ფუნქციონირების ოპტიმალურთან მიახლოების ყველაზე კარგ შესაძლებლობას. აგრარულ მეურნეობათა კოოპერირება ობიექტური ეკონომიკური პროცესია, რასაც განაპირობებს საწარმოო ძალთა და წარმოებითი ურთიერთობების განუწყვეტელი სრულყოფის პროცესი და მოითხოვს მიწაზე ოპტიმალური სიდიდის შესაბამისი ორგანიზაციული ფორმის მეურნეობრიობის ტიპს.

**ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს შემდეგი საკითხების კატეგორიულად განსაზღვრას: არსებულ ეტაპზე სოფლის მოსახლეობის მიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა წარმოადგენს განსაკუთრებული აქტუალობის პრობლემას, მთავარ გამოწვევას და სახელმწიფო პოლიტიკა უპირატესად უნდა ეყრდნობოდეს სწორედ ამ მოცემულობას. დემოკრატიულმა ხელისუფლებამ უნდა შექმნას ორგანიზაციული და სამართლებრივი პირობები ისეთი სოციალურ-ეკონომიკური სისტემისთვის, რომელიც ჩაანაცვლებს არსებულ მახინჯ სამეწარმეო გარემოს. აუცილებელია, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების მსგავსად, ცალსახად განისაზღვროს მთავარი: სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესი წარმოადგენს მასშტაბურ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც პირველად ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში გამოიწვეულია უშუალოდ სოფლის მოსახლეობის და, საბოლოო ანგარიშით, მთელი საზოგადოების სასიკეთოდ. ხაზს ვუსვამთ: **სოფლის მოსახლეობის და არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირებისა და მათი ოჯახის წევრების საკეთილდღეოდ!****

საჭიროა სიღრმისეული ანალიზი, თუ საიდან იღებს სათავეს წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების დემოკრატიული პრინციპები და რა არის მისი საფუძველი. ნიშანდობლივია, რომ ამ ქვეყნებმა მწვავე კრიზისების დაძლევის და სწრაფი ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტულ მიმართულებად სწორედ კოოპერაციული სისტემის განვითარება მიიჩნიეს. თუ თვალს გადავავლებთ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას ამ კუთხით, დავინახავთ, რომ საერთო ჯამში ეკონომიკის ორგანიზაციული სტრუქტურა, საწარმოო და საკრედიტო-საფინანსო ურთიერთობები, ისევე როგორც დემოკრატიული ინსტიტუტები, იცვლებოდნენ განვითარების

ეტაპების მიხედვით, რაც ძირითადად უკავშირდებოდა სახელმწიფოს როლის გაძლიერებას კოოპერაციული ინსტიტუტების დამკვიდრებაში.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კოოპერაციის გამოცდილება იძლევა საკმარის მასალას სისტემური ანალიზის საფუძველზე მათი სამეცნიერო და პრაქტიკული განზოგადებისათვის. მაგალითად, **ესპანეთის** რეფორმების წარმატების მთავარი მიზეზია სოფლის მეურნეობაში კოოპერატივების განვითარება, რომლის მთავარ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ესპანეთის კონსტიტუციის (1978წ.) 129.2 მუხლი: „სახელმწიფო ორგანოებმა ეფექტურად უნდა დასახონ წარმოებაში მონაწილეობის სხვადასხვა ფორმები და ხელი შეუწყონ კოოპერატივების ჩამოყალიბებას არსებული კანონმდებლობის საფუძველზე“ [4]. დღეს ესპანეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაწევრიანებულია 1 მლნ-მდე ფერმერი; ქვეყნის მთლიანი საქონელბრუნვის 47% და აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების 60% ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ. ღვინის, ხილ-ბოსტნეულისა და ზეთისხილის წარმოებაში ესპანეთი პირველ ადგილზეა ევროპაში [5].

**იტალიის**, ისევე როგორც ესპანეთის, კოოპერაციული სისტემის სამართლებრივ საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს იტალიის რესპუბლიკის 1947 წელს მიღებული კონსტიტუციის 45-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „რესპუბლიკა აღიარებს კოოპერაციის სოციალურ ფუნქციას, რომელიც ეფუძნება ურთიერთდახმარებას და არ ისახავს მიზნად სპეკულაციურ მიზნებს“. უფრო დაწვრილებით კოოპერაციის მიზნები ჩამოყალიბებულია იტალიის სამოქალაქო კოდექსში, სადაც მითითებულია: „კოოპერაციის მიზანს წარმოადგენს მისი წევრებისათვის უკეთესი მომსახურებისა და სამუშაო პირობების შექმნა, **ვიდრე ეს შეუძლია თავისუფალ ბაზარს**“ [6].

**საფრანგეთში** 24 ათასი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი უზრუნველყოფს 1 მილიონ სამუშაო ადგილს და მათი წლიური საერთო ფინანსური ბრუნვა აღემატება 300 მილიარდ ევროს. **ბელგიაში** კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი ბაზარზე საკმაოდ მაღალია: რძე - 50%, ხილი და ბოსტნეული - 70-90%, ხორცი - 20-30%. უაღრესად მწირი ბუნებრივი რესურსების მქონე **ისრაელმა**, სწორედ კოოპერაციული სისტემით შეძლო შეექმნა ცოდნის ეკონომიკასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დამყარებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების სისტემა. სწორედ კოოპერაციული სისტემით მიაღწია **ჰოლანდიამ**, გამხდარიყო მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერი რძის პროდუქტების ექსპორტით. საქართველოზე გაცილებით მწირი რესურსების მქონე **სომხეთმა**, კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნით მოახერხა ის, რომ ჩვენზე მაღალი აქვს თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები (განსაკუთრებით ხორბლის წარმოებაში) და სოფლის მეურნეობის პროდუქციას (ხილს, ბოსტნეულს და ყურძენსაც კი) საქართველოს ბაზრებზეც ყიდის. **იაპონიაში** კოოპერაციულმა სისტემამ გამოავლინა განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობა. 1947 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ კანონის მიღების შედეგად და იაპონიის იმპერატორის განკარგულებით, სოფლის მთელი მოსახლეობა ავტომატურად ჩაერთო კოოპერაციულ სისტემაში, რომლის მეშვეობითაც მთავრობამ შეძლო ახალი აგრარული პოლიტიკის გატარება. მიმდინარე პერიოდში იაპონელი ფერმერების 91% გაწევრიანებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში [7].

ზოგჯერ გამოითქმის მოსაზრება (ძირითადად კოოპერაციული სისტემის არასაკმარისად მცოდნე პირებს მიერ), რომ საქართველოს მოსახლეობა ჯერ არ არის მზად სოფლად კოოპერაციის მასშტაბური პროექტების განხორციელებისთვის და აპელირებენ ევროპის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხანგრძლივ პერიოდზე, სადაც განვითარების არსებული დონის მიღწევას 200 წელიწადზე მეტი დასჭირდა. ეს არის ყოვლად გაუმართლებელი, მცდარი პოზიცია! ევროპის ქვეყნებში მე-19 საუკუნეში დაწყებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესი ვითარდებოდა სტიქიურად, ყოველგვარი სტრატეგიის, საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის არსებობისა და ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე. დღეს შესაძლებელია სხვა ქვეყნების არაერთი მაგალითის მოყვანა, სადაც მთავრობები აცნობიერებდნენ ამ პროცესის განსაკუთრებულ გავლენას მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და **სწორედ ევროპის ქვეყნების მრავალწლიანი, ევოლუციური განვითარების გამოცდილებაზე დაყრდნობით**, იღებდნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ინტენსიური განვითარების მასშტაბური ცენტრალიზებული მხარდაჭერის გადაწყვეტილებებს.

კოოპერაციის უპირატესობა და მისი სინერგიის ეფექტი საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან არა უბრალოდ მოწონებას, არამედ სოლიდურ სამართლებრივ, ორგანიზაციულ და მატერიალურ მხარდაჭერას, განსაკუთრებით საბაზრო პირობებისადმი ნაკლებად ადაპტირებულ (მენტალურად, ორგანიზაციულად და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით) ისეთი სოფლის მეურნეობისადმი, როგორც საქართველოშია და ის, როგორც ღონისძიებათა ლოგიკურად შემკვრელი რგოლი, საჭიროებს კოოპერირებით მაქსიმალურად მოიცვას სასოფლო-სამეურნეო წარმოება და თვისებრივად ახალ დონეზე აიყვანოს კოოპერაციის პროცესი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შიდასაწარმოო ურთიერთობების წესები წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის, როგორც ორგანიზაციული ფორმის იდენტობის განმსაზღვრელ მთავარ კომპონენტს, რადგან სწორედ ამ წესების დანერგვით იქმნება ეკონომიკური გარემო, სადაც სოფლად სამეწარმეო საქმიანობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს არა საპაიო ფონდში შეტანილი მატერიალური სახსრებით დივიდენდების მიღების პერსპექტივა, არამედ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უშუალოდ ჩართული მოსახლეობის შრომითი რესურსების უკუგების მაღალი ხარისხი. არაერთი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ კოოპერატივები უზრუნველყოფენ სოციალური უთანასწორობის შემცირებას, სტაბილური საწარმოო ფაქტორების დამკვიდრებას, დაცულ აგროეკოლოგიურ და ინოვაციურ ტექნოლოგიებს [8].

კოოპერაციული სექტორის განვითარების კოორდინირების როგორც ქართული, ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ცალსახად განისაზღვროს მთავარი: **დასმული ამოცანის გადაწყვეტა არ შეიძლება ემპირიულად, პრობლემათა თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების გათვალისწინებისა და სათანადო საფუძვლების მომზადების გარეშე, რაც დაკავშირებულია განვითარების ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ფინანსური მექანიზმების კონცეპტუალური საფუძვლების შექმნასთან, საფინანსო გარემოს არსებით ცვლილებებთან, მოსახლეობის შრომითი და მატერიალური რესურსების კაპიტალიზაციასთან და სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ეკონომიკური ინტერესების დაბალანსებასთან.**

### აგროსამრეწველო (ვერტიკალური) ინტეგრაცია

სიღრმისეულ გააზრებას და ახლებურ ხედვას საჭიროებს გადამამუშავებელი მრეწველობის, როგორც დამატებული ღირებულების ძირითადი შემქმნელის მნიშვნელობა, რადგან არსებითია, თუ ვისი შემოსავლების ზრდას ემსახურება პროდუქციის გადამამუშავების შედეგად მიღებული დამატებული ღირებულება და რა შედეგი მოაქვს ამ საკითხის მიმართ გაუაზრებელ პოლიტიკას ან საერთოდ პოლიტიკის არარსებობას. საკითხის დაყენება იმ ჭრილში, თითქოს სოფლად სამუშაო ადგილების შექმნა არის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტი, არის თავის მოტყუება და არ შეესაბამება ქვეყნისა და მოსახლეობის წინაშე არსებულ რეალურ გამოწვევებს, რადგან უკეთეს შემთხვევაშიც კი, სამუშაო ადგილების შექმნას საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურის, ჯანდაცვისა და სხვა სფეროებში, თუნდაც გადამამუშავებელ საწარმოებშიც კი, სადაც საშუალოდ დასაქმებულია 10 – 12 პირი, არ ექნება მასიური ხასიათი და იგი ვერანაირად ვერ იმოქმედებს სოფლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილის შემოსავლების ზრდაზე, მით უმეტეს მათ სამეწარმეო განვითარებაზე. გადამამუშავებელი წარმოების სფეროში, ეს პოლიტიკა მიმართული იქნება მდიდარი მოსახლეობის (ხშირ შემთხვევაში სოფლად არმცხოვრები პირების) ფინანსურ გაძლიერებაზე, მათ ექსტენსიურ განვითარებაზე, პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი მოსახლეობის ეკონომიკური ინტერესების დისკრიმინაციის ხარჯზე.

სოფლად ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტი უნდა გახდეს მოსახლეობის ინკლუზიური სამეწარმეო განვითარება, რაც დაკავშირებულია მათი შრომითი და მატერიალური რესურსების კაპიტალიზაციასთან და ეს უნდა მოხდეს ისეთი პროექტების მხარდაჭერით, სადაც ჩართული იქნება მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. ამის რეალური შესაძლებლობა მცირემიწიანი მოსახლეობისთვის დასაშვებია მხოლოდ კოოპერაციულ საწყისებზე ინტეგრირებული აგროსამრეწველო სისტემის მხარდაჭერით. ისტორიული განვითარების არსებულ ეტაპზე, სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მთავარი პრიორიტეტი ორი კომპონენტისაგან შედგება:

- ა) აგრარულ სფეროში უშუალოდ ჩართული მოსახლეობის სამეწარმეო განვითარების მხარდაჭერა და არა მოსახლეობის მცირე კონტიგენტის მხარდაჭერით დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა;
- ბ) სამეწარმეო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება სოფლად. ეს პრიორიტეტული პრინციპი ვრცელდება სოფლის მაცხოვრებლებზე ზოგადად და არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებზე.

ამასთან, არსებითი განსხვავებაა სოფლად და ქალაქად არსებულ სამეწარმეო ინდუსტრიებს შორის, რადგან ქალაქის ინდუსტრია მოკლებულია იმ უაღრესად აქტუალურ და პოზიტიურ შესაძლებლობებს, რაც დამახასიათებელია სოფლად არსებული ინდუსტრიის, ძირითადად გადამამუშავებელი საწარმოებისათვის, რომელთაც შეუძლია პირდაპირი და უაღრესად დიდი ზეგავლენა მოახდინონ ამ საწარმოებთან დაკავშირებული ასობით და ათასობით მცირე მეურნის სამეწარმეო განვითარებაზე, მათი შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდაზე და ადგილზე სოციალური და ეკონომიკური განვითარების რეალური პერსპექტივის შექმნაზე.

დღეს სოფლის მოსახლეობა ფორმალურად თავისუფალია საკუთარ სამეურნეო საქმიანობაში, მაგრამ აქ იკვეთება მთავარი შეკითხვა – რამდენად შეიძლება ამ საქმიანობას ეწოდოს „სამეწარმეო“ და მით უმეტეს „თავისუფალი“, როდესაც

Above mentioned ideas incorporated in Georgian "Economic Freedom Act" adopted in 2011 (entered into force from 31 December 2013). As stated by the law government provides the economic rights and freedoms, which are the basis for the development of society, for the people’s well-being and long-term economics’ stable growth, moreover freedom is a basic principle of economic policy, which envelope in the government’s small size, responsible macroeconomic policies and in low taxes. For achieving those targets and supporting economic sustainability, the same low-defined fiscal rules, which are reasonable to divide in first and second generation. Main differences between those applies to numerical rules, namely present time two numerical rules are into force: Debt rules and Budget balance Rules. Expenditure

Rules was withdrawn from first January, 2019. Moreover, in second generation rules (applied period 1 January, 2019 – present) adopted changes have affected to calculation methodologies of numerical rules and in case of budget balance rules the fundamental aggregate indicator, such as the calculation of the deficit in respect to the aggregated budget, which, unlike the consolidated budget, also includes the deficits of the budgets of the central, autonomous republics and municipalities’ legal entities of public laws, was increased by changing the calculation methodology, Additionally, the second generation debt rule's calculation methodology was modified by including state organization debts, removing national bank debts, and changing the aggregate indicator from state debt to government debt (Table 1).

Type of fiscal rules		<b>First Generations</b> (applied period 31 December, 2013 – 1 January, 2019)		
		Ceiling	Methodology	Characteristics of Aggregate Indicator
Numerical Rules	Debt Rule	60% of GDP	State debt’s share of GDP	<b>State Debt</b> - The total amount of domestic and external debts, expressed in the national currency, taken through agreements entered into by the Ministry of Finance of Georgia on behalf of Georgia and, with guarantees provided by the Ministry of Finance, by other bodies/institutions, also in amounts received from the placement of government securities denominated in the national and foreign convertible currency by the Ministry of Finance of Georgia on behalf of Georgia and received from the financial resources approved by the International Monetary Fund for Georgia.
	Budget balance Rules	3% of GDP	State consolidated budget deficit’s share of GDP	<b>Consolidated Budget</b> – consolidated budget of the State, an autonomous Republics and Local Authorities of Georgia. Consolidated budget is not subject to the approval by the Representative Bodies of any Authority.
	Expenditure Rules	30% of GDP	Share of total of the consolidated budget expenses and the growth of non-financial assets of GDP	
Procedural Rules	Revenue Rule	N/A	The introduction of a new type of national tax, except for excise tax, or the introduction of an increase in the upper margin of the rate according to the type of national tax, except for excise tax, shall be permissible only through a referendum.	

Second Generation (applied period 1 January, 2019 - present)				
Numerical Rules	Debt rules	60% of GDP	Government debt's share of GDP	<b>Government Debt</b> equals to State Debt minus obligations taken by the National Bank of Georgia
	Budget balance Rules	3% of GDP		<b>Aggregated State Budget</b> – consolidated budget of the central, autonomous republics and local authorities. Aggregated State Budget is not subject to the approval by the Representative Body of any authority
	Expenditure Rules	N/A	N/A	Withdrawn
Procedural Rules	Revenue Rule	N/A	Remain unchanged	Remain unchanged

#### 4.1. Response to the Economic Crisis

The pandemic (covid19) led to the activation of escape clauses to temporarily suspend the rules within the fiscal framework, allowing for flexibility to adopt extraordinary fiscal support to households and firms. Fiscal rules are long-lasting constraints on fiscal policy aimed at providing a credible commitment to fiscal discipline. At the same time, fiscal rules must be sufficiently flexible to manage unexpected economic or other large shocks [Eyraud et al., 2018]. This is particularly relevant for rare events that can have very large fiscal and economic impacts, such as the current pandemic, and will likely require escape clauses to allow temporary deviations from the rules. When to activate the escape clause? The events triggering the activation of an escape clause should be outside government's control and preferably defined in quantitative terms if possible. They typically include severe economic downturns, large natural disasters, and states of emergency. It is also important for the credibility of the rules that escape clauses are only activated when necessary to respond to the events - that is, the size of the deviation should be linked to the policies directed at the crisis [Gbohoui, Medas, 2020].

These constraints are useful to address deficit biases (that can lead to excessive debt levels) and procyclical policies (exacerbating economic cycles), ultimately helping promote more prudent and stabilizing fiscal policies. At the same time, fiscal rules must be sufficiently flexible to manage unexpected economic or other large shocks. This is particularly relevant for rare events that can have very large fiscal and economic impacts, such as the current pandemic, and will likely require escape clauses to allow temporary deviations from the rules. While the high degree of uncertainty around this crisis calls for greater flexibility, this should not be at the cost of excessive discretion that could be abused and undermine the return to the fiscal rules over the medium term. In addition, some countries either do not have escape clauses or may need to consider suspending their rules without a well-defined process or even abandoning or revising the rules.

Before the pandemic hit, two thirds of countries with fiscal rules had included escape clauses, a notable rise relative to previous decades across all income groups and among

supranational and national fiscal rules. 12 countries - activated the BBR escape clause in 2020; 10 countries - BR; 9 countries - EX; and 1 country - RR<sup>23</sup>.

Escape clause is one of the most important channels for developing anti-crisis economic policy in case of many countries. At the same time, its effectiveness is significantly dependent on the legal framework, in which the basics for its implementation. Georgian fiscal rules define the following criteria describe the pre-requirements for activating the escape clause:

- a. In case of the need to finance, liquidation or damage measures as a result of the state emergency or war declared in accordance with the rules established by the legislation;
- b. In case of slowdown/recession - if according to the data published by the National Statistics Office of Georgia, the real economic growth rate of the last two consecutive quarters is 2 percentage points lower than than the average real economic growth rate of the last 10 years.

At the same time in case of escape clause activation Government of Georgia shall submit to the Parliament:

- a. A plan to return to the parameters defined by law. The duration of this plan should not exceed 3 years;
- b. After the end of the fiscal year reporting, in case of violation of fiscal rules (except cases prescribed by law) reporting about that with draft annual budget performance report;
- c. Information about on the causes of the violations;
- d. Information on the current budget execution and, consequently, its impact on the parameters of the consolidate state budget in the direction of compliance with defined marginal dates.

#### **4.2. Deviations from fiscal Rules (initial modeling)**

Deficits and debt in many countries surged during the pandemic or financial crisis's, leading to fluctuation of fiscal rule limits [Davoodi, et al. 2022:14]. Both of them are very commonly used by governments in different countries. But debt rules are particularly mutual in developing economies, with over 80 percent of EMDEs having adopted them. The majority of national debt rules is set as a debt limit or ceiling, while a minority (about 10 percent) uses a (medium-term) anchor concept (Finland, United Kingdom). Most countries have the debt rule expressed in percent of GDP, and sometimes the debt rule is set in net present value terms for low-income countries, as they receive a significant share of concessionary financing. Budget balance rules accounting for business cycles are more predominant in advanced economies (Czech Republic, Estonia) than emerging markets (Chile, Colombia). Even for the former group, assessing the output gap in real time is challenging. For those EMDEs that have deficit limits accounting for economic cycles, they often rely on thresholds on actual activity rather than a measure of output gap [Burger, Marinkov, 2012].

Georgia experienced the same negative consequence, debt increased by 20.7% in 2020, compared to 2019. The same year's deficit, similar in comparison, increased by 7.2%. In 2021, the amount of debt is in line with the defined rule, although the amount of deficit is over the ceiling, which are prone to large covid19 negative shocks, in 2020, before the pandemic actual size of budget deficit and debt where below defined amount.

For assessing deviations from fiscal rule limits, we apply methodology developed by different authors [Delgado-Téllez, et al. 2017; Kalan, et al. 2018; Nandelenga, et al. 2020; Alesina, Bayoumi, 1996; Fatás, Milhov, 2006; Eyraud, et al. 2018; Grosse-Steffen, et al. 2021]. Deviations from the debt rule are defined as gross debt minus the rule limit or anchor

---


<sup>23</sup>See: IMF, Fiscal Rules Dataset.

levels. Formally, the deviation from rule  $X$  in country  $i$  and year  $t$  is given  $D_{i,t}^X = X_{i,t} - X_{i,t}^{limit}$ , where  $X$  is either the budget balance rule or debt level as a percent of GDP.


Figure 3 show the distribution of deviations from the deficit and debt rule limits in Georgia over the period 2011-2021. Positive deviations mean the deficit and debt levels are higher than the limits prescribed in the fiscal rules. The vertical axis shows the density function.

**Figure 2.** Distribution of Deviations from Fiscal Rule Limits, 2011- 2021.

**1. Debt Rule (DR)**



**2. Budget Balance Rule (BBR)**



Source: Authors’ estimates.

**5. Concluding Remarks**

The research led the author to the following conclusions:

a) given the legal limitations on significant macroeconomic parameters, it is important for many countries to maintain a socio-economically stable environment and reduce the risk of governmental accumulation of significant economic power, which is also significant for maintaining a sufficient level of economic freedom and stimulating economic growth. Covid19 introduced new challenges to fiscal rules that had previously been broadly tested by economic cycles. However, many countries' deficits and debt-defined ceilings exceed them due to cyclical fluctuations in the rules. At the same time, there is quite a bit of economic literature where the effectiveness of the maximum limits set by quantitative fiscal rules, in particular, has not been in deep assessed. Covid19 shock on aggregate supply and demand push the economy into a new general macroeconomic equilibrium, highlighting the importance of conducting in-depth analysis of the cyclical fluctuation of rules, reassessment, innovative analysis of

traditional economic approaches, macroeconomic policies, and scientific research on these issues. The Covid19 shock caused activation of escape clauses and fluctuation of fiscal rules. In the wake of declining economic growth and rising social spending, there have been breaches of fiscal rules. The size of the fiscal deficit, as well as the external debt rate, will continue to be the primary focus of macroeconomic policy;

b) Georgian fiscal rules have a short history. Fiscal rules remain the primary factor determining the country's macroeconomic sustainability. Recent amendment in legislation increase the fiscal rules' flexibility and provide more detailed information about the calculation methodology, notable changes applicable to debt and deficit, and escape clause activation conditions. Furthermore, pre-pandemic conditions for fiscal rule compliance raise the prospect of recovery. Distributions of deviations from the deficit and debt rule limits in Georgia over the period 2011-2021, emphasis mainly positive deviations from the deficit, thus in case of debt rules deviation are in overall negative.

### References

- Muchiashvi, M., Shonia, Z. (2022). Statistical Assessment of the impact of covid-19 on Sustainability of government debt of Georgia. Journal “*Ekonomisti*”, Volume XVIII, #1.
- Kakhidze, S., Meskhoradze, G., Chagelishvili, A., Fifia, M. (2020). Monitoring the Implementation of Fiscal Rules: Theoretical Aspects and International Experience. Parliamentary Budget Office of Georgia.
- Alesina, A., Bayoumi, T. (1996). The Costs and Benefits of Fiscal Rules: Evidence from U.S. States. Working Paper 5614. NBER.
- Abu N., David J., Gamal A. A. M., Obi B. (2022). Non-Linear Effect of Government Debt on Public Expenditure in Nigeria: Insight from Bootstrap ARDL Procedure, *Organizations and Markets in Emerging Economies*, 13(1), pp. 163-182. doi: 10.15388/omee.2022.13.75
- Ayuso-i-Casals, J. (2012). National Expenditure Rules – Why, How and When. *European Economy Economic Papers No 473*, European Commission, Brussels.
- Bayoumi, T., Eichengree, B. (1995). Restraining Yourself the Implications of Fiscal Rules for Economic Stabilization. *StiflPapers*, March 32-48.
- Burger, P., Marinkov, M. (2012). Fiscal Rules and Regime-Dependent Fiscal Reaction Functions: The South African case. OECD.
- Blanchard, O., Leandro, A., Zettelmeyer, J. (2021). Redesigning EU fiscal rules: from rules to standards, *Economic Policy*, Volume 36, Issue 106, Pages 195–236, <https://doi.org/10.1093/epolic/eiab003>
- Blanchard, O. (2019). Public debt and low interest rates, *American Economic Review*, 109, 1197–229.
- Buti, M., Giudice, G. (2004), “EMU Fiscal Rules: What can and cannot be exported” in G. Kopits (ed.), *Rules-based Fiscal Policy in Emerging Markets: Background, Analysis and Prospects*, Palgrave (Macmillan), Houndmills, United Kingdom
- Caselli, et al. (2018). "Second-Generation Fiscal Rules: Balancing Simplicity, Flexibility, and Enforceability. Technical Background Paper to IMF Staff Discussion Note SDN 18/04, International Monetary Fund, Washington, DC.
- Checherita-Westphal et al. (2012). Fiscal Sustainability Using Growth Maximizing Debt Targets. *European Central Bank*, NO.1472.
- Claeys, G., Leandro, A., Darvas, Z. (2016). A proposal to revive the European fiscal framework”, *Bruegel Policy Contribution 2016/07*, Brussels.
- Clarke, P. (1988). *The Keynesian Revolution in the Making: 1924-1936*, Clarendon Press, Oxford, United Kingdom
- Davoodi, et al. (2022). Fiscal Rules and Fiscal Councils: Recent Trends and Performance During the Pandemic”, *IMF Working Paper No.22/11*, IMF, Washington, D.C



Delgado-Téllez, et al. (2017). On the Determinants of Fiscal Non-Compliance: An Empirical Analysis of Spain's Regions. IMF Working Papers 2017, no. 005.

Darvas, Z., Martin, P., Ragot, X. (2018). The economic case for an expenditure rule in Europe”, VoxEU.org, 12 September.

Drazen, A. (2004). Fiscal Rules from a Political Economy Perspective. In: Kopits, G. (eds) Rules-Based Fiscal Policy in Emerging Markets. Procyclicality of Financial Systems in Asia. Palgrave Macmillan, London. [https://doi.org/10.1057/9781137001573\\_2](https://doi.org/10.1057/9781137001573_2)

Elif, A., Moretti, D., Sanya, S. (2022). Fiscal Frameworks in Asia and the Pacific: Where to From Here?. mimeo, January 2022

Eichengreeq, B. (1992). Should the Maastricht Treaty be Saved? Princeton Studies in International Finance, No. 74, December.

Eyraud, et al., (2018). Second-Generation Fiscal Rules: balancing Simplicity, Flexibility, and Enforceability. IMF Staff Discussion Notes, International Monetary Fund, Washington, DC.

Fall, et al. (2015). Prudent Debt Targets and Fiscal Frameworks, OECD Economic Policy Papers, No 15.

Friedman, M. (1948), A Monetary and Fiscal Framework for Economic Stability, American Economic Review, 38(3):245-264

Fatás, A., Mihov, I. (2006). The macroeconomic effects of fiscal rules in the US states. Journal of public economics 90, no. 1-2: 101–117.

Gaspar, V., Gopinath, G. (2020). Fiscal Policies for a Transformed World. <https://blogs.imf.org/2020/07/10/fiscal-policies-for-a-transformed-world/>

Ghosh., et al. (2013). Fiscal Fatigue, Fiscal Space and Debt Sustainability in Advanced Economies, The Economic Journal, Volume 123, Issue 566, Pages F4–F30, <https://doi.org/10.1111/econj.12010>

Gbohoui, W., Medas, P. (2020). Fiscal Rules, Escape Clauses, and Large Shocks. Special Series on Fiscal Policies to Respond to COVID-19, International Monetary Fund, Washington, DC.

Grosse-Steffen, C., Pagenhardt, L., Rieth, M. (2021). Committed to Flexible Fiscal Rules. Banque de France Working Paper, WP854, December 2021.

Christoph, G., Pagenhardt, L., Rieth, M. (2021). Committed to Flexible Fiscal Rules” Banque de France Working Paper, WP854, December 2021

Huang, G., Yu, X., Long, Q. et al. (2022). The Impact of Economic Freedom on COVID-19 Pandemic Control: The Moderating Role of Equality. Global Health 18, 15 <https://doi.org/10.1186/s12992-022-00800-0>

IMF, (2018). Georgia Enhancing the Fiscal Rules Framework. IMF Country Report No. 18/132.

Kalan, D., Popescu, A., Reynaud, J. (2018). Thou Shalt Not Breach: The Impact on Sovereign Spreads of Noncomplying with the EU Fiscal Rules.” IMF WP 18/77.

Kell, M. (2001), “An Assessment of Fiscal Rules in the United Kingdom”, IMF Working Papers No. 01/91, International Monetary Fund, Washington, DC

Kopits, G. (2004). Rules-Based Fiscal Policy in Emerging Markets: Background, Analysis, and Prospects. IMF, ISBN/ISSN: 9781403920850.

Kopits, G., Symansky, A. (1998). Fiscal Policy Rules, IMF Occasional Paper No. 162, International Monetary Fund, Washington, DC.

Kregždė, A. (2013). The Safe Ceiling of Lithuanian Budget Deficit. ISSN 1392-1258. EKONOMIKA 2013 Vol. 92(3).

Klaus, S., Soto, R. (2018). Fiscal Rules and Fiscal Performance: World Evidence, Documentos de Trabajo 517, Instituto de Economía. Pontificia Universidad Católica de Chile.

Lerner, A. (1951), Economics and Employment, McGraw-Hill, New York, United States.

Luc, E., Hodge, A., Ralyea, J., Reynaud, J. (2020). How to Design Subnational Fiscal Rules: A Primer, IMF How-to-Notes, February 2020.

Milesi-Ferretti, G.M. (2003). Good, Bad or Ugly? On the effects of fiscal rules with creative accounting”, Journal of Public Economics, 88:377-394.

Nandelenga, M. Wafula, Mark J. Ellyne. (2020). Fiscal Rules and the Compliance debate: Why do Countries adopt Rules and fail to comply. Economic Research Southern Africa (ERSA) Working Paper 815.

OECD, (2013). Fiscal rules, in Government at a Glance. Publishing, Paris.

Rakesh, P., Prabheesh, K.P. (2021). The economics of COVID-19 Pandemic: A survey. Econ Anal Policy. Published online 2021 Feb 25. doi: 10.1016/j.eap.2021.02.012.

Siebrits, F., Calitz, E. (2004). Should South Africa adopt numerical fiscal rules?, South African Journal of Economics, 72(4):759-783

Schaechter, A., Tidiane, K., Budina, N., Weber, A. (2012). Fiscal Rules in Response to the Crisis-Toward the ‘Next-Generation’ Rules. A New Dataset, IMF Working Paper, No.12/187, Washington, D.C.

Tanner, E. (2004). Fiscal Rules and Countercyclical Policy: Frank Ramsey meets Gramm-Rudman Hollings”, Journal of Policy Modeling, 16:719-731.

Thygesen, et al. (2018). Reforming the EU fiscal framework: a proposal by the European Fiscal Board”, VoxEU.org, 26 October.

Thygesen, N., Beetsma, R., et al. (2020). Reforming the EU fiscal framework: Now is the time, VoxEU, 26 October.

Wolf, H. (2015). National numerical fiscal rules: Not complied with, but still effective?. "European Journal of Political Economy 39.

Zharku L. (2018). (Un)productive Use of Public Debt in Kosovo”, Ekonomika, 97(2), pp. 18-37. doi: 10.15388/Ekon.2018.1.11784.

*სულხან ტაბაღაძე<sup>24</sup>*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ).  
ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და  
სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი*

## **კავშირი ფისკალურ წესებსა და Covid19 შოკს შორის საქართველოს მაგალითზე (მაკრო მიდგომა)**

### **ვრცელი რეზიუმე**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მის შემადგენლობაში მყოფი ქვეყანები, მათ შორის საქართველოც, ეკონომიკურ სისტემის მოდერნიზაციას შეუდგა. რაც ბუნებრივია დაიწყო ეკონომიკური საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოს ცვლილებებით და საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნით. საწყისი პერიოდიდან საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებად ეკონომიკური თავისუფლების ზრდა განისაზღვრა. ეკონომიკური თავისუფლება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპი დაკავშირებულია: მთავრობის მცირე ზომასთან, პასუხისმგებლიან მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და დაბალ გადასახადებთან. აღნიშნული გარემოებები განისაზღვრა

<sup>24</sup>კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი: YS-21-2451].

შესაბამისი კანონმდებლობით და ქვეყნის ეკონომიკური პროგრამების მთავარი პოსტულატად იქცა.

გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად, ქვეყნების უმეტესობამ შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე დააწესა სამართლებრივი შეზღუდვები მნიშვნელოვან ფისკალურ პარამეტრებზე. ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ ტიპის შეზღუდვა ცნობილია, როგორც „ფისკალური წესები“, რომელიც თავის მხრივ მოიცავს რაოდენობრივ და პროცედურულ ფისკალურ წესებს. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, მსოფლიოს მასშტაბით იზრდება იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს წესებზე დაფუძნებული ფისკალური პოლიტიკა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2021 წლის ბოლოსთვის, დაახლოებით 105 ქვეყანაში ფუნქციონირებდა მინიმუმ ერთი ფისკალური წესი.

ფისკალური წესების ცვლილების პროცესი გარკვეულ კორელაციაში გლობალურ თუ ცალკეული რეგიონის დონეზე განვითარებულ სხვადასხვა ტიპის კრიზისებთან. პანდემიამდე (Covid19) ფისკალური წესების გავრცელება მსოფლიოში სამ ეტაპს ითვლის: პირველი, მოიცავს 1990-იანი წლების პირველ ნახევარს და უკავშირდება სასესხო კრიზისებისა და საბიუჯეტო კორექტირების აუცილებლობას ევროზონის ქვეყნებში; მეორე ეტაპი, 2000-იანი წლებში განვითარებად ქვეყნებში აღმოცენებული პრობლემები; 2008-2009 წლების მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ცხადყო, რომ სახელმწიფოები არ იცავდნენ დადგენილ ფისკალურ წესებს, რის შედეგადაც დაიწყო მესამე ეტაპი - არსებული წესების გადახედვა, მათი მოქნილობის, ეკონომიკურ რყევებზე მეტად ეფექტიანი რეაგირების შესაძლებლობის გაზრდით. ამასთან, ნათელია, რომ Covid19-ის მსგავსი შემთხვევები მოითხოვს ისეთი საგამონაკლისო წესების არსებობას, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა მოხდეს ფისკალური „წესებიდან დროებითი გადახვევა“.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში მაკროეკონომიკური მიდგომის საფუძველზე გაანალიზებულია ფისკალური წესების თეორიული საფუძვლები, მახასიათებლები და ტიპები, მოცემულია კავშირი Covid19-ის შოკისა და ფისკალური წესებზე. წარმოდგენილია საქართველოში მოქმედი ფისკალური წესების თავისებურებები, ყურადღება გამახვილებულია ფისკალური წესების ანტიკრიზულ ბუნებასა და როლზე მაკროეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობის პროცესში. ასევე, საქართველოსათვის ეკონომეტრიკული ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია მცდელობა ფისკალური წესებიდან გადახრის შეფასების.

ჯანდაცვის ეკონომიკა – ECONOMIC OF HEALTHCARE

**თენგიზ ვერულავა**

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი  
კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემის დანერგვის გამოწვევები  
საქართველოში

DOI: [10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.01.TENGIZ.VERULAVA](https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.01.TENGIZ.VERULAVA)

**ანოტაცია.** კვლევის მიზანია თუ რამდენად ეფექტურად გამოიყენება კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემა და რამდენად ხშირად ხდება კრიტიკული შემთხვევების იდენტიფიცირება საავადმყოფოში. კვლევა განხორციელდა ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში, სადაც პირველად დაინერგა კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემა. კვლევამ აჩვენა, რომ კრიტიკული შემთხვევების ანგარიშებას ყველაზე ხშირად ახდენენ ექთნები (44%), თუმცა, ექიმთა ჩართულობა წლიდან წლამდე სტაბილურად იზრდება. კრიტიკული შემთხვევების წარმოშობა უმთავრესად დაკავშირებულია პერსონალის პირად პასუხისმგებლობასთან, კერძოდ ინდივიდუალურ შეცდომებთან, ყურადღების ნაკლებობასთან და არსებული გაიდლაინების და სტანდარტების უგულვებელყოფასთან, არასაკმარის კომპეტენციებთან, არადამაკმაყოფილებელი სიტყვიერი, წერილობითი ან სხვა სახის კომუნიკაციასთან. კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემა ჩაითვალოს, როგორც კლინიკური რისკის მართვის ეფექტური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება კრიტიკული შემთხვევების პოტენციური წყაროების გამოსავლენად და ხელს უწყობს სამედიცინო ორგანიზაციაში პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

**საკვანძო სიტყვები:** კრიტიკული შემთხვევა, შემთხვევის შეტყობინება, პაციენტის უსაფრთხოება, ჯანმრთელობის ხარისხი.

### შესავალი

საქართველოს ჯანდაცვის სისტემისათვის დამახასიათებელია დიდი რაოდენობის კლინიკები. 2018 წლის მონაცემებით საქართველოში 273 სტაციონარული დაწესებულებაა, სადაც 39514 პერსონალია დასაქმებული, რომელთაგან 15543 ექიმია (ქვეყანაში მომუშავე პრაქტიკოსი ექიმების საერთო რაოდენობის 52.6%) და 12055 ექთანია (ქვეყანაში მომუშავე საშუალო სამედიცინო პერსონალის საერთო რაოდენობის 63.7%) (სმჯსდს, 2019).

ჯანდაცვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს საუკეთესო დიაგნოსტიკა და მკურნალობა. თუმცა, საქმიანობის პროცესში ყოველთვის არსებობს კრიტიკული შემთხვევების მოხდენის, კერძოდ, წინასწარ განუსაზღვრელი, არასასურველი შეცდომების დაშვების ალბათობა, რომლებიც შეიძლება საზიანო გახდეს პაციენტისათვის (Valentin და სხვ. 2009; Petschnig და სხვ. 2017).

სამედიცინო მომსახურების ხარისხის სპეციფიკური მაჩვენებელია პაციენტის უსაფრთხოება. უსაფრთხოება დაავადებების გართულებების რისკებისაგან, დაზიანებისაგან და არასასურველი შედეგისაგან პაციენტის დაცულობაა.

პაციენტების უსაფრთხოების ძირითადი ინდიკატორებია:

- ოპერაციის შემდგომი ინფექციები და სამედიცინო შეცდომები;
- თუ რამდენად არის შემცირებული ინტერვენციისა (წამალი, პროცედურა),
- ასევე პერსონალის მხრიდან გამოწვეული რისკები.

საქართველოში პაციენტის უსაფრთხოების შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ოპერაციის შემდგომი ინფექციებისა და სამედიცინო შეცდომების შესახებ მონაცემების ნაკლებობა, რომლებიც არ მიეწოდება ჯანდაცვის ცენტრალურ საინფორმაციო სისტემას.

პაციენტის უსაფრთხოების გაზრდისათვის ბევრ ქვეყნებში დაინერგა კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემა, რომლის მიზანს შეადგენდა პაციენტის პოტენციური ზიანის იდენტიფიცირების ხელშეწყობა (Mitchell და სხვ. 2016).

კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემა გულისხმობს სამედიცინო ორგანიზაციებში ანგარიშების ისეთი სისტემის განვითარებას, სადაც მთავარია შეცდომების გამოვლენა, ანგარიშგება და ამ შეცდომებზე სწავლების სისტემა, რომელიც არ ეფუძნება საჯარიმო სანქციებს და დამსჯელობით ქმედებებს (Frey და სხვ. 2000).

კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემა შედგება სამი ეტაპისაგან:

- ანგარიშგება (Reporting) სამედიცინო პერსონალი (ექიმი, მედდა...) ანონიმურად ონლაინ ახდენს შემთხვევის შესახებ შეტყობინებას და გვთავაზობს კრიტიკული შემთხვევის მომავალში განმეორების თავიდან აცილების გზებს და მექანიზმებს.
- შეფასება (Assessment) რისკის მენეჯერი შესაბამისი დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად ახდენს კრიტიკული შემთხვევების შესწავლას, შეფასებას და გვთავაზობენ მისი გადაწყვეტის შესახებ წინადადებებს.
- უკუკავშირი (Feedback) შემთხვევის შესწავლის შედეგები ქვეყნდება ონლაინ, რათა სხვებს ჰქონდეთ შეცდომების გაცნობის შესაძლებლობა.

კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემა გამორიცხავს პერსონალის დასჯას და წარმოადგენს სწავლის პროცესს და ემყარება მაღალი ურთიერთნდობის პირინციპებს.

სისტემა ხელს უწყობს სამედიცინო პერსონალში შეცდომებზე სწავლების კულტურის განვითარებას. პოტენციურად ფატალური შეცდომის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მისი ანგარიშგება, მასზე საუბარი და სწავლა.

ანგარიშგების სისტემის დასაწინააღმდეგებ საჭიროა შემოღებულ იქნას კრიტიკული შემთხვევის რისკის მართვის მენეჯერის თანამდებობა.

ანგარიშგების სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის საჭიროა კრიტიკული შემთხვევის აღრიცხვის ანონიმურობა, რაც შესაძლებელია კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება კლინიკის ყველა თანამშრომლისათვის (ინდივიდუალური პაროლებით შესვლის უფლებით).

კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემები ევროპის ბევრ ქვეყნებში გახდნენ სამედიცინო ორგანიზაციებში პაციენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საშუალებად (Macrae, 2016; Gnoni & Saleh, 2017). კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემა შესაძლებლობას იძლევა გამოვლენილ იქნას კრიტიკული შემთხვევები და მიმართულია პაციენტის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, რაც თავის მხრივ ზრდის სამედიცინო ორგანიზაციის შიდა პროცესების უსაფრთხოებას (Sendlhofer და სხვ. 2018). სამედიცინო ორგანი-

ნიზაციაში არსებული ყოველი კრიტიკული შემთხვევა უნდა ეცნობოს კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემას (Howell და სხვ. 2017). გარდა ამისა, კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემის ძირითადი არსი არის საკუთარი დაკვირვების შედეგად უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული თითოეული მოვლენის დაფიქსირება, რათა მოხდეს მათი სისტემატური ანალიზი. აღიშნული ემსახურება პერსონალი ცოდნის გაღრმავებას.

სხვადასხვა ქვეყნებში კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემის სხვადასხვა ფორმები გამოიყენება. ზოგიერთ ქვეყანაში მისი გამოყენება სავალდებულოა, ზოგან - ნებაყოფლობითი. განსხვავებულია ანგარიშგების ხასიათიც, თუ რისი ანგარიშგება უნდა მოხდეს (მაგალითად, კრიტიკული შემთხვევები, ზიანი, პაციენტის ვარდნა, ნემსის ჩხვლეტით გამოწვეული დაზიანებები, ტექნიკური პრობლემები ან პაციენტებთან და ჯანდაცვის პროფესიონალებთან კდაკავშირებული რიტუკული შემთხვევები. ამგვარად, სავადასხვა ქვეყნებში ჯანდაცვის ორგანიზაციები თვითონ განსაზღვრავენ კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემაში ანგარიშგების მეთოდებს (Archer & Colhoun, 2017).

კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემის გამოყენებისას გამოვლინდა ხუთი ძირითადი გამოწვევა 1) შემთხვევების შესახებ ინფორმაციის სუსტი დამუშავება, 2) კონსულტანტების ჩართულობის ნაკლებობა, 3) შემდგომი ქმედებების გამორჩენა, 4) არასაკმარისი დაფინანსება და 5) ნაკლები ინსტიტუციური მხარდაჭერა (Bass, 1999).

გარდა ამისა, იმისათვის რომ კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემა იყოს ეფექტური, საჭიროა ლიდერობა და პაციენტების უსაფრთხოების კულტურა (Nembhard & Edmondson, 2006; Reis და სხვ. 2018; Hillen და სხვ. 2017). კვლევებმა აჩვენა, რომ კრიტიკული შემთხვევების ხშირი ანგარიშგების მნიშვნელოვანი კრიტერიუმია საავადმყოფოებში ტრანსფორმაციული ლიდერობა (Premeaux & Bedeian, 2003). კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემაში ანგარიშგების უმთავრესი ბარიერი შეიძლება იყოს სოციალური ზეწოლის ან სასჯელის შიში, იმ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია პირთა იდენტიფიცირება.

ამ მხრივ, საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. ბრიტანეთში კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემაში ჩართვა სავალდებულოა და მასში ყოველწლიურად 1 მილიონზე მეტი შემთხვევა აღირიცხება (NHS, 2014). შვეიცარიაში, სადაც კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემის გამოყენება არასავალდებულოა, ციურისის საუნივერსიტეტო საავადმყოფომ 1 წლის განმავლობაში 1.400 შემთხვევა დაარეგისტრირა (Sendlhofer და სხვ. 2016). ზოგ ქვეყნებში (მაგ, ავსტრიაში) კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემა ჯერ კიდევ არ არის ფართოდ დანერგული ჯანდაცვის ორგანიზაციებში (Sendlhofer და სხვ. 2018). ერთი კვლევის მიხედვით, რომელიც ჩატარდა ავსტრიის ერთერთი ყველაზე მსხვილ საავადმყოფოში, რესპოდენტთა მხოლოდ 64.1% იყენებდა სრულად კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემას (Sendlhofer და სხვ. 2018).

ჩვენი კვლევის მიზანია, თუ რანდენად ეფექტურად გამოიყენება კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემა და რამდენად ხშირად ხდება კრიტიკული შემთხვევების იდენტიფიცირება საავადმყოფოში, რამდენად აღიარებენ მას ჯანდაცვის მუშაკები როგორც რისკის მართვის ინსტრუმენტს.

**კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევა განხორციელდა ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი სამედიცინო ორგანიზაციაა საქართველოში. კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემა პირველად სწორედ აქ დაინერგა 2015 წელს. კვლევისათვის ჩატარდა ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში 2017 – 2021 წლების პერიოდში კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემის მონაცემების ანალიზი. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მიზნობრივ ჯგუფად განისაზღვრა ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის პერსონალი, რომლებიც ჩართული არიან კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემაში. შეირჩევა ცენტრის თანამშრომლები. კვლევაში გამოყენებული იქნება პირისპირ ინტერვიუების მეთოდი. ინტერვიუ ჩატარდება წინასწარ შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა კითხვარი, რომელიც შემუშავდა საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებული ანალოგიური კვლევების გამოყენებით.

**კვლევის შედეგები**

საქართველოში კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემა პირველად დაინერგა 2015 წელს, ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში. ანგარიშგება ნებაყოფლობითი და ანონიმურია. ექიმები, ექთნები, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი ანონიმურად ახდენენ შემთხვევების შესახებ შეტყობინებას ელექტრონული ანგარიშების სისტემის მეშვეობით. საავადმყოფოს ჰყავს რისკის მენეჯერი, რომელიც კლინიცისტია. რისკის მენეჯერი საავადმყოფოს პერსონალთან ერთად ხარისხის კომიტეტის შეხვედრაზე განიხილავს ინფორმაციას დარეგისტრირებული შემთხვევის, ახდენს მათ შეფასებას და გთავაზობს მისი გადაწყვეტის შესახებ წინადადებებს. შემთხვევის შესწავლის შედეგები ქვეყნდება ელექტრონული ანგარიშების სისტემაში, რათა ყველა პერსონალს ჰქონდეს შეცდომების გაცნობის შესაძლებლობა.

კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემის დანერგვის შემდეგ, 2015-2019 წლების პერიოდში საერთო ჯამში რეგისტრირებული იქნა 548 შემთხვევა (2015: n = 43; 2016: n = 87; 2017: n = 113; 2018: n = 134; 2019: n = 171). კრიტიკული შემთხვევები ძირითადად დაფიქსირდა ქირურგულ (n = 160, 29%), არაქირურგიული (n = 134, 24%), ანესთეზიოლოგიისა (n = 73, 13%) და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებში (n = 77, 14%) (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1: კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემის შემთხვევები პროფესიული დისციპლინების მიხედვით (n / %)

წელი	შემთხვევების რაოდენობა	ანესთეზიოლოგია	ქირურგია	არაქირურგიული დისციპლინები	ინტერდისციპლინარული	ადმინისტრაციას	სხვა
2015	43 (8%)	5 (12%)	12 (28%)	10 (23%)	2 (5%)	9 (21%)	5(12%)
2016	87 (16%)	11 (13%)	25 (29%)	22 (25%)	4 (5%)	10 (11%)	15(17%)
2017	113 (21%)	12 (11%)	30 (27%)	25 (22%)	8 (7%)	11 (10%)	27(24%)
2018	134 (24%)	19 (14%)	40 (30%)	33 (25%)	12 (9%)	22 (16%)	8(6%)
2019	171 (31%)	26 (15%)	53 (31%)	44 (26%)	19 (11%)	25 (15%)	4 (2%)
ჯამი	548 (100)	73 (13%)	160 (29%)	134 (24%)	45 (8%)	77 (14%)	59(11%)

მიღებული მონაცემების მიხედვით, კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემაში ყველაზე მეტი შემთხვევა დარეგისტრირდა ექთნების (n=242, 44%), შემდეგ ექიმების (n=152, 28%) სამედიცინო ტექნიკური მუშაკების (n=89, 16%) და სხვა პერსონალის მიერ (იხ. ცხრილი 2). ყველაზე ხშირად კრიტიკული შემთხვევები გამოვლინდა პერსონალური ყურადღების ნაკლებობის გამო (n=223, 41%), შემდეგ რუტინული შემოწმებების დროს (n=89, 16%) და შემთხვევით (n=77, 14%).

ცხრილი 2: კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემის შემთხვევები პერსონალის და წარმოშობის მიზეზის მიხედვით (n / %)

წელი	ექიმი	ექთანი	სამედი- ცინო ტექნი- კოსი	სხვა	რუტი- ნული შემოწმე- ბა	პერსონა- ლური ყურადღე- ბა	შემთხვე- ვითი	სხვა
2015	13(30%)	21 (49%)	5 (12%)	4 (9%)	7 (16%)	19 (44%)	4 (9%)	13 (30%)
2016	23 (26%)	41 (47%)	12 (14%)	11 (13%)	14 (16%)	39 (45%)	10 (11%)	24 (28%)
2017	26 (23%)	55 (49%)	18 (16%)	14 (12%)	17 (15%)	51 (45%)	16 (14%)	29 (26%)
2018	42 (31%)	56 (42%)	23 (17%)	13 (10%)	22 (16%)	53 (40%)	19 (14%)	40 (30%)
2019	48 (28%)	69 (40%)	31 (18%)	23 (13%)	29 (17%)	61 (36%)	28 (16%)	53 (31%)
ჯამი	152(28%)	242(44%)	89 (16%)	65 (12%)	89 (16%)	223(41%)	77 (14%)	159(29%)

კრიტიკული შემთხვევების ყველაზე მეტი რაოდენობა დაკავშირებულია ინდივიდუალურ შეცდომებთან (48%), შემდეგ მოსდევს ორგანიზაციის, გუნდური ფაქტორის, კომუნიკაციისა და არასრულყოფილ დოკუმენტაციასთან (32%), სამედიცინო მოწყობილობებთან (16%) და პაციენტთან დაკავშირებული შეცდომები (4%) (იხ. ცხრილი 3). კვლევამ აჩვენა, რომ კრიტიკული შემთხვევების გამოძვევი ინდივიდუალური მიზეზებიდან, ყველაზე ხშირად აღინიშნება გაიდლაინების და სტანდარტების უგულვებელყოფა (13%), ყურადღების ნაკლებობა (13%), ცოდნის ნაკლებობა (12%), შეცდომები დაგეგმვის პროცესში (9%). ორგანიზაციასთან, გუნდურ ფაქტორთან, კომუნიკაციასთან, არასრულყოფილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული კრიტიკული შემთხვევები ძირითადად გამოწვეულია პროფესიულ ჯგუფებს შორის არადამაკმაყოფილებელ კომუნიკაციასთან (10%), პროფესიული ჯგუფის შიგნით არადამაკმაყოფილებელ კომუნიკაციასთან (8%), არასრულყოფილ დოკუმენტაციასთან (7%) და არადამაკმაყოფილებელ კოორდინაციასთან (7%). სამედიცინო მოწყობილობებთან დაკავშირებული მიზეზებიდან აღსანიშნავია: სამედიცინო მოწყობილობებთან მუშაობა (7%), არასაკმარისი ბაზისური განათლება (3%), დეფექტური სამედიცინო მოწყობილობა (3%), არასრული გამართულობა (3%). პაციენტებთან დაკავშირებული მიზეზებიდან გამოიყოფა: მძიმე ავადმყოფები (1%), კომუნიკაციის პრობლემები (1%), ავადმყოფობის გამწვავება (1%), პაციენტების ფიზიკური, ვერბალური ან აგრესიული თავდასხმები (იხ. ცხრილი 3).



ცხრილი 3: კრიტიკული შემთხვევები წარმოშობის მიზეზის მიხედვით (n / %)

წელი / წარმოშობის მიზეზი	2015	2016	2017	2018	2019	ჯამი
<b>პირად პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული;</b>	<b>19 (44%)</b>	<b>40 (46%)</b>	<b>50 (44%)</b>	<b>65 (49%)</b>	<b>88 (51%)</b>	<b>262 (48%)</b>
ცოდნის ნაკლებობა;	6 (14%)	9 (10%)	13 (12%)	16 (12%)	22 (13%)	<b>66 (12%)</b>
შეცდომები;	5 (12%)	7 (8%)	10 (9%)	13 (10%)	17 (10%)	<b>52 (9%)</b>
დაგეგმვის პროცესში გაიდლაინების და სტანდარტების უგულებელყოფა;	4 (9%)	11 (13%)	13 (12%)	19 (14%)	25 (15%)	<b>72 (13%)</b>
ყურადღების ნაკლებობა;	4 (9%)	13 (15%)	14 (12%)	17 (13%)	24 (14%)	<b>72 (13%)</b>
<b>ორგანიზაცია, გუნდის ფაქტორი, კომუნიკაცია, არასრულყოფილი დოკუმენტაცია</b>	<b>15 (35%)</b>	<b>28 (32%)</b>	<b>35 (31%)</b>	<b>46 (34%)</b>	<b>52 (30%)</b>	<b>176 (32%)</b>
არადამაკმაყოფილებელი კომუნიკაცია პროფესიულ ჯგუფის შიგნით;	5 (12%)	8 (9%)	8 (7%)	11 (8%)	12 (7%)	<b>44 (8%)</b>
არადამაკმაყოფილებელი კომუნიკაცია პროფესიულ ჯგუფებს შორის;	4 (9%)	9 (10%)	11 (10%)	14 (10%)	16 (9%)	<b>54 (10%)</b>
არასრულყოფილი დოკუმენტაცია;	3 (7%)	6 (7%)	7 (6%)	12 (9%)	13 (8%)	<b>41 (7%)</b>
არადამაკმაყოფილებელი კოორდინაცია;	3 (7%)	5 (6%)	9 (8%)	9 (7%)	11 (6%)	<b>37 (7%)</b>
<b>სამედიცინო მოწყობილობებთან დაკავშირებული მიზეზები;</b>	<b>9 (21%)</b>	<b>16 (18%)</b>	<b>21 (19%)</b>	<b>18 (13%)</b>	<b>24 (14%)</b>	<b>88 (16%)</b>
სამედიცინო მოწყობილობებთან მუშაობა;	4 (9%)	7 (8%)	9 (8%)	9 (7%)	11 (6%)	<b>40 (7%)</b>
არასაკმარისი ბაზისური განათლება;	1 (2%)	2 (2%)	5 (4%)	4 (4%)	5 (3%)	<b>17 (3%)</b>
დეფექტური სამედიცინო მოწყობილობა;	2 (5%)	4 (5%)	4 (4%)	3 (2%)	4 (2%)	<b>17 (3%)</b>
დეფექტური სამედიცინო მოწყობილობა არასრული გამართულობა	2 (5%)	3 (3%)	3 (3%)	2 (1%)	4 (2%)	<b>14 (3%)</b>
<b>პაციენტთან დაკავშირებული მიზეზები;</b>	<b>0</b>	<b>3 (3%)</b>	<b>7 (6%)</b>	<b>5 (4%)</b>	<b>7 (4%)</b>	<b>22 (4%)</b>
მძიმე ავადმყოფები;	-	1 (1%)	2 (2%)	2 (1%)	2 (1%)	<b>7 (1%)</b>
კომუნიკაციის პრობლემები;	-	1 (1%)	3 (3%)	2 (1%)	2 (1%)	<b>8 (1%)</b>
ავადმყოფობის გააწვავება;	-	1 (1%)	2 (2%)	1 (1%)	2 (1%)	<b>6 (1%)</b>
პაციენტების ფიზიკური, ვერბალური ან აგრესიულიობა თავდასხმები;	-	-	-	-	1 (1%)	<b>1 (0%)</b>
<b>ჯამი</b>	<b>43 (100%)</b>	<b>87 (100%)</b>	<b>113 (100%)</b>	<b>134 (100%)</b>	<b>171 (100%)</b>	<b>548 (100%)</b>

გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგება ძირითადად ანონიმურია (62%), თუმცა კრიტიკული შემთხვევების გარკვეული ნაწილის ანგარიშგება ასევე შესაძლებელია მეტნაკლებად არაანონიმურად (9%).

საავადმყოფოს პერსონალი ხშირად ითვალისწინებს კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემის რეკომენდაციებს (67%), ხოლო 54%-ის აზრით, მათი ქმედებების ეფექტურობა კონტროლდება ყოველთვის. განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობის შემოწმება ძირითადად ხორციელდება დისკუსიებით (60.8%) და ადგილზე შემოწმებით (29.8%). კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემაში შეტანილი ანგარიშგებები უმეტესად მუშავდება ყოველკვირეულად (47.5%) და ყოველდღიურად (39.2%). კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემაში დარეგისტრირებული მოვლენების ან განხორციელებული ღონისძიებების შესახებ თანამშრომელთა ინფორმირება უმთავრესად ხორციელდება ყველასთვის ხელმისაწვდომი პორტალით - ინტრანეტით (72.9%) (ცხრილი 4).

ცხრილი 4: კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემის შესახებ გამოკითხვის შედეგები

	n (%)
როგორ ხდება კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგება თქვენს CIRS სისტემაში? <ul style="list-style-type: none"> <li>• ანონიმურად</li> <li>• უმთავრესად ანონიმურად</li> <li>• მეტნაკლებად არაანონიმურად</li> </ul>	112 (62%) 53 (29%) 16 (9%)
რამდენად ხშირად განსაზღვრავთ ქმედებებს, რომლებიც ეფუძნება კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემას? <ul style="list-style-type: none"> <li>• ყოველთვის</li> <li>• ზოგჯერ</li> <li>• ხშირად</li> <li>• არასოდეს</li> <li>• მიჭირს პასუხის გაცემა</li> </ul>	121 (67%) 31 (17%) 13 (6%) 0 (0) 16 (8.8%)
რამდენად ხშირად კონტროლდება ქმედებების ეფექტურობა? <ul style="list-style-type: none"> <li>• ყოველთვის</li> <li>• ზოგჯერ</li> <li>• ხშირად</li> <li>• არასოდეს</li> <li>• მიჭირს პასუხის გაცემა</li> </ul>	98 (54.1%) 31 (17.1%) 27 (14.9) 1 (0.6%) 25 (13.8%)
როგორ ახდენთ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობის შემოწმებას? <ul style="list-style-type: none"> <li>• დისკუსიები</li> <li>• ადგილზე შემოწმება</li> <li>• მიჭირს პასუხის გაცემა</li> </ul>	110 (60.8%) 54 (29.8%) 17 (9.4%)
რა სიხშირით მუშავდება CIRS სისტემაში შეტანილი ანგარიშგებები? <ul style="list-style-type: none"> <li>• ყოველკვირეულად</li> <li>• ყოველდღიურად</li> <li>• ყოველთვიურად</li> <li>• მიჭირს პასუხის გაცემა</li> </ul>	86 (47.5%) 71 (39.2%) 7 (3.9%) 17 (9.4%)

როგორ ხდება თანამშრომლების ინფორმირება CIRS სისტემაში დარეგისტრირებული მოვლენების ან განხორციელებული ღონისძიებების შესახებ?	
<ul style="list-style-type: none"> <li>• ყველა თანამშრომლისთვის ხელმისაწვდომი პორტალით (ინტრანეტით)</li> <li>• ელექტრონული ფოსტით</li> <li>• შეხვედრები / კონფერენციები</li> <li>• მიჭირს პასუხის გაცემა</li> </ul>	<p>132 (72.9%)</p> <p>30 (16.6%)</p> <p>8 (4.4%)</p> <p>11 (6.1%)</p>

### დისკუსია

კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემა საქართველოში მხოლოდ ერთ საავადმყოფოშია დანერგილი. 2013 წლიდან 2019 წლის ჩათვლით ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში ჯანმრთელობის დაცვის პროფესიონალების მიერ ნებაყოფლობით დაფიქსირდა 548 კრიტიკული შემთხვევა. მოცემულ პერიოდში კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემაში დაფიქსირებული შემთხვევების რაოდენობა გაიზარდა 43-დან 548-მდე, ანუ 13-ჯერ. კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემაში დარეგისტრირებული შემთხვევების ყოველწლიურ ზრდას ხელი შეუწყო ჩატარებულმა ტრენინგებმა.

დაფიქსირებული კრიტიკული შემთხვევების ყოველწლიური ზრდა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ რეალურად მათი რაოდენობა უფრო მეტია, შესაბამისად, კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემაში გამოვლენილი შემთხვევები კრიტიკული შემთხვევების ფაქტიური რაოდენობის მხოლოდ მცირე ნაწილია. ამასთან, იმის გამო, რომ საქართველოში კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგების სისტემა მოქმედებს მხოლოდ ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში, შეუძლებელია მისი შედარება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ევროპის ქვეყნების სამედიცინო ორგანიზაციებთან.

კვლევა აჩვენებს, რომ კრიტიკული შემთხვევების ანგარიშგებას ყველაზე ხშირად ახდენენ ექთნები (44%), თუმცა, ექიმთა ჩართულობა წლიდან წლამდე სტაბილურად იზრდება (28%).

კვლევამ აჩვენა, რომ კრიტიკული შემთხვევების წარმოშობა უმთავრესად დაკავშირებულია პერსონალის პირად პასუხისმგებლობასთან, კერძოდ ყურადღების ნაკლებობასთან და არსებული გაიდლაინების და სტანდარტების უგულებელყოფასთან, არასაკმარის კომპეტენციებთან. იგივე შედეგები იქნა მიღებული სხვა კვლევებითაც (Hoffmann და სხვ. 2019). უყურადღებობის და სტანდარტების უგულებელყოფის მაგალითებია: ქირურგიული უსაფრთხოების შიდა და საერთაშორისო გაიდლაინები/პროტოკოლები არასწორი გამოყენება, დარღვევები ჰიგიენის წესების დაცვაში. გაიდლაინების შეუსრულებლობა შეიძლება დაკავშირებული იყოს მისი პრინციპების შესახებ პერსონალის არასათანადო, არასრულყოფილ ტრენინგებთან. ყურადღების ნაკლებობა შეიძლება იყოს სტრესის, რუტინული პროცედურების არცოდნის ნიშანი.

კრიტიკული შემთხვევების წარმოშობაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა არადამაკმაყოფილებელი სიტყვიერი, წერილობითი ან სხვა სახის კომუნიკაცია ჯანდაცვის პროფესიულ ჯგუფებს შორის (10%). იგივე შედეგები იქნა მიღებული სხვა კვლევებითაც (Hohenstein და სხვ. 2016). თუმცა, სხვა კვლევების მიხედ-

ვით, კრიტიკული შემთხვევების წარმოშობა ძირითადად დაკავშირებულია სამედიცინო მოწყობილობებთან და კლინიკურ პრაქტიკასთან (Welters და სხვ. 2011).

კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემა შეიძლება განვიხილოთ როგორც უსაფრთხოების ამალების პოზიტიური ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია შეცვალოს პერსონალის დამოკიდებულება რისკებზე, გაზარდოს მათი სიფრთხილე და ყურადღება, ინფორმირებულობა საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. კვლევამ აჩვენა, რომ საავადმყოფოს პერსონალი ითვალისწინებს კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემის რეკომენდაციებს, ხოლო განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობის შემოწმება ძირითადად ხორციელდება დისკუსიებით და ადგილზე შემოწმებით.

კრიტიკული შემთხვევების ანგარიშებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ კრიტიკული შემთხვევების შესამცირებლად აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებაში. ამისათვის ყველა თანამშრომლისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემის ანგარიშები ინტრანეტის პორტალის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. კვლევამ აჩვენა, რომ კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემაში დარეგისტრირებული შემთხვევების ან განხორციელებული ღონისძიებების შესახებ თანამშრომელთა ინფორმირება უმთავრესად ხორციელდება ყველასთვის ხელმისაწვდომი პორტალით - ინტერნეტით. ამასთან, საჭიროა კრიტიკული შემთხვევების ანგარიშებების სტატისტიკის პერიოდული შეგროვება, რომ საავადმყოფოს მენეჯერებს მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია. კვლევამ აჩვენა, რომ კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემაში შეტანილი ანგარიშებები უმეტესად მუშავდება ყოველკვირეულად და ყოველდღიურად.

### დასკვნა

კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემის ანალიზი მნიშვნელოვანია სამედიცინო შეცდომების შესამცირებლად ცნობიერების ასამაღლებლად. კვლევამ აჩვენა, რომ კრიტიკული შემთხვევებიდან მეტი წილი მოდის გაიდლაინების და სტანდარტების უგულებელყოფაზე. აქედან გამომდინარე, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ხელების ჰიგიენა, ქირურგიული უსაფრთხოების სტანდარტების სათანადო გამოყენება. კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა სამედიცინო პერსონალის უწყვეტი ტრენინგები.

კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც კლინიკური რისკის მართვის ეფექტური ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კრიტიკული შემთხვევების პოტენციური წყაროების გამოსავლენად და ხელს უწყობს სამედიცინო ორგანიზაციაში პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. კრიტიკული შემთხვევების კატეგორიზაცია საფრთხეების და წინასწარ დადგენილი მიზეზების მიხედვით ხელს უწყობს სამედიცინო ორგანიზაციის მოქმედების სფეროების გამოვლენას და შესაბამისად მის განვითარებას.

ამგვარად, სასურველია კრიტიკული შემთხვევების ანგარიშების სისტემის ფართოდ დანერგვა საქართველოს სამედიცინო ორგანიზაციებში.

**გამოყენებული ლიტერატურა**

- ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2018. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. თბილისი. 2019.
- Valentin A, Capuzzo M, Guidet B, Moreno R, Metnitz B, Bauer P, et al. Errors in administration of parenteral drugs in intensive care units: multinational prospective study. *BMJ*. 2009;338(mar12 1):b814 Available from: <https://www.bmj.com/content/bmj/338/bmj.b814.full.pdf>.
- Petschnig W, Haslinger-Baumann E. Critical Incident Reporting System (CIRS): a fundamental component of risk management in health care systems to enhance patient safety. *Saf Heal*. 2017;3(1):9 Available from: <http://safetyinhealth.biomedcentral.com/articles/10.1186/s40886-017-0060-y>.
- Mitchell I, Schuster A, Smith K, Pronovost P, Wu A. Patient safety incident reporting: a qualitative study of thoughts and perceptions of experts 15 years after “To Err is Human”. *BMJ Qual Saf*. 2016;25(2):92–9 Available from: <https://qualitysafety.bmj.com/content/25/2/92.long>.
- Frey B, Kehrer B, Losa M, Braun H, Berweger L, Micallef J, et al. Comprehensive critical incident monitoring in a neonatal-pediatric intensive care unit: experience with the system approach. *Intensive Care Med*. 2000;26(1):69–74 Available from: <http://link.springer.com/10.1007/s001340050014>.
- Macrae C. The problem with incident reporting. *BMJ Qual Saf*. 2016;25(2):71–5 Available from: <https://qualitysafety.bmj.com/content/qhc/25/2/71.full.pdf>.
- Gnoni MG, Saleh JH. Near-miss management systems and observability-in-depth: handling safety incidents and accident precursors in light of safety principles. *Saf Sci*. 2017;91:154–67 Available from: <http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0925753516301734>.
- Sendlhofer G, Eder H, Leitgeb K, Gorges R, Jakse H, Raiger M, et al. Survey to identify depth of penetration of critical incident reporting systems in Austrian healthcare facilities. *Inq J Heal Care Organ Provision Financ*. 2018;55:004695801774491 Available from: <http://journals.sagepub.com/doi/10.1177/0046958017744919>.
- Howell A-M, Burns EM, Hull L, Mayer E, Sevdalis N, Darzi A. International recommendations for national patient safety incident reporting systems: an expert Delphi consensus-building process. *BMJ Qual Saf*. 2017;26(2):150–63. Available from: <https://qualitysafety.bmj.com/content/26/2/150.long>.
- Archer G, Colhoun A. Incident reporting behaviours following the Francis report: A cross-sectional survey. *J Eval Clin Pract*. 2017; Available from: <http://doi.wiley.com/10.1111/jep.12849>.
- Bass BM. Two decades of research and development in transformational leadership. *Eur J Work Organ Psychol*. 1999;8(1):9–32 Available from: <http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/135943299398410>.
- Nembhard IM, Edmondson AC. Making it safe: the effects of leader inclusiveness and professional status on psychological safety and improvement efforts in health care teams. *J Organ Behav*. 2006;27(7):941–66 Available from: <http://doi.wiley.com/10.1002/job.413>.
- Reis CT, Paiva SG, Sousa P. The patient safety culture: a systematic review by characteristics of hospital survey on patient safety culture dimensions. *Int J Qual Health Care*. 2018;30(9):660–77 Available from: <https://academic.oup.com/intqhc/article-abstract/30/9/660/4998840?redirectedFrom=fulltext>.

- Hillen H, Pfaff H, Hammer A. The association between transformational leadership in German hospitals and the frequency of events reported as perceived by medical directors. *J Risk Res.* 2017;20(4):499–515 Available from: <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/13669877.2015.1074935>.
- Premeaux SF, Bedeian AG. Breaking the silence: the moderating effects of self-monitoring in predicting speaking up in the workplace\*. *J Manag Stud.* 2003;40(6):1537–62 Available from: <http://doi.wiley.com/10.1111/1467-6486.00390>.
- NHS. Learning from patient safety incidents; 2014. Available from: <https://improvement.nhs.uk/resources/learning-from-patient-safety-incidents/>.
- Sendlhofer G, Leitgeb K, Kober B, Brunner G, Kamolz L-P. The evolution of the Critical Incident Reporting System in an Austrian university hospital. *Z Evid Fortbild Qual Gesundheitswes.* 2016;114:48–57 Available from: [https://zefq-journal.com/article/S1865-9217\(16\)30121-0/fulltext](https://zefq-journal.com/article/S1865-9217(16)30121-0/fulltext).
- Sendlhofer G, Eder H, Leitgeb K, Gorges R, Jakse H, Raiger M, et al. Survey to identify depth of penetration of critical incident reporting systems in Austrian healthcare facilities. *Inq J Heal Care Organ Provision Financ.* 2018;55:1-8.
- Hoffmann M, Sendlhofer G, Pregartner G, Gombotz V, Tax C, Zierler R, et al. Interventions to increase hand hygiene compliance in a tertiary university hospital over a period of 5 years: An iterative process of information, training and feedback. *J Clin Nurs.* 2019;28(5–6):912–9. <http://doi.wiley.com/10.1111/jocn.14703>.
- Hohenstein C, Fleischmann T, Rupp P, Hempel D, Wilk S, Winning J. German critical incident reporting system database of prehospital emergency medicine: Analysis of reported communication and medication errors between 2005-2015. *World J Emerg Med.* 2016;7(2):90–6. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4905875/pdf/WJEM-7-90.pdf>
- Welters ID, Gibson J, Mogk M, Wenstone R. Major sources of critical incidents in intensive care. *Crit Care.* 2011;15 <http://ccforum.com/content/15/5/R23>.

*Tengiz Verulava*

*Doctor of Medicine, Professor*

*School of Medicine and Healthcare Management, Caucasus University*

**SCHOOL OF MEDICINE AND HEALTHCARE MANAGEMENT, CAUCASUS UNIVERSITY  
CHALLENGES OF INTRODUCING CRITICAL INCIDENT REPORTING SYSTEM IN  
GEORGIA**

DOI: [10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.01.TENGIZ.VERULAVA](https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.01.TENGIZ.VERULAVA)

**Expanded Summary**

Critical Incident Reporting System (CIRS) have become most common patient safety tools in healthcare. The purpose of this study was to present the development of CIRS in Georgia. A quantitative approach using a cross sectional survey was adopted. The most common critical incidents were due to lack of personal attention and related to individual errors. The most of the critical incidents arise from non-adherence to guidelines and standards. CIRS can be seen as an effective clinical risk management tool that can be used to identify potential sources of critical incidents and help ensure patient safety at a healthcare organization.

**Key words:** Medical errors Quality assurance Health care Risk management Patient safety

Patient safety is a specific indicator of the quality of medical care (Hajimohammadi, et al., 2018; Verulava, 2018). Safety is about protecting the patient from the risk of complications, injury, and adverse outcomes. To improve patient safety, many countries have introduced a Critical Incident Reporting System (CIRS) that makes it easier to identify potential harm to a patient (Mitchell et al., 2016). CIRS includes the development of a reporting system in health-care organizations will focus on error detection, reporting, and training based on these errors, which will not be based on sanctions and punitive actions.

**The aim** of the study is to determine how effectively CIRS is used and how often critical incidents are detected in a hospital, as well as how well healthcare professionals recognize it as a risk management tool.

**Methodology:** The study was conducted at the Chapidze Emergency Cardiology Center. For the evaluation of the deployment of the CIRS all available computerized data base and the medical records of critical incident cases reported to Center were studied for the 2015-2019 period. The research design was a descriptive, cross-sectional survey. This was a quantitative approach. Purposive sampling was used to recruit the personnel (managers and clinicians) involved in the CIRS. In total, 196 employees of the center were contacted by e-mail, 181 of which completed and returned a survey (92% response rate). They included doctors (n=52, 29%), nurses (n=95, 52%) and managers (n=34, 19%). Responders were interviewed using a semi-structured questionnaire.

**Results:** The CIRS is introduced in only one hospital in Georgia. From 2013 to 2019, at the Chapidze Emergency Cardiology Center, the number of incidents recorded in the CIRS increased from 43 to 548, or 13 times. The trainings carried out for the personnel contributed to the annual increase in the number of incidents reported in the CIRS.

The annual increase in the number of reported critical incidents suggests that there are actually more cases, so the number of cases identified in the CIRS is only a small fraction of the actual number of critical incidents. However, due to the fact that the CIRS in Georgia operates only at the Chapidze Emergency Cardiology Center, it is impossible to compare it with medical organizations neither within the country nor in European countries.

The study shows that critical incidents are most often reported by nurses, but doctor participation is growing steadily from year to year. We suggest that continuous training on using CIRS needs a certain period to attract all personnel.

The study shows that the occurrence of critical incidents is mainly associated with the personal responsibility of the staff, namely, with a lack of attention and disregard for existing guidelines and standards, lack of competence. The same results have been obtained in other studies (Hoffmann et al., 2019). Examples of negligence and disregard for standards include the missing or wrong usage of the surgical safety checklist, national and international surgical safety guidelines/protocols, violations of hygiene norms. Failure to comply with guidelines may be due to inadequate, incomplete training of personnel in its principles. In this regard, it is necessary to raise the level of awareness of employees. Inattention can be a sign of stress, lack of knowledge of routine procedures.

Unsatisfactory oral, written, or other form of communication between groups of health care workers also played an important role in the occurrence of critical incidents. The same results have been obtained in other studies (Hohenstein et al., 2016). However, according to other studies, the occurrence of critical incidents is mainly related to medical devices, clinical practice and pharmaceuticals (Welters et al., 2011).

CIRS can be seen as a positive safety enhancement tool that can change the attitude of personnel to risks, increase their vigilance and attention, and awareness of best practices. The study showed that hospital staff adheres to the recommendations of the CIRS, and the effectiveness of the measures carried out is mainly determined through discussion and on-site inspections.

The main obstacle to reporting critical incidents in the CIRS can be a fear of social pressure or punishment in cases where people who have reported the incidents can be identified (Hillen,

Pfaff & Hammer, 2017; Okuyama, Wagner & Bijnen, 2014). The concepts of confidence and trust permeated the data, with particular reference to the anonymous and confidential handling of reports (Waring, 2004). In this regard, important are those socio-cultural aspects of medical professionalism that emphasize the significance of collegiality (Premeaux, Bedeian, 2003).

There is yet no real improvement or routine use of CIRS in hospitals throughout the country. One reason could be an insufficient announcement and explanation of the safety reporting system. Another reason may be the fear in personal that any reported incident would cause a backlash disciplinary by the employer (Haller et al., 2011). Whether incident data are disclosable in potential prosecutions, may also play a role (Şalvız et al., 2016). Solution to this problem is to make reports anonymous so that individual clinicians cannot be identified. There is no legal provision to protect reporting people.

CIRS can play an important role in a learning organization by providing the information needed and serving as the basis of a standardized process taken to reduce the number of critical incidents. To do this, all employees must have access to CIRS accounts via intranet or email. The study showed that the employees are informed about the incidents or measures registered in the CIRS mostly through an intranet - a portal accessible for everyone. In addition, periodic collection of critical incidents statistics is required to provide relevant information to hospital managers. Research has shown that reports sent to the CIRS are mostly processed weekly and daily.

This study is very important as there has been no previously published data on CIRS in Georgia. This is the first useful mirror that shows the actual condition of the patient safety and reporting systems in hospitals. In our view, this will shed light on the future establishments of CIRS and improvements.

### **Conclusion**

Systematic analysis of critical incidents is important to reduce medical errors and raise awareness. Research has shown that most of the critical incidents arise from non-adherence to guidelines and standards. Therefore, great attention should be paid to issues such as hand hygiene, the correct application of surgical safety standards. Continuous training of medical personnel is necessary for the further development of the CIRS.

CIRS can be seen as an effective clinical risk management tool that can be used to identify potential sources of critical incidents and help ensure patient safety at a healthcare organization. Categorization of critical incidents in accordance with threats and predetermined reasons helps to determine the directions of the medical organization's activities and, respectively, its development.

Thus, it is desirable to widely introduce the CIRS in medical organizations of Georgia. As the reporting system is set up, future studies will be required either for the promotion, assessment and supervision of CIRS.



ეკონომეტრიკა- ECONOMETRICS



სტატია ფინანსურად მხარდაჭერილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ პროექტის №YS-21-3831

*გიორგი მიქელაძე*  
ეკონომიკის დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**საქართველოს შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების ეკონომეტრიკულ-სტატისტიკური მოდელირების შესაძლებლობები მცირე ზომის ერთეულების მიხედვით: შერჩევითი და არაშერჩევითი გამოკვლევის მეთოდოლოგიური ანალიზი და მსგავსი ცვლადების იდენტიფიცირება**

**ანოტაცია.** სტატიაში განხილულია საქართველოს შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების ინფორმაციის ძირითადი წყაროს „შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის“ და „საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის“ გამოკვლევების მეთოდოლოგიის, საველე ინსტრუმენტარის, მეტამონაცემების დეტალური ანალიზი, რის საფუძველზეც განხორციელებულია 40-მდე მსგავსი ცვლადის იდენტიფიცირება.

სტატიაში დასაბუთებულია, რომ მსგავსი ცვლადების უმეტესობა საჭიროებს შესაბამისი მოდიფიცირების (აგრეგირება, დისაგრეგირება, ხელახლა კოდიფიცირება, ახალი ცვლადის შექმნა და სხვა) განხორციელებას, რათა შემდეგ შესაძლებელი გახდეს მათი შემდგომი გამოყენება: 1) ემპირიულ ანალიზში – დროითი მწკრივების ანალიზისა და მცირე ტერიტორიული ერთეულების შეფასებების ემპირიული მოდელების ფორმირებისთვის, 2) მონაცემთა ბაზების ბმის შესაძლებლობისთვის და 3) სხვა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებისთვის (მონაცემთა კორექტირება, მოსწორება, იმპუტაცია და სხვა).

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა, საქართველოს საყოველთაო აღწერა, მცირე ზომის შეფასების მეთოდები, სტატისტიკური გამოკვლევების მეთოდოლოგია, მეტამონაცემები და საველე ინსტრუმენტარი.

**JEL Codes:** P 20, P 31, P 40, P 52

**შესავალი**

1970 წლიდან ჩამოყალიბდა მცირე ზომის ტერიტორიული ერთეულების SAE მოდელები, რომელთა ფუძემდებლად FAY და Herriot მოიაზრება. შინამეურნეობების სტატისტიკური გამოკვლევები, როგორც წესი რეპრეზენტატულია მაღალი აგრეგირების დონეზე. აღნიშნული მეთოდის მეშვეობით, სტატისტიკური გამოკვლევის მცირე და დიდი ზომის მონაცემებით მიიღება შეფასებები აგრეგირების

მცირე ჭრილში. მცირე ზომის ერთეულების შეფასების მოდელები (SAE) პირობითად იყოფა ორ ჯგუფად: 1) ტერიტორიული ერთეულის და 2) დაკვირვების ერთეულის მოდელებად. აღნიშნული მოდელები ძირითადად განსხვავდება სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობით [1, მიქელაძე გ.].

წარმოშობის მიზანს წარმოადგენს საქართველოს მაგალითზე შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების შეფასებების მიღება მცირე ტერიტორიულ ჭრილში (მუნიციპალიტეტები/თბილისის რაიონები) ემპირიული მოდელების რეალიზაციის მეთოდების გამოყენებით, რაც გულისხმობს შერჩევითი (შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების) და არაშერჩევითი (საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის გამოკვლევების მეთოდოლოგის, სავლე ინსტრუმენტარის) მეტამონაცემების დეტალური ანალიზის საფუძველზე მსგავსი ცვლადების იდენტიფიცირებას.

### **შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის ინსტრუმენტარი**

საქართველოში შინამეურნეობების შემოსავლების, ხარჯებისა და ცხოვრების დონის სხვა სტატისტიკური მაჩვენებლების წყაროს „შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა“ (2017 წლამდე „შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა“) წარმოადგენს. აღნიშნული გამოკვლევა შერჩევითია, მონაცემები გროვდება ყოველთვიურად, აგრეგირებული მონაცემები ვრცელდება წლიურად და მაჩვენებლები არის რეპრეზენტატიული საქართველოს კერძო შინამეურნეობებზე ქვეყნისა და ადმინისტრაციული რეგიონის დონეზე. გამოკვლევა ხორციელდება შვიდი კითხვარის გამოყენებით [12, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მეთოდოლოგია]:

- ❖ შინდა 01 - საწყისი ინტერვიუ;
- ❖ შინდა 02 - საკონტროლო ბარათი;
- ❖ შინდა 03 - ხარჯების დღიური;
- ❖ შინდა 04 - ხარჯების კვარტალური კითხვარი;
- ❖ შინდა 05 - ტრანსფერტები ქონებიდან და შემოსავლები, დანაზოგები;
- ❖ შინდა 05-1 - დასაქმებისა და შემოსავლების კითხვარი;
- ❖ შინდა 07 - უარის ფურცელი.

**შინდა 01 - საწყისი ინტერვიუ.** კითხვარი წარმოადგენს წლიურს, მისი მეშვეობით შინამეურნეობის გამოკითხვა ხორციელდება მხოლოდ პირველი ინტერვიუს დროს და მის შესახებ მიღებული ინფორმაცია გროვდება შემდეგ საკითხებზე: 1) საცხოვრებელი პირობები: ფლობა, დაქირავება და ა.შ; 2) საცხოვრისის ძირითადი მასალა: საცხოვრისის გარე კედლები, მისი იატაკი და სახურავი; 3) შინამეურნეობის მიერ დაკავებული საცხოვრებლის ფართობი: საერთო და საცხოვრებელი; 4) საცხოვრებლის ოთახების რაოდენობა: საერთო და საძინებელი; 5) შინამეურნეობის უზრუნველყოფა: სამზარეულო, მარანი ან სარდაფი, სააბაზანო, ავტოფრეზი; 6) საცხოვრისის სასმელი და სანიტარიულ-ჰიგიენური წყალმომარაგების ძირითადი წყარო: ტიპის იდენტიფიცირების გარეშე (გაუმჯობესებული, გასაუმჯობესებელი); 7) ტუალეტის ტიპი: ტიპის იდენტიფიცირების გარეშე (გაუმჯობესებული, გასაუმჯობესებელი); 8) შინამეურნეობა უზრუნველყოფილია შემდეგი ნივთებით და მომსახურებით: ცხელი წყლის ცენტრალური სისტემა, ელექტროობა, გაზმომარაგების ცენტრალური სისტემა, თხევადი აირით გაზმომარაგება (ბალონი), გათბობის ინდი-

ვიდუალური სისტემა, სტაციონარული ტელეფონი, ინტერნეტი (არ მოიცავს მობილურ ინტერნეტს); 9) საკუთრებაში არსებული ხანგრძლივი მოხმარების საგნები: მაცივარი, სარეცხი მანქანა, ტელევიზორი, პერსონალური კომპიუტერი, ავტომობილი, გაზქურა/ელექტროქურა, მობილური ტელეფონი, გამათბობელი და ა.შ.; 10) ძირითადი საცხოვრებლის გარდა სხვა საცხოვრებლის, აგარაკის ან მიწის ფართობის ფლობა, რომელსაც არ იყენებენ სამეურნეო დანიშნულებით; 11) ფართობი, რომელიც უკავია ჩამოთვლილ კულტურებს მიწაზე, რომელსაც შინამეურნეობა უვლის: ვენახი, ხეხილი, ჩაი, ციტრუსები, ხორბალი, სიმინდი, ბოსტნეულ-ბაღჩეული, კარტოფილი, პირუტყვის საკვები, სათიბ-სამოვარი, მზესუმზირა, თამბაქო, ლობიო, სოიო, თხილი და სხვა; 12) მიწის ნაკვეთები, რომელსაც შინამეურნეობა უვლის: ფართობი, საკუთრების ფორმა და მანძილი საცხოვრებლიდან; 13) შინაური ცხოველებისა და ფრინველების რაოდენობა შინამეურნეობაში; 14) სიღარიბის სუბიექტური შეფასებები.

**შინდა 02 - საკონტროლო ბარათი.** კითხვარი წარმოადგენს წლიურ გამოკითხვას, მისი მეშვეობით შინამეურნეობის გამოკითხვა ხორციელდება მხოლოდ პირველი ინტერვიუს დროს. ინფორმაცია გროვდება შემდეგ საკითხებზე: 1) შინამეურნეობის წევრის სახელი და გვარი; 2) შინამეურნეობის წევრის მიმართება შინამეურნეობის უფროსთან; 3) შინამეურნეობის წევრის სქესი, დაბადების თარიღი, ასაკი, ეროვნება, ოჯახური მდგომარეობა; 3) შინამეურნეობის წევრის განათლების მიღწეული დონე: წერა-კითხვის უცოდინარი, არ აქვს განათლება, მაგრამ შეუძლია წერა-კითხვა, სკოლამდელი განათლება, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური, ზოგადი განათლების საბაზო საფეხური (არასრული საშუალო), სრული ზოგადი განათლება (სრული საშუალო), პროფესიული განათლება სრული ზოგადი განათლების ატესტატის გარეშე, პროფესიული განათლება საბაზო (არასრული საშუალო) განათლების ბაზაზე, სრული ზოგადი განათლების ატესტატით, პროფესიული განათლება სრული ზოგადი განათლების ბაზაზე (გარდა უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა), უმაღლესი პროფესიული განათლების ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი, ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი, მაგისტრის/რეზიდენტურის კურსდამთავრებული ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომი, დოქტორი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი; 4) შინამეურნეობის წევრის სპეციალური სტატუსი: ინვალიდი, იძულებით ადგილნაცვალი პირი, ქრონიკული ავადმყოფი და ა.შ.; 5) დროებით წასული, დაზღვევის ტიპი; 6) შინამეურნეობის წევრის მიერ ბოლო 3 თვის განმავლობაში ინტერნეტით რაიმე მოწყობილობის (მ. შ. მობილური ტელეფონის) გამოყენებით ინტერნეტით სარგებლობა; 7) შინამეურნეობის წევრის მიერ ბოლო 3 თვის განმავლობაში კომპიუტერით (მ.შ. ლეპტოპით ან პლანშეტურ კომპიუტერით) სარგებლობა; 8) გასული 3 თვის განმავლობაში დადიოდა თუ არა შინამეურნეობის წევრი: რეპეტიტორთან, სპორტულ წრეზე/სექციაზე, სახელოვნებო წრეზე/სექციაზე, სხვა წრეზე/სექციაზე, კურსებზე პროფესიის/ ხელობის დასაუფლებლად, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე.

**შენიშვნა:** ცვლილება შინამეურნეობის შემადგენლობასა და დემოგრაფიულ მონაცემებში კვარტალურად ფიქსირდება შინდა 05 კითხვარში.

**შინდა 03 - ხარჯების დღიური.** ხარჯების დღიური წარმოადგენს კვარტალურ კითხვარს და გამიზნულია ერთი კვირის განმავლობაში შინამეურნეობის წევ-

რების მიერ სასურსათო და არასასურსათო საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ჩანაწერების წარმოებისთვის. დღიურში უნდა ჩაიწეროს შინამეურნეობის ყველა ხარჯი მითითებულ შვიდდღიან პერიოდში. ხარჯების დღიურში ყოველი დღის შესახებ ინფორმაცია გროვდება სამი ცხრილის გამოყენებით:

- ❖ **ცხრილი 1.** მოიცავს ინფორმაციას მითითებულ დღეს სახლში მოტანილი (როგორც ნაყიდი, ასევე საკუთარ მეურნეობაში მოწეული), საჩუქრად ან ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული (როგორც პირადი მოხმარებისათვის, ისე გასაყიდი – საკუთარი ნაწარმის შემთხვევაში), პირუტყვის საკვებად (საკუთარი ნაწარმის შემთხვევაში) და გადასამუშავებლად საკვები პროდუქტების შესახებ, რაც ითვალისწინებს რაოდენობის, ზომის ერთეულის, პროდუქციის წარმომავლობის დანიშნულების, ლარში ხარჯისა და სხვა მახასიათებლების მითითებას.
- ❖ **ცხრილი 2.** მოიცავს ინფორმაციას შინამეურნეობის წევრის (წევრების) მიერ სახლის გარეთ (სასადილოში, კაფეში, ქუჩაში, სამსახურში და ა. შ.) კვებაზე გაწეული ხარჯების შესახებ, რაც ითვალისწინებს ადამიანების რაოდენობისა და ხარჯის მითითებას ლარში.
- ❖ **ცხრილი 3.** მოიცავს ინფორმაციას არასასურსათო საქონელსა და მომსახურების შესახებ, ითვალისწინებს რაოდენობის, ზომის ერთეულის, დანიშნულების, ლარში ხარჯისა და სხვა მახასიათებლების მითითებას.

**შინდა 04 - ხარჯების კვარტალური კითხვარი.** არის შინამეურნეობის კვარტალური ხარჯების კითხვარი, რომლის საანგარიშო პერიოდი გასული სამი თვით განისაზღვრება. კითხვარი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

**ხარჯები:**

- ❖ ხარჯები სახლ-კარის მოვლაზე: რემონტი, ენერჯია, კომუნალური გადასახადები;
- ❖ ხარჯები ავეჯსა და საოჯახო მოწყობილობაზე;
- ❖ ხარჯები ტანსაცმელზე, ფეხსაცმელსა და ქსოვილებზე;
- ❖ სამომხმარებლო ხარჯები ტრანსპორტზე;
- ❖ ხარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე;
- ❖ ხარჯები განათლებასა და ბავშვის მოვლაზე;
- ❖ ხარჯები დასვენებაზე, გართობასა და კულტურაზე;
- ❖ რიტუალებთან დაკავშირებული ხარჯები;
- ❖ სხვა ხარჯები: გადახდები დაზღვევაზე, დაბადების, პირადობის, ქორწინების, გარდაცვალების მოწმობაზე, პარსპორტზე გაწეული ხარჯი, ავტომობილის მართვის სწავლების, მართვის მოწმობის მიღების ხარჯები და ა.შ.;
- ❖ ხარჯები გადამუშავებისთვის შეძენილ პროდუქტზე ან საკლაზე.

**სოფლის მეურნეობა:**

- ❖ მიწათმოქმედება;
- ❖ მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მეთევზეობა.

**ენერჯიის მოხმარება:**

- ❖ ენერჯიის ფორმების მოხმარება.

**შინდა 05 - ტრანსფერტები ქონებიდან და შემოსავლები, დანაზოგები.** კითხვარი წარმოადგენს კვარტალურს, მისი მეშვეობით გროვდება ინფორმაცია შინამეურნეობის შემდეგ საკითხებზე:

- ❖ პენსიები, სტიპენდიები, დაზღვევა, დახმარება – მოიცავს ასაკისა და ინვალიდობის პენსიას, სტიპენდიებს, სოციალურ დახმარებებს და ა.შ.;
- ❖ საჩუქრების, დახმარებების ან/და უფასოდ მომსახურების სახით მიღებული შემოსავალები – მოიცავს ფულადი და არაფულადი (ნატურის) სახით საჩუქრად მიღებულ დახმარებებს;
- ❖ შინამეურნეობების მიერ მიღებული სხვა შემოსავალი – წილიდან (საწარმოში, რაიმე საქმეში), აქციებიდან, პროცენტი ობლიგაციებიდან, ანაზღაურებებიდან, გასესხებული თანხიდან, ბინის, აგარაკის, მანქანისა და სხვა საკუთრების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალები; მემკვიდრეობით მიღებული ფული; ალიმენტი; დაფინანსება გრანტის სახით და ა.შ.;
- ❖ შინამეურნეობის ფინანსური მდგომარეობის ცვლილება, რაც ითვალისწინებს ქონების გაყიდვას, ფულის სესხებას, ადრე გადანახული დანაზოგების გამოყენებას, ან ფულის მიღების სხვა წყაროების მოძებნას;
- ❖ ქონების ყიდვა-გაყიდვა – წილი კაპიტალში, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები; მიწა, სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა და მოწყობილობები; ავტომობილი, მოტოციკლი და სხვა სატრანსპორტო საშუალება; ანტიკვარული, უნიკალური ნივთები (მხატვრული ტილოები, კოლექციები); ძვირფასი ქვები, სამკაული, ოქრო და სხვა ძვირფასი მეტალები; ბინა, აგარაკი, ავტოფარები, სხვა უძრავი ქონება და ა.შ.;
- ❖ სხვა ცვლილებები ქონებრივ მდგომარეობაში – მემკვიდრეობით ან საჩუქრის სახით მიღებული ქონება;
- ❖ შინამეურნეობიდან გასულ წევრთაგან მიღებული და მათთვის გაგზავნილი გზავნილები – ინფორმაცია საქართველოს სხვა კუთხეში ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ წასული წევრებთან გაგზავნილი ან მიღებული გზავნილების შესახებ;
- ❖ ცვლილება შინამეურნეობის შემადგენლობაში გასულ სამ თვეში – შინამეურნეობების შემადგენლობისა და დემოგრაფიული მონაცემების ცვლილება.

**შინდა 05 1- ტრანსფერტები ქონებიდან და შემოსავლები, დანაზოგები.**

კითხვარი წარმოადგენს კვარტალურს, მისი მეშვეობით გამოიკითხება შინამეურნეობის 15 წლისა და უფროსი ასაკის ყველა წევრი და მოიცავს ინფორმაციას დასაქმებისა და შემოსავლების შესახებ ბიზნესსაქმიანობიდან და დაქირავებული შრომიდან გამომდინარე. ინფორმაცია გროვდება როგორც ძირითადი, ასევე არაძირითადი საქმიანობის შემდეგ საკითხებზე:

- ❖ საქმიანობის სახე – გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორი, სეკ (NACE Rev 2) (2016);
- ❖ საკუთრების ფორმა – მოიცავს სახელმწიფო საკუთრების, კერძო საკუთრებისა და სხვა ფორმებს;
- ❖ დასაქმების სახე – წერილობითი ან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრულ ხელფასზე (ფულადი ან ნატურით) მო-

მუშავე პირი; საკუთარ საწარმოში მომუშავე მეწარმე, მეურნე (დაქირავებული მომუშავეებით) და ა.შ.;

- ❖ შემოსავლის ოდენობა – დასაქმებიდან შრომის ანაზღაურება, მოგება და სხვა სახის შემოსავლები.

**შინდა 07 - უარების ფორცელი.** კითხვარი წარმოადგენს კვარტალურს და ივსება ერთი ფორმა დაკვირვების თითოეულ უბანზე. კითხვარი ივსება იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ უბანზე შინამეურნეობა, რომლის მისამართიც მოცემულია გამოსაკითხი შინამეურნეობების სიაში, რაიმე მიზეზით ვერ გამოკითხეს. უარის ფორმა მოიცავს როგორც ინტერვიუს არ ჩატარების მიზეზს, ასევე ამ შინამეურნეობის მატერიალური მდგომარეობის შეფასებას.

### საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის ინსტრუმენტარი

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდა პერიოდში – 2014 წლის 5 ნოემბრიდან 19 ნოემბერის ჩათვლით. მოსახლეობის აღრიცხვის მომენტს (კრიტიკული მომენტი) წარმოადგენდა 4-5 ნოემბრის შუალადის 12 საათი (ე.ი. მონაცემები არ შეგროვდა მოსახლეობის კრიტიკული მომენტის შემდეგ დაბადებული ბავშვებისა და ამ მომენტამდე გარდაცვლილი პირების შესახებ). აღწერამ მოიცვა ქვეყნის მთელი ტერიტორიის 82 პროცენტი (57 ათასი კვ.კმ). აღწერა ვერ ჩატარდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კერძოდ: აფხაზეთის არ-ში და ცხინვალის რეგიონში (მთლიანი ფართობი – 13 ათასი კვ.კმ). აღწერა ჩატარდა ქვეყნის დასახლებების (ქალაქი, დაბა, სოფელი) 79 პროცენტში, მოიცვა 71 თვითმმართველი ერთეული და 3726 დასახლება. აღწერა ვერ ჩატარდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ 1015 დასახლებაში. საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერა განხორციელდა ოთხი კითხვარის გამოყენებით [15, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტარი]:

- ❖ ფორმა 1 – კითხვარი საცხოვრისის შესახებ;
- ❖ ფორმა 2 – პერსონალური კითხვარი;
- ❖ ფორმა 3 – კითხვარი ემიგრანტების შესახებ;
- ❖ ფორმა 4 – კითხვარი სოფლის მეურნეობის შესახებ.

**ფორმა 1 – კითხვარი საცხოვრისის შესახებ.** კითხვარი მოიცავს შემდეგ საკითხებს: 1) შინამეურნეობის წევრის სახელი და გვარი; 2) შინამეურნეობაში დროებით არ მყოფნი, დროებით მცხოვრები, ემიგრანტი; 3) შინამეურნეობის წევრის დამოკიდებულება შინამეურნეობის უფროსთან, შინამეურნეობაში მცხოვრები დედის და მამის რიგითი ნომერი; 4) შინამეურნეობა არის თუ არა უსახლკარო; 5) საცხოვრებლის ტიპი: ინდივიდუალური სახლი, იზოლირებული (ცალკე) ბინა და სხვა; 6) საცხოვრისის აშენების წელი; 7) შინამეურნეობის მიერ დაკავებული საცხოვრებლის ფართობი: საერთო და საცხოვრებელი; 8) საცხოვრებლის საერთო ოთახების რაოდენობა; 9) საცხოვრებლის კეთილმოწყობის სახეები: ელექტროგაყვანილობა, ბუნებრივი აირი, გათბობის სისტემა, გათბობის ინდივიდუალური საშუალებები (ელექტრო- ან გაზის გამათბობელი, შეშის ღუმელი და ა.შ.), წყალგაყვანილობა, ტუალეტი (ჩარეცხვადი), კანალიზაცია, აბაზანა ან შხაპი, ცხელი წყლით მომარაგების სისტემა (საქვაზე, დენისა და გაზის გამაცხელებელი და ა.შ.); 10) საცხოვრისის სარგებლობის ფორმა; 11) სასოფლო-სამეურნეო მიწის, პირუტყვის, ფრინ-

ველის ან ფუტკრის ოჯახის (სკის) არსებობა; 12) ხეხილის, ციტრუსის, ბაღის, ბაღის ან ბოსტნის არსებობა; 13) წყალსატევების არსებობა აკვაკულტურისთვის.

**ფორმა 2 – პერსონალური კითხვარი.** კითხვარის მეშვეობით ინფორმაცია გროვდება შინამეურნეობის ყველა წევრზე და მოიცავს შემდეგ საკითხებს: 1) შინამეურნეობის წევრის პირადი ნომერი; 2) შინამეურნეობის წევრის სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, მოქალაქეობა, ეროვნება, აღმსარებლობა, ოჯახური მდგომარეობა; 3) ინფორმაცია შიდა მიგრაციასა და იმიგრაციის შესახებ; 4) დევნილის ან ლტოლვილის სტატუსის არსებობა; 5) ინფორმაცია ენების ფლობის შესახებ; 6) ინფორმაცია განათლების შესახებ: ამჟამად დადის თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, განათლების მიღწეული დონე; 7) ინფორმაცია შობადობის შესახებ; 8) ეკონომიკური საქმიანობის სტატუსი, დასაქმების სტატუსი, ეკონომიკური საქმიანობა, შემოსავლების წყაროები; 9) ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ: ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის არსებობა.

**ფორმა 3 – კითხვარი ემიგრანტების შესახებ.** კითხვარი ივსება შინამეურნეობიდან წასულ ყველა ემიგრანტ წევრზე და გროვდება ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: 1) პირის სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, მოქალაქეობა, ეროვნება, ოჯახური მდგომარეობა; 2) დევნილის სტატუსის არსებობა; 3) განათლების მიღწეული დონე; 4) ქვეყნიდან გასვლის თარიღი; 5) ქვეყანა, სადაც ამჟამად იმყოფება; 6) საქართველოდან წასვლის მიზეზი; 7) ინფორმაცია საქმიანობასთან დაკავშირებით; 8) ინფორმაცია შინამეურნეობას და ემიგრანტს შორის დახმარებასთან დაკავშირებით.

**ფორმა 4 – კითხვარი სოფლის მეურნეობის შესახებ.** კითხვარი მოიცავს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: 1) სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის შესახებ: საკუთარი, იჯარით აღებული, იჯარით გაცემული; 2) მეურნეობის მდებარეობა და მიწათსარგებლობა; 3) შინამეურნეობის სარგებლობაში არსებული მარავლწლოვანი ნარგავების რაოდენობა; 4) შინამეურნეობის სარგებლობაში არსებული ვაზის ძირთა რაოდენობა; 5) შინამეურნეობის სარგებლობაში არსებული პირუტყვის, ფრინველისა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობა; 6) ინფორმაცია შინამეურნეობაში წარმოებული პროდუქტის გამოყენების შესახებ; 7) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მოწყობილობები.

**მსგავსი ცვლადები შერჩევით („შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა - HIES“) და არაშერჩევით („საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერა- CENSUS 2014“) გამოკვლევაში**

მცირე ზომის ტერიტორიული ერთეულების ემპირიული მოდელების რეალიზებისთვის აუცილებელია მსგავსი ცვლადების იდენტიფიცირება შერჩევითი („შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა“) და არაშერჩევითი („საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერა“) გამოკვლევის მონაცემთა ბაზებიდან.

სტატისტიკური გამოკვლევის მეთოდოლოგიის, მეტამონაცემების, ინსტრუმენტარისა და მონაცემთა ბაზების ანალიზის საფუძველზე მოხდა მსგავსი ცვლადების იდენტიფიცირება, დადგინდა მეთოდოლოგიური მსგავსება და განსხვავება, შეფასდა ცვლადთა მოდიფიცირების საჭიროება (აგრეგირება, დისაგრეგირება, ხელახლა კოდიფიცირება, ახალი ცვლადის შექმნის საჭიროება და სხვა).

**ცხრილი 1.** მსგავსი ცვლადები, მეთოდოლოგიის ანალიზი და მოდიფიცირების საჭიროება [12-16, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური].

ცვლადის სახელი	ცვლადის აღწერა	მდებარეობა სველე ინსტრუმენტარში		მეთოდოლოგიის ანალიზი	მოდიფიცირების საჭიროება
		საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა	შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა		
<b>შინამეურნეობის მისამართი</b>	შინამეურნეობის მისამართი მოიცავს ინფორმაციას: 1) საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონის; 2) დასახლების (საქალაქო და სასოფლო) ტიპის და 3) მუნიციპალიტეტის/ თბილისის რაიონის შესახებ.	ინსტრუმენტარის სატიტულე გვერდი.	ინსტრუმენტარის სატიტულე გვერდი.	ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.	საჭიროა მუნიციპალიტეტის და თბილისის რაიონების ცვლადის კომბინირება, თბილისის მოსახლეობის ზომიდან და ერთგვაროვნების პრინციპიდან გამომდინარე. ემპირიულ მოდელის რეალიზაციისას გამოყენებულ უნდა იქნეს სამივე ცვლადი დამოუკიდებლად.
<b>მიმართება შინამეურნეობის უფროსთან</b>	აღნიშნულ ველში წარმოდგენილია მიმართება შინამეურნეობის უფროსთან.	ფორმა 1: „საცხოვრისში მცხოვრებთა სია“.	შინდა 02, კითხვა №2: „სახელი და გვარი“.	სტატისტიკურ გამოკვლევებში არსებობს ორი მეთოდი შინამეურნეობის სტრუქტურის დასახასიათებლად. პირველი: შინამეურნეობის რომელიმე ერთი წევრის მიმართ სხვა წევრების მიმართების დადგენა და მეორე: შინამეურნეობის წევრთა მიმართების მატრიცა, სადაც მოცემულია შინამეურნეობის ყველა წევრის მიმართება დანარჩენ წევრებთან. ორივე გამოკვლევა იყენებს პირველ მიდგომას, კოდიფიცირება მსგავსია თუმცა არაიდენტური, შესაძლებელია კატეგორიული მონაცემების გამოყენება.	ემპირიულ მოდელის რეალიზაციისას აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, რადგან 1) არ ატარებს ეკონომიკურ შინაარსს; 2) შესაძლებელია ერთი და იმავე შინამეურნეობის წევრთა მიმართება ორ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ადამიანის მიმართ იყოს განსაზღვრული. მონაცემთა შემდგომი ანალიზის პროცესში შეიქმნება ახალი მაჩვენებელი შინამეურნეობის ზომა, რომელიც გამოყენებული იქნება მოდელის



				რიების დაჯგუფებით მსგავსი კოდიფიცირების მიღება.	ემპირიულ რეალიზაციაში.
<b>ემიგრანტის სტატუსი</b>	კითხვა ახდენს შინამეურნეობის წევრების იდენტიფიცირებას, რომლებიც წასულები არიან შინამეურნეობიდან 1 წელზე მეტი ხნით.	ფორმა 1: „ემ.“	შინდა 02, კითხვა №14: „შინამეურნეობის შემადგენლობაში ცვლილება პირველი ინტერვიუს მდგომარეობასთან შედარებით“.	ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.	ემპირიული მოდელის რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, რადგან არ ატარებს ეკონომიკურ შინაარს. აღნიშნული ცვლადის შესახებ ინფორმაცია გამოყენებულ იქნება ახალ ცვლადში (შინამეურნეობის ზომაში).
<b>დროებით წასული</b>	კითხვა ახდენს შინამეურნეობის წევრების იდენტიფიცირებას, რომლებიც წასულები არიან შინამეურნეობიდან 3 თვიდან 1 წლამდე პერიოდით.	ფორმა 1: „დრ. არმც.“	შინდა 02, კითხვა №13: „დროებით წასული“.	ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.	ემპირიულ მოდელის რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, რადგან არ ატარებს ეკონომიკურ შინაარს. აღნიშნული ცვლადის შესახებ ინფორმაცია გამოყენებულ იქნება ახალ ცვლადში (შინამეურნეობის ზომაში).
<b>საცხოვრისი აშენების წელი</b>	კითხვის პასუხად უნდა მიეთითოს საცხოვრებლის აშენების წელი.	ფორმა 1: „საცხოვრისის აშენების წელი“.	შინდა 01, კითხვა №1: „როდის არის აგებული თქვენი საცხოვრისი?“	საყოველთაო აღწერა ითვალისწინებდა საცხოვრისის აშენების კონკრეტული წლის მითითებას, როდესაც შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში ხდება აშენების წლების ინტერვალის დაფიქსირება.	მსგავსი ტიპის ცვლადის ფორმირებისთვის აუცილებელია, მოხდეს პასუხის კატეგორიების დაჯგუფება, რაც გულისხმობს საყოველთაო აღწერის ბაზაში შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის იდენტური წლების ინტერვალური კატეგორიების შექმნას და შემდგომ მის გამოყენებას.

<p><b>საცხოვრისი საერთო ფართობი</b></p>	<p>გულისხმობს საცხოვრისის საერთო ფართობს კვადრატულ მეტრებში. საერთო ფართობში, საცხოვრებელი ოთახების ფართობის გარდა, შედის სამზარეულოს, დერეფნის, აბაჯანის, ტუალეტის, ღია ლოჯიის (შენიშვნაში ამოყვანილი ღია აივანი) და სხვა დამხმარე სათავსონაგებობების ფართობი. საერთო ფართობი არ შედის ეზოს ან სხვა მიმდებარე მიწის ნაკვეთის ფართობი.</p>	<p>ფორმა 1, კითხვა №4: „საერთო ფართობი (კვ.მ)“</p>	<p>შინდა 01, კითხვა №6: „ჩაწერეთ რამდენია შინამეურნეობის მიერ დაკავებული საცხოვრებლის ფართობი, ქვეკითხვა: საერთო ფართი“</p>	<p>ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.</p>	<p>ემპირიული მოდელების რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ საჭიროებს დამატებით მოდიფიცირებას.</p>
<p><b>საცხოვრებელი ოთახების საერთო ფართობი</b></p>	<p>გულისხმობს საცხოვრებელი ოთახების საერთო ფართობს კვადრატულ მეტრებში. საცხოვრებელ ფართობი არ შედის სამზარეულო, დერეფანი, აბაჯანა, ტუალეტი, ღია ლოჯია და სხვა დამხმარე სათავსონაგებობების ფართობი.</p>	<p>ფორმა 1, კითხვა №5: „საცხოვრებელი ოთახების საერთო ფართობი (კვ.მ)“</p>	<p>შინდა 01, კითხვა №6: „ჩაწერეთ რამდენია შინამეურნეობის მიერ დაკავებული საცხოვრებლის ფართობი, ქვეკითხვა: „საცხოვრებელი ფართი“</p>	<p>ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.</p>	<p>ემპირიული მოდელების რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ საჭიროებს დამატებით მოდიფიცირებას.</p>

<p><b>საცხოვრებელი ოთახების საერთო რაოდენობა</b></p>	<p>კითხვის პასუხად უნდა მიეთითოს საცხოვრებელი ოთახების ჯამური რაოდენობა. საცხოვრებელი ოთახი - საცხოვრისში განკუთვნილი ნაწილი, რომელიც შემოფარგლულია კვლებით ან ტიხრით და განცალკევებულია სხვა ოთახებისგან, რომელს გამოყენება შეიძლება სამინებლად. <b>შენიშვნა:</b> მოიცავს სტუდიოს ტიპის ოთახებსაც.</p>	<p>ფორმა 1, კითხვა №3: „საცხოვრებელი ოთახების საერთო რაოდენობა“.</p>	<p>შინდა 01, კითხვა №7: „ჩაწერეთ რამდენი ოთახია თქვენს საცხოვრისში? ქვეკითხვა: სულ?“</p>	<p>ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.</p>	<p>ემპირიული მოდელების რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ საჭიროებს დამატებით მოდიფიცირებას.</p>
<p><b>საცხოვრისში ელექტროგაყვანილობის არსებობა</b></p>	<p>კითხვა გულისხმობს საცხოვრისში ელექტროგაყვანილობის არსებობას. დენის მიწოდების წყაროდ ითვლება, როგორც ცენტრალური ასევე სხვა ალტერნატიული საშუალებები.</p>	<p>ფორმა 1, კითხვა №6: „საცხოვრისის კეთილწმომის სახეები, ქვეკითხვა: ელექტროგაყვანილობა“.</p>	<p>შინდა 01, კითხვა №11: „რითაა უზრუნველყოფილი თქვენი საცხოვრისი?“</p>	<p>ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.</p>	<p>ემპირიულ მოდელების რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ საჭიროებს დამატებით მოდიფიცირებას.</p>

<p><b>საცხოვრის-ში გათბობის სისტემის არსებობა</b></p>	<p>კითხვა გულისხმობს საცხოვრისში გათბობის სისტემის არსებობას.</p>	<p>ფორმა 1, კითხვა №6: „საცხოვრისის კეთილმოწყობის სახეები, ქვეკითხვა: გათბობის სისტემა“.</p>	<p>შინდა 01, კითხვა №11: „რითაა უზრუნველყოფილი თქვენი საცხოვრისი?“</p>	<p>საყოველთაო აღწერის აღნიშნულ კითხვაში გაერთიანებულია როგორც ცენტრალური გათბობა, რომლის ქვაბიც საცხოვრისის გარეთაა მოთავსებული, ასევე ის ცენტრალური გათბობის სისტემა, რომლის ქვაბიც შინამეურნეობაშია, ხოლო შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში კი - ცალ-ცალკეა (1. ცხელი წყლის ცენტრალური სისტემა და 2. გათბობის ინდივიდუალური სისტემა) წარმოდგენილი კითხვარში.</p>	<p>ემპირიულ მოდელის რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენებისთვის უნდა მოხდეს შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში შესაბამისი ორი ცვლადის გაერთიანება და ახალი მაჩვენებლის შექმნა.</p>
<p><b>ჩარეხვადი ტუალეტის არსებობა</b></p>	<p>აღნიშნება საცხოვრისს, თუ მასში დამონტაჟებულია ტუალეტი, რომელიც მიერთებულია წყალგაყვანილობასთან ან ირეცხება ერთჯერადად.</p>	<p>ფორმა 1, კითხვა №6: „საცხოვრისის კეთილმოწყობის სახეები, ქვეკითხვა: ტუალეტი (ჩარეცხვადი).“</p>	<p>შინდა 01, კითხვა №10: „როგორ ტუალეტს იყენებთ?“</p>	<p>ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.</p>	<p>ემპირიული მოდელის რეალიზებისას უნდა განხორციელდეს შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის კითხვიდან პასუხის შესაბამისი კატეგორი(ებ)ის ამორჩევა.</p>
<p><b>შინამეურნეობაში კანალიზაციის არსებობა</b></p>	<p>აღნიშნება საცხოვრისს, თუ მასში არის საკანალიზაციო მილსადენების ცენტრალური ან ინდივიდუალური სისტემა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გასადინებლად.</p>	<p>ფორმა 1, კითხვა №6: „საცხოვრისის კეთილმოწყობის სახეები, ქვეკითხვა კანალიზაცია“</p>	<p>შინდა 01, კითხვა №10: „როგორ ტუალეტს იყენებთ?“</p>	<p>ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.</p>	<p>ემპირიულ მოდელის რეალიზებისას უნდა განხორციელდეს შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის კითხვიდან პასუხის შესაბამისი კატეგორი(ებ)ის ამორჩევა.</p>

<p><b>შინამეურნეო ბაზი აბაზანის ან შხაპის არსებობა</b></p>	<p>აღენიშნება საცხოვრისს, თუ მასში დადგმულა აბაზანა ან შხაპი, მიუხედავად ცხელი წყლის მიწოდების საშუალებისა. აბაზანით ან შხაპით მოწყობილად არ ჩაითვლება საცხოვრისი, რომელშიც აბაზანა (შხაპი) დადგმულია, მაგრამ არ არის კანალიზაცია.</p>	<p>ფორმა 1, კითხვა №6: „აბაზანა ან შხაპი (კანალიზაციის არსებობის შემთხვევაში)?“</p>	<p>შინდა 01, კითხვა №8: „რამდენადაა უზრუნველყოფილი თქვენი საცხოვრისი, ქვეკითხვა: სააბაზანო?“</p>	<p>ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.</p>	<p>ემპირიულ მოდელის რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ საჭიროებს დამატებით მოდიფიცირებას.</p>
<p><b>შინამეურნეო ბაზი ცხელი წყლის მომარაგების სისტემის არსებობა</b></p>	<p>აღენიშნება საცხოვრისს, თუ მასში არის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის ცხელი წყლის მიწოდების რეგულაციის ცენტრალური, ისე ინდივიდუალური სისტემა.</p>	<p>ფორმა 1, კითხვა №6: „ცხელი წყლით მომარაგების სისტემა (საქვაბე, დენის და გაზის გამაცხელებელი და ა.შ.)“</p>	<p>შინდა 01, კითხვა №11: „რითაა უზრუნველყოფილი თქვენი საცხოვრისი?“</p>	<p>მეთოდოლოგია არის მსგავსი, თუმცა შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში ცალკეა წარმოდგენილი ცხელი წყლის მომარაგების ცენტრალური და ინდივიდუალური სისტემები.</p>	<p>ემპირიულ მოდელის რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენებისთვის უნდა განხორციელდეს შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში შესაბამისი ორი ცვლადის გაერთიანება და ახალი მაჩვენებლის შექმნა.</p>
<p><b>საცხოვრისის სარგებლობის ფორმა</b></p>	<p>კითხვის მეშვეობით დგინდება საცხოვრისის სარგებლობის ფორმა.</p>	<p>ფორმა 1, კითხვა №7: „სარგებლობის ფორმა?“</p>	<p>შინდა 01, კითხვა №2: „დასახელებული თქვენი საცხოვრისის საკუთრების ფორმა?“</p>	<p>მეთოდოლოგია არის მსგავსი, თუმცა კითხვის პასუხები არ არის იდენტური.</p>	<p>ერთნაირი ცვლადების (პასუხების) მისაღებად უნდა განხორციელდეს ორივე გამოკვლევის კითხვის პასუხების დაჯგუფება მსგავსი კატეგორიების მისაღებად.</p>

<p><b>შინამეურნეო ბაში სასოფლო-სამეურნეო მიწის, პირუტყვის, ფრინველის ან ფუტკრის ოჯახის (სკის) საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში არსებობა</b></p>	<p>კითხვის მიზანია, დადგინდეს ჰქონდა თუ არა შინამეურნეობის რომელიმე წევრს (დროებით არმყოფი წევრების ჩათვლით) სარგებლობაში სასოფლო-სამეურნეო მიწა, პირუტყვი, ფრინველი ან ფუტკრის ოჯახი (სკა).</p>	<p>ფორმა 1, კითხვა №8.1: „ჰქონდა თუ არა შინამეურნეობის რომელიმე წევრს საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში სასოფლო-სამეურნეო მიწა, პირუტყვი, ფრინველი ან ფუტკრის ოჯახი (სკა).“</p>	<p>შინდა 01, კითხვა №15: „ოყენებს თუ არა თქვენი ოჯახი რაიმე მიწას სამეურნეოდ?“  შინდა 01, კითხვა №19: „ჩაწერეთ შინაური ცხოველები სა და ფრინველები ის რაოდენობა თქვენს შინამეურნეობაში.“</p>	<p>ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი, თუმცა შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში ცალკეა წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო მიწა და პირუტყვის, ფრინველის ან ფუტკრის ოჯახის (სკის) ფლობა.</p>	<p>ემპირიულ მოდელების რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენებისთვის უნდა განხორციელდეს შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში შესაბამისი ორი ცვლადის გაერთიანება და ახალი მაჩვენებლის შექმნა.</p>
<p><b>შინამეურნეო ბაში ხეხილის, ციტრუსის, ბაღის, ბაღის საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში არსებობა</b></p>	<p>კითხვის მიზანია დადგინდეს ჰქონდა თუ არა შინამეურნეობის რომელიმე წევრს (დროებით არმყოფი წევრ(ებ)ის ჩათვლით) სარგებლობაში ხეხილის, ციტრუსის ან ვაზის ძირები, ბაღა ან ბოსტანი (აღნიშნული შესაძლებელია მდებარეობდეს შინამეურნეობის საკარმიდამო, სააგარაკე ან სხვა მიწაზე).</p>	<p>ფორმა 1, კითხვა №8.2: „ჰქონდა თუ არა შინამეურნეობის რომელიმე წევრს საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში ხეხილი, ციტრუსი, ვაზი, ბაღა ან ბოსტანი?“</p>	<p>შინდა 01, კითხვა №15: „ოყენებს თუ არა თქვენი ოჯახი რაიმე მიწას სამეურნეოდ?“</p>	<p>ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.</p>	<p>ემპირიული მოდელების რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ საჭიროებს დამატებით მოდიფიცირებას.</p>

<p><b>სქესი</b></p>	<p>კითხვის მიზანია დადგინდეს შინამეურნეობის წევრის სქესი.</p>	<p>ფორმა 2, კითხვა №2: „სქესი“</p>	<p>შინდა 02, კითხვა №4: „სქესი“</p>	<p>ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.</p>	<p>ემპირიულ მოდელის რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ საჭიროებს დამატებით მოდიფიცირებს.</p>
<p><b>დაბადების თარიღი</b></p>	<p>კითხვის მიზანია დადგინდეს შინამეურნეობის წევრის დაბადების თარიღი.</p>	<p>ფორმა 2, კითხვა №3: „დაბადების თარიღი“</p>	<p>შინდა 02, კითხვა №5: „დაბადების თარიღი“</p>	<p>ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.</p>	<p>ემპირიულ მოდელში დაბადების თარიღის ცვლადის გათვალისწინება უნდა განხორციელდეს ახალი, ასაკის, ცვლადის შექმნით, რომელიც იქნება წლებში მოცემული და გაანგარიშებული იქნება ინტერვიუს დროისა და დაბადების თარიღის მეშვეობით.</p>
<p><b>ეროვნება</b></p>	<p>კითხვის მიზანია დადგინდეს შინამეურნეობის წევრის ეროვნება.</p>	<p>ფორმა 2, კითხვა №6: „ეროვნება/ეთნიკური წარმომავლობა“</p>	<p>შინდა 02, კითხვა №7: „ეროვნება“</p>	<p>მეთოდოლოგია არის მსგავსი, თუმცა კითხვის პასუხის კატეგორიები არ არის იდენტური</p>	<p>ერთნაირი ცვლადის მისაღებად უნდა მოხდეს ორივე გამოკვლევის კითხვის პასუხების კატეგორიების დაჯგუფება, რათა მიღებულ იქნეს მსგავსი კატეგორიები.</p>
<p><b>შიდა მიგრაცია</b></p>	<p>შიდა მიგრაციად ითვლება რეგიონებს შორის, მუნიციპალიტეტებს და თვითმმართველ ქალაქებს შორის გადაადგილება, ამასთან ერთად, დიას მიეთითება მაშინ, თუ გადაადგილება მოხდა მუნიციპალიტეტის ფარგლებში (ქალაქიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, ქალაქიდან დაბაში, დაბიდან დაბაში, დაბიდან სო-</p>	<p>ფორმა 2, კითხვა №8.1: „ოდესმე გიცხოვრიათ თუ არა ქვეყნის ფარგლებში სხვა დასახლებაში 12 თვეზე მეტ ხანს?“  ფორმა 2, კითხვა №8.2: „წინასაგ-ხოვრებელი ადგილი ქვეყნის ფარგლებში?“</p>	<p>შინდა 02, კითხვა №11: „თუ გადმოსახლდით, საიდან?“</p>	<p>მეთოდოლოგია არის მსგავსი, თუმცა საყოველთაო აღწერაში წარმოდგენილია ორი კითხვის მეშვეობით, ხოლო შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში კი – ერთი კითხვით.</p>	<p>ემპირიულ მოდელის რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენებისთვის უნდა განხორციელდეს შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის კითხვის მეშვეობით ახალი (საყოველთაო აღწერის მსგავსი) ცვლადების გაანგარიშება.</p>

	ფელში, სოფ-ლიდან სოფელში და ა.შ).				
<b>იმეგრაცია</b>	დიახ მიეთითება პირს, რომელსაც უცხოვრია ქვეყნის ფარგლებს გარეთ 12 თვეზე მეტ ხანს, გარდა იმ პირისა და მისი ოჯახის წევრებისა, რომელიც იმყოფებოდა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან/და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინებით და პირი, რომელიც იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ქვეყნის ფარგლებს გარეთ.	ფორმა 2, კითხვა №9.1: „ოდესმე გიცხოვრიათ თუ არა ქვეყნის ფარგლებს გარეთ 12 თვეზე მეტ ხანს?“  ფორმა 2, კითხვა №9.2: „წინა საცხოვრებელი ქვეყანა“	შინდა 02, კითხვა №11: „თუ გადმოსახლდით, საიდან?“	მეთოდოლოგია არის მსგავსი, თუმცა საყოველთაო აღწერაში წარმოდგენილია ორი კითხვის მეშვეობით, ხოლო შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში კი - ერთი კითხვით.	ემპირიული მოდელის რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენებისთვის უნდა განხორციელდეს შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის კითხვის მეშვეობით ახალი (საყოველთაო აღწერის მსგავსი) ცვლადების გაანგარიშება.
<b>მისამართზე ცხოვრების ხანგრძლივობა</b>	კითხვის პასუხად უნდა მიეთითოს მისამართზე ცხოვრების ხანგრძლივობა.	ფორმა 2, კითხვა №8.3: „რომელი წლიდან ცხოვრობთ მუდმივად ამ დასახლებაში?“  ფორმა 2, კითხვა №9.3: „რომელ წელს ჩამოხვედით“	შინდა 02, კითხვა №10: "რამდენი ხანია ცხოვრობთ ამ მისამართზე?"	მეთოდოლოგია არის მსგავსი, თუმცა საყოველთაო აღწერაში წარმოდგენილია ორი კითხვის მეშვეობით (შიდა მიგრაციის და იმიგრაციის შემთხვევა), ხოლო შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში კი - ერთი კითხვით, ამასთან შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების	ემპირიული მოდელის რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენებისთვის უნდა განხორციელდეს საყოველთაო აღწერის კითხვების კომბინირება და ახალი (შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის მსგავსი) ცვლადის გაანგარიშება.



		მუდმივად საცხოვრებლად საქართველოში კ. 9.2-ში მითითებული ქვეყნიდან?”		გამოკვლევაში კითხვის პასუხები არის ინტერვალური სახით წარმოდგენილი.	
<b>დევნის ან ლტოლვილის სტატუსი</b>	კითხვის მიზანია გამოვლინდეს დევნილის ან ლტოლვილის სტატუსის მქონე შინამეურნეობის წევრი.	ფორმა 2, კითხვა №10: „დევნის ან ლტოლვილის სტატუსი“.	შინდა 02, კითხვა №12: „სპეციალური სტატუსი“.	ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.	ემპირიულ მოდელის რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ საჭიროებს დამატებით მოდიფიცირებას.
<b>განათლების მიღწეული დონე</b>	კითხვის მიზანია დაადგინდეს განათლების მიღწეული (და არა სწავლების მიმდინარე საფეხური) დონე.	ფორმა 2, კითხვა №13.3: „განათლების მიღწეული დონე“.	შინდა 02, კითხვა №8: „განათლების მიღწეული დონე“.	მეთოდოლოგია არის მსგავსი, თუმცა კითხვის პასუხის კატეგორიები არ არის იდენტური.	ერთნაირი ცვლადის მისაღებად უნდა მოხდეს ორივე გამოკვლევის კითხვის პასუხების კატეგორიების დაჯგუფება, რათა მიღებულ იქნეს მსგავსი კატეგორიები.
<b>ქორწინების მდგომარეობა</b>	კითხვის მიზანია დაადგინდეს შინამეურნეობის წევრის ოჯახური მდგომარეობა.	ფორმა 2, კითხვა №14: „ქორწინების მდგომარეობა“.	შინდა 02, კითხვა №9: „ოჯახური მდგომარეობა“.	ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.	ემპირიულ მოდელის რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ საჭიროებს დამატებით მოდიფიცირებას.
<b>ეკონომიკური საქმიანობის სტატუსი</b>	ეკონომიკური საქმიანობის ახორციელებს პირი, რომელსაც აღნიშნულ პერიოდში შესრულებული სამუშაოსათვის იღებს/მიიღებს გასამრჯელოს (ფულადი ან ნატურალური სახით). დასაქმებულს მიეკუთვნება პირი, რომელიც საანგარიშო პერი-	ფორმა 2, კითხვა №16: „ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე, ასრულებდით თუ არა რაიმე ეკონომიკურ საქმიანობას თუნდაც 1 საათით, ფულადი ან ნატურალური შემოსავლი მიზნით, ან	შინდა 05_1, კითხვა №1: „ასრულებდით თუ არა რაიმე სამუშაოს ხელფა-სის, მოგების ან სხვა შრომითი შემოსავლები (ფულადი ან ნატურის სახით, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო მოსავლის და პროდუქტების) მი-	განსხვავებულია საანგარიშო პერიოდი, კერძოდ, საყოველთაო აღწერით შეგროვებული ინფორმაცია გასულ კვირაზე, შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევით კი - გასულ სამ თვეზე.	მეთოდოლოგიური სხვაობიდან გამომდინარე ემპირიული მოდელის რეალიზებისას დამაკავშირებელ ფაქტორად აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ არის რეკომენდირებული.

	<p>ოდში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს (ეკონომიკურ საქმიანობას) თუნდაც 1 საათით, მიუხედავად იმისა, ეს სამუშაო იყო მუდმივი, დროებითი, სეზონური თუ შემთხვევითი.</p>	<p>გქონდათ სამუშაო ან საქმე, რომელსაც დროებით ვერ ასრულებდით გარკვეული მიზეზების გამო?”</p>	<p>საღებად, გასული სამი თვის რომელიმე პერიოდში ქვეყნის ფარგლებს შიგნით?”</p>		
<p><b>დასაქმების სტატუსი</b></p>	<p>უნდა მიეთითოს საქმიანობის ძირითადი ტიპი. იმ შემთხვევაში თუ რესპონდენტი ეწეოდა ერთზე მეტ საქმიანობას, დასაქმების სტატუსის მიეთითება იმ საქმიანობის მიხედვით, რომელსაც რესპონდენტი მიიჩნევს ძირითადად. იმ შემთხვევაში, თუ პირი ვერ საზღვრავს ძირითად საქმიანობას, მაშინ ძირითადად ჩაითვლება ის საქმიანობა, რითიც დასაქმებული იყო უფრო მეტ ხანს.</p>	<p>ფორმა 2, კითხვა №18: „დასაქმების სტატუსი“.</p>	<p>შინდა 05_1, კითხვა №7: „დასახელებული რომელია გასულ სამ თვეში თქვენი დასაქმების სახე ქვემოთ ჩამოთვლილთაგან“</p>	<p>განსხვავებულია საანგარიშო პერიოდი, კერძოდ საყოველთაო აღწერით შეგროვებულია ინფორმაცია გასულ კვირაზე, შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევით კი - გასულ სამ თვეზე.</p>	<p>მეთოდოლოგიური სხვაობიდან გამომდინარე ემპირიული მოდელების რეალიზებისას დამაკავშირებელ ფაქტორად აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ არის რეკომენდებული.</p>

<p><b>ეკონომიკური საქმიანობა</b></p>	<p>კითხვის დანიშნულებაა საწარმოს, ორგანიზაციის, კერძო საქმის, მეურნეობის და ა.შ. დასახელება, სადაც რესპონდენტი ძირითადად საქმიანობდა, და წარმოებული პროდუქტების განსაზღვრა.</p>	<p>ფორმა 2, კითხვა №18.1: „რომელ საწარმოში/ორგანიზაციაში ხართ დასაქმებული?“  ფორმა 2, კითხვა №18.2: „ძირითადად რა სახის საქონელს ან მომსახურებას აწარმოებს საწარმო/ორგანიზაცია, კერძო საქმე ან მეურნეობა, რომელშიც თქვენ ხართ დასაქმებული?“</p>	<p>შინდა 05_1, კითხვა №4: „რომელ საწარმოში, ორგანიზაციაში, კერძო საქმეში ან მეურნეობაში მუშაობდით (საქმიანობდით)?“  შინდა 05_1, კითხვა №5: „გთხოვთ გვიპასუხოთ, იმ ძირითად სა-მუშაოზე, სადაც თქვენ საქმიანობდით გასულ სამ თვეში, რა სახის საქონელი ან მომსახურება იწარმოებდა?“</p>	<p>განსხვავებულია საანგარიშო პერიოდი, კერძოდ, საყოველთაო აღწერით შეგროვებულია ინფორმაცია გასულ კვირაზე, შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევით კი - გასულ სამ თვეზე.</p>	<p>მეთოდოლოგიური სხვაობიდან გამომდინარე ემპირიული მოდელებისა და დამაკავშირებელ ფაქტორად, აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ არის რეკომენდებული.</p>
<p><b>შემოსავლების წყაროები</b></p>	<p>შემოსავლების წყაროებიდან უნდა მიეთითოს ყველა (ერთი ან რამდენიმე) წყარო, რომელიც გააჩნდა პიროვნებას ბოლო 12 თვის განმავლობაში.</p>	<p>ფორმა 2, კითხვა №19: „არსებობის საშუალებათა წყაროები“</p>	<p>შინდა 05, ნაწილი №1; 2 და შინდა 05_1, კითხვა № 8; 9; 10; 14; 15; 16; 17.ა.</p>	<p>განსხვავებულია საანგარიშო პერიოდი, კერძოდ საყოველთაო აღწერით შეგროვებულია ინფორმაცია გასულ კვირაზე, შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევით კი - გასულ სამ თვეზე</p>	<p>მეთოდოლოგიური სხვაობიდან გამომდინარე ემპირიულ მოდელების რეალიზებისას დამაკავშირებელ ფაქტორად, აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ არის რეკომენდებული.</p>

<p><b>ჯანმრთელობის პრობლემები</b></p>	<p>ქრონიკულია დაავადება, რომელიც გრძელდება ან მოსალოდნელია გაგრძელდეს 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.</p>	<p>ფორმა 2, კითხვა №20: „ჩამოთვლილთაგან გაქვთ თუ არა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც ხელს გიშლით ყოველდღიურ საქმიანობაში“</p>	<p>შინდა 02, კითხვა №12: „სპეციალური სტატუსი: ქრონიკული ავადმყოფი“.</p>	<p>მეთოდოლოგია არის მსგავსი, თუმცა კითხვის პასუხები არ არის იდენტური. საყოველთაო აღწერის გამოკვლევაში ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ კითხვები წარმოდგენილია დომენების მიხედვით.</p>	<p>ემპირიული მოდელის რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის უნდა განხორციელდეს შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის კითხვის მეშვეობით ახალი (საყოველთაო აღწერის მსგავსი) ცვლადის გაანგარიშება.</p>
<p><b>შშმ პირის სტატუსი</b></p>	<p>კითხვის მეშვეობით ხდება იმ პირის იდენტიფიცირება, რომელსაც მინიჭებული აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი.</p>	<p>ფორმა 2, კითხვა №21: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სტატუსი“.</p>	<p>შინდა 02, კითხვა №12: „სპეციალური სტატუსი: ქვეკატეგორიები ინვალიდი ჯგუფი(I-III)“.</p>	<p>ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.</p>	<p>ემპირიული მოდელის რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ საჭიროებს დამატებით მოდიფიცირებას.</p>
<p><b>იღებს თუ არა დახმარებას შინამეურნეობაში ემიგრანტი წევრი სგან</b></p>	<p>კითხვის მეშვეობით ხდება იდენტიფიცირება შემთხვევების, როდესაც შინამეურნეობა იღებს მატერიალურ დახმარებას ემიგრანტი წევრისგან. აღსანიშნავია, რომ მიღებული მატერიალური დახმარება შესაძლებელია იყოს, როგორც ფულადი, ისე არაფულადი სახის.</p>	<p>ფორმა 3, კითხვა №13: „ფულადი ან/და მატერიალური დახმარება, ქვეკითხვა: შინამეურნეობას მისგან“.</p>	<p>შინდა 05, კითხვა №4.1: „შინამეურნეობიდან გასულ წევრთაგან მიღებული და მათთვის გაზავნილი გზავნილები, ქვეკითხვა: გეხმარებათ თუ არა იგი თქვენ მატერიალურად?“</p>	<p>ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.</p>	<p>ემპირიული მოდელის რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ საჭიროებს დამატებით მოდიფიცირებას.</p>

<p><b>იღებს თუ არა დახმარებას ემიგრანტი წევრი შინამეურნეობისგან</b></p>	<p>კითხვის მეშვეობით ხდება იდენტიფიცირება შემთხვევების, როდესაც შინამეურნეობა უწევს მატერიალურ დახმარებას ემიგრანტ წევრს. აღსანიშნავია, რომ მიღებული მატერიალური დახმარება შესაძლებელია იყოს როგორც ფულადი, ასევე არაფულადი სახის.</p>	<p>ფორმა 3, კითხვა №13: „ფულადი ან/და მატერიალური დახმარება, ქვეკითხვა: შინამეურნეობიდან მას“</p>	<p>შინდა 05, კითხვა №4.1: „შინამეურნეობიდან გასულ წევრთაგან მიღებული და გაგზავნილი გზავნილები, ქვეკითხვა: ეხმარებით თუ არა თქვენ მას მატერიალურად?“</p>	<p>ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.</p>	<p>ემპირიულ მოდელის რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ საჭიროებს დამატებით მოდიფიცირებას.</p>
<p><b>საქართველოდან წასვლის მიზეზი</b></p>	<p>კითხვის დანიშნულებაა დადგინდეს შინამეურნეობის წასული წევრის წასვლის მიზეზი შინამეურნეობის საცხოვრებელ მისამართზე დარჩენილ წევრთა ვერსიით.</p>	<p>ფორმა 3, კითხვა №11: „საქართველოდან წასვლის მიზეზი“</p>	<p>შინდა 05, კითხვა №4.1: „შინამეურნეობიდან გასულ წევრთაგან მიღებული და მათთვის გაგზავნილი გზავნილები, ქვეკითხვა: წასული იყო ან არის?“</p>	<p>მეთოდოლოგია არის მსგავსი, თუმცა კითხვის პასუხის კატეგორიები არ არის იდენტური.</p>	<p>ერთნაირი ცვლადის მისაღებად უნდა მოხდეს ორივე გამოკვლევის კითხვის პასუხების კატეგორიების დაჯგუფება, რათა მიღებულ იქნას მსგავსი კატეგორიები.</p>

<p><b>საკუთარი მიწის და იჯარით აღებული მიწის ფართობი</b></p>	<p>კითხვის მეშვეობით დგინდება სასოფლო და არასოფლო სამეურნეო დანიშნულების საკუთარი და იჯადით აღებული მიწის საერთო ფართობი.</p>	<p>ფორმა 4, კითხვა №2: „მიწის ფართობი სულ“.</p>	<p>შინდა 01, კითხვა №14.1: „გთხოვთ, ჩაწეროთ თითოეული კატეგორიის რაოდენობა და სრული ფართობი“</p> <p>შინდა 01, კითხვა №16: „რამდენი ნაკვეთისაგან შედგება და რამდენია მთლიანი ფართობი მიწისა, რომელსაც სამეურნეოდ იყენებთ? (იჯარის ჩათვლით)“</p> <p>შინდა 01, კითხვა №18: „დაასახელოთ მიწის ნაკვეთები, რომელსაც თქვენ უყვლით?“</p>	<p>მეთოდოლოგია არის მსგავსი, თუმცა შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში წარმოდგენილია სამი კითხვის მეშვეობით, ხოლო საყოველთაო აღწერის გამოკვლევაში კი - ერთი კითხვით.</p>	<p>ემპირიული მოდელების რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენებისთვის უნდა განხორციელდეს შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის კითხვების მეშვეობით ახალი (საყოველთაო აღწერის მსგავსი) ცვლადის გაანგარიშება.</p>
--	---	---	---	--	--

<p><b>საკუთარი და იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის როდენობა</b></p>	<p>კითხვის მეშვეობით დგინდება სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების საკუთარი და იჯარით აღებული მიწის ნაკვეთების როდენობა.</p>	<p>ფორმა 4, კითხვა №2: „შინამეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების საერთო როდენობა“</p>	<p>შინდა 01, კითხვა №14.1: „გთხოვთ, ჩაწერთ თითოეული კატეგორიის როდენობა და სრული ფართობი“</p> <p>შინდა 01, კითხვა №16: „რამდენი ნაკვეთისაგან შედგება და რამდენია მთლიანი ფართობი მიწისა, რომელსაც სამეურნეოდ იყენებთ? (იჯარის ჩათვლით)“</p> <p>შინდა 01, კითხვა №18: „დაასახელეთ მიწის ნაკვეთები, რომელსაც თქვენ უყვით“ .</p>	<p>მეთოდოლოგია არის მსგავსი, თუმცა შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში წარმოდგენილია სამი კითხვის მეშვეობით, ხოლო საყოველთაო აღწერის გამოკვლევაში კი - ერთი კითხვით.</p>	<p>ემპირიული მოდელის რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენებისთვის უნდა განხორციელდეს შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის კითხვების მეშვეობით ახალი (საყოველთაო აღწერის მსგავსი) ცვლადის გაანგარიშება.</p>
<p><b>მრავალწლიანი ნარგავების არსებობა</b></p>	<p>აღირციხება შინამეურნეობის სარგებლობაში არსებული მრავალწლოვანი ნარგავები – კომპაქტური ნარგავები (ბაღები, პლანტაციები) და ცალკე მდგომი ძირები. არ აღირციხება გამხმარი ძირები და სანერგეებში არსებული ნერგები.</p>	<p>ფორმა 4, კითხვა №3: „შინამეურნეობის სარგებლობაში არსებული მრავალწლოვანი ნარგავების როდენობა“. ფორმა 4, კითხვა №4: „შინამეურნეობის სარგებლობაში არსებული ვაზის ძირთა როდენობა“.</p>	<p>შინდა 01, კითხვა №17: „რა ფართობი უკავია ჩამოთვლილ კულტურებს მიწაზე, რომელსაც თქვენ უყვით? (ფართობი მიუთითეთ ჰექტრებში)“ .</p>	<p>მეთოდოლოგია არის მსგავსი, თუმცა კითხვის პასუხები არ არის იდენტური.</p>	<p>ერთნაირი ცვლადის მისაღებად უნდა მოხდეს ორივე გამოკვლევის კითხვის პასუხების კატეგორიების დაჯგუფება, რათა მიღებულ იქნეს მსგავსი კატეგორიები.</p>

<p><b>შინაური ცხოველები</b></p>	<p>ადირიცხება შინამეურნეობის სარგებლობაში არსებული ყველა ასაკისა და სქესის პირუტყვისა და ფრინველის რაოდენობა, რომელსაც განკარგავს შინამეურნეობა. არ აღირიცხება სხვა პირზე იჯარით გაცემული პირუტყვი/ფრინველი/ფუტკრის ოჯახი.</p>	<p>ფორმა 4, კითხვა №5: „შინამეურნეობის სარგებლობაში არსებული პირუტყვის, ფრინველის და ფუტკრის ოჯახების რაოდენობა“.</p>	<p>შინდა 01, კითხვა №19: „ჩაწერეთ შინაური ცხოველები სა და ფრინველების რაოდენობა თქვენს შინამეურნეობაში“.</p>	<p>მეთოდოლოგია არის მსგავსი, თუმცა კითხვის პასუხები არ არის იდენტური.</p>	<p>ერთნაირი ცვლადის მისაღებად უნდა მოხდეს ორივე გამოკვლევის კითხვის პასუხების კატეგორიების დაჯგუფება, რათა მიღებულ იქნას მსგავსი კატეგორიები.</p>
<p><b>სასოფლო სამეურნეო ტექნიკა: ტრაქტორი, მინი ტრაქტორი და ხელის ტრაქტორი</b></p>	<p>ადირიცხება შინამეურნეობის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მოწყობილობების რაოდენობა სახეობების მიხედვით (როგორც მუშა მდგომარეობაში მყოფი, ისე სარემონტო). არ აღირიცხება, ის ტექნიკა და მოწყობილობები, რომლებიც არ ექვემდებარებიან გარემონტებას (შეკეთებას).</p>	<p>ფორმა 4, კითხვა №7: „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მოწყობილობები: ხელის ტრაქტორი (მოტობლოკი), ბორბლებიანი, მუხლუხა ან მინი ტრაქტორი (ხელის ტრაქტორის გარდა)“.</p>	<p>შინდა 01, კითხვა №13: „ხანგრძლივი მოხმარების საგნების ქონა საკუთრებაში: ტრაქტორი, მინიტრაქტორი ან მოტობლოკი“.</p>	<p>მეთოდოლოგია არის მსგავსი, თუმცა კითხვის პასუხები არ არის იდენტური.</p>	<p>ერთნაირი ცვლადის მისაღებად უნდა მოხდეს ორივე გამოკვლევის კითხვის პასუხების კატეგორიების დაჯგუფება, რათა მიღებულ იქნეს მსგავსი კატეგორიები.</p>
<p><b>სასოფლო სამეურნეო ტექნიკა: სატვირთო მანქანა</b></p>	<p>ადირიცხება შინამეურნეობის საკუთრებაში არსებული სატვირთო მანქანა (როგორც მუშა მდგომარეობაში მყოფი</p>	<p>ფორმა 4, კითხვა №7: „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მოწყობილობები: სატვირთო ავტომობი</p>	<p>შინდა 01, კითხვა №13: „ხანგრძლივი მოხმარების საგნების ქონა საკუთრება</p>	<p>ორივე გამოკვლევის მეთოდოლოგია არის მსგავსი.</p>	<p>ემპირიულ მოდელების რეალიზებისას აღნიშნული ცვლადის გამოყენება არ საჭიროებს დამატებით მოდიფიცირებს.</p>



	ფი, ისე სარემონტო). არ აღირიცხება, ის ტექნიკა, რომლებიც არ ექვემდებარებიან გარემონტებას (შეკეთებას).	ლი - ყველა ტიპის“.	ში: მიკროავტოზუსი/სატვირთო ავტომობილი“		
--	--	--------------------	--	--	--

სტატისტიკური გამოკვლევების მეთოდოლოგიის, მეტამონაცემების, ინსტრუმენტარისა და მონაცემთა ბაზების დეტალური ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა და საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერა მოიცავს 40-მდე მსგავს ცვლადს. აღნიშნული ცვლადების შესაბამისი მოდიფიცირების (აგრეგირება, დისაგრეგირება, ხელახლა კოდიფიცირება, ახალი ცვლადის შექმნის საჭიროება და სხვა) განხორციელების შემდეგ შესაძლებელია ორი სტატისტიკური გამოკვლევის საერთო ცვლადების განსაზღვრა და მათი შემდგომი გამოყენება: 1) ემპირიულ ანალიზში — დროითი მწკრივების ანალიზსა და მცირე ტერიტორიული ერთეულების შეფასებების ემპირიული მოდელების ფორმირებისთვის, 2) მონაცემთა ბაზების ბმის შესაძლებლობისთვის და 3) სხვა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებისთვის (მონაცემთა კორექტირება, მოსწორება იმპუტაცია და სხვა).

#### დასკვნა და რეკომენდაცია

- ❖ ნაშრომში დეტალურად არის განხილული ორი სტატისტიკური გამოკვლევის (შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევისა და საყოველთაო აღწერის) მეთოდოლოგია, მეტამონაცემები, ინსტრუმენტარისა და მონაცემთა ბაზების დეტალური ანალიზი, რის საფუძველზეც გამოვლენილია მსგავსი ცვლადები და განხილულია იდენტური ცვლადების მიღების შესაძლებლობები. ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა და საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერა მოიცავს 40 - მდე მსგავს ცვლადს.
- ❖ მსგავსი ცვლადების უმეტესობა საჭიროებს შესაბამისი მოდიფიცირების (აგრეგირება, დისაგრეგირება, ხელახლა კოდიფიცირება, ახალი ცვლადის შექმნის საჭიროება და სხვა) განხორციელებას, რათა შემდეგ შესაძლებელი გახდეს მათი შემდგომი გამოყენება: 1) ემპირიულ ანალიზში — დროითი მწკრივების ანალიზსა და მცირე ტერიტორიული ერთეულების შეფასებების ემპირიული მოდელების ფორმირებაში, 2) მონაცემთა ბაზების ბმის შესაძლებლობისთვის და 3) სხვა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებისთვის (მონაცემთა კორექტირება, მოსწორება იმპუტაცია და სხვა).
- ❖ მცირე ზომის ტერიტორიული ერთეულების შეფასების (SAE) და დროითი მწკრივის ანალიზის მეთოდების გამოყენება შესაძლებელია საქართველოს შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების მაჩვენებლების გასაანგარიშებლად მუნიციპალურ დონეზე, ვინაიდან ხელმისაწვდომია სტატისტიკურ მონაცემთა ორი წყარო: 1) შერჩევითი გამოკვლევა: შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა; 2) არაშერჩევითი

გამოკვლევა: საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერა, რომელთაც აქვთ საკმარისი რაოდენობის მსგავსი ცვლადები.

- ❖ საქართველოს შინამეურნეობების შემოსავლების და ხარჯების მაჩვენებლების შესაფასებლად სასურველია განხორციელდეს მცდელობა: 1) ფეი-ჰერიოტის (FH); 2) ელბერსის, ლენჯოუს და ლენჯოუს (ELL) და 3) დროითი მწკრივების ანალიზის მოდელებისა და მეთოდების გამოყენებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მიქელაძე, გ. საქართველოს შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების ეკონომეტრიკულ-სტატისტიკური მოდელირების შესაძლებლობები მცირე ზომის ერთეულების მიხედვით. ჟურნალი „ეკონომისტი“ N3, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი (2022);
2. Breusch, Trevor S. “Testing for autocorrelation in dynamic linear models”. Australian Economic Papers 17.31 (1978): 334-355;
3. Dickey, David A., and Wayne A. Fuller. “Distribution of the estimators for autoregressive time series with a unit root.” *Journal of the American statistical association* 74.366a (1979): 427-431;
4. Diebold, Francis X., and Jose A. Lopez. "8 Forecast evaluation and combination." *Handbook of statistics* 14 (1996): 241-268;
5. Dolado, Juan J., Tim Jenkinson, and Simon Sosvilla-Rivero. “Cointegration and unit roots.” *Journal of economic surveys* 4.3 (1990): 249-273;
6. Elgar Edward., *Modern macroeconomics.*, 807 pg., UK., 2005;
7. Elbers, Chris, Jean O. Lanjouw, and Peter Lanjouw. “Micro-Level Estimation of Poverty and Inequality.” *Econometrica* 71, no. 1 (2003): 355–64. <http://www.jstor.org/stable/3082050> ;
8. Fay, Robert E., and Roger A. Herriot. “Estimates of Income for Small Places: An Application of James-Stein Procedures to Census Data.” *Journal of the American Statistical Association* 74, no. 366 (1979): 269–77. <https://doi.org/10.2307/2286322> ;
9. Glejser, Herbert. “A new test for heteroskedasticity.” *Journal of the American Statistical Association* 64.325 (1969): 316-323;
10. Ghosh, M., and J. N. K. Rao. “Small Area Estimation: An Appraisal.” *Statistical Science* 9, no. 1 (1994): 55–76. <http://www.jstor.org/stable/2246284> ;
11. Godfrey, Leslie G. “Testing against general autoregressive and moving average error models when the regressors include lagged dependent variables.” *Econometrica: Journal of the Econometric Society* (1978): 1293-1301;
12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მეთოდოლოგია. ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/552/methodologia-sotsialuri-statistika>, ვებგვერდი ბოლოს ნანახია 04.12.2022;
13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მეტამონაცემები. ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/582/metadatatshovrebis-done-saarsebo-minimumi> , ვებგვერდი ბოლოს ნანახია 04.12.2022;
14. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის ელექტრონული ბაზები. ხელმისაწვდომია ელ-

მისამართზე: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/128/2009-2016-tslebis-shinameurneobebis-integrirebuli-gamokvlevis-da-2017-tslis-shinameurneobebis-shemosavlebisa-da-kharjebis-kvlevis-monatsemta-bazebi>, ვებგვერდი ბოლოს ნანახია 04.12.2022.

15. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტარი. ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <http://census.ge/ge/methodology/categories>, ვებგვერდი ბოლოს ნანახია 04.12.2022.
16. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. ხელმისაწვდომია ელ-მისამართზე: <http://census.ge/ge/results/census1>, ვებგვერდი ბოლოს ნანახია 04.12.2022.



The article is financial supported by Shota Rustaveli national science foundation  
Project # YS-21-3831

*Giorgi Mikeladze*  
*Phd in Economics,*  
*Ivane Javakhishvili Tbilisi state university*

## POSSIBILITIES OF ECONOMETRIC AND STATISTICAL MODELING OF INCOMES AND EXPENDITURES OF GEORGIAN HOUSEHOLDS BY SMALL AREAS: METHODOLOGICAL ANALYSIS OF SELECTIVE AND NON-SELECTIVE SURVEY AND IDENTIFICATION OF SIMILAR VARIABLES

### Expanded Summary

Small area estimations (SAE) have been developed since 1970 and are considered to be the basis of FAY and Herriot. Statistical surveys of households are usually representative at a high level of aggregation. Through the mentioned method, small and large statistical datasets are used to obtain statistically significant estimates in small areas. Small area estimation models (SAE) are usually divided into two groups: 1) territorial unit models and 2) unit level models. These models mainly differ in the availability of statistical data.

The aim of the research is to obtain statistically significant estimates of household incomes and expenditures on the example of Georgia by the small territorial areas (municipalities/district of Tbilisi) using the empirical models. The empirical realization of models should be based on similar variables. Based on detailed analysis of methodology, fieldwork instruments and metadata, similar variables should be identified from the selective (Households Incomes and Expenditures Survey) and non-selective (The General Population Census of Georgia) survey.

**Households Incomes and Expenditures Survey:** The main source of household income, expenditure and other statistical indicators of the living conditions in Georgia is the "Households Incomes and Expenditures Survey" ("Integrated Household Survey" before 2017). The

mentioned survey is selective, data is collected monthly, aggregated data is disseminated annually, and the indicators are representative of private households in Georgia at the country and administrative region level. The survey is carried out using seven questionnaires:

- ❖ Shinda 01 - The first interview;
- ❖ Shinda 02 - Control card;
- ❖ Shinda 03 - Diary of expenses;
- ❖ Shinda 04 - Quarterly questionnaire of expenses;
- ❖ Shinda 05 - Transfers and incomes from property, savings;
- ❖ Shinda 05-1 - Employment and income questionnaire;
- ❖ Shinda 07 - Refusal sheet.

***The General Population Census of Georgia:*** The General Population Census of Georgia has been conducted during November 5-19, 2014. The Census reference date (the moment of enumerating the individual) was defined as 12 a.m. on November 5, (thus, data on children born and persons deceased after the reference date was not collected). The Census covered 82% of the total area of the country (57 000 square kilometers). The Census could not be carried out in the occupied territories, particularly in the Autonomous Republic of Abkhazia and South Ossetia (total area of 13000 square kilometers). The Census was conducted in 79% of the settlements (urban, community, and rural) of the country and covered 71 self-governed units and 3726 settlements. The Census could not be carried out in 1015 settlements of the occupied territories. The General Population Census of Georgia was carried out using four questionnaires:

- ❖ Form 1 – Questionnaire on Dwelling;
- ❖ Form 2 – Personal Questionnaire;
- ❖ Form 3 – Questionnaire on Migrant;
- ❖ Form 4 – Questionnaire on Agriculture.

**Identical Variables:** In order to realize the empirical models of small territorial areas, it is essential to identify similar variables from the selective "Household Income and Expenditure Survey" and non-selective "General Census of Georgia" surveys' databases.

similar variables were identified, methodological similarities and differences were determined, and the need of modification variables (aggregation, disaggregation, re-codification, creation new variable, etc.) was assessed based on the analysis of statistical survey methodology, metadata, fieldwork instruments and databases.

Based on a detailed analysis of the methodology of statistical surveys, metadata, fieldwork instruments and databases, it is determined that the Survey of Households Incomes and Expenditures and the General Census of Georgia include up to 40 similar variables. After carrying out appropriate modifications of the mentioned variables (aggregation, disaggregation, re-codification, creation of new variables, etc.), it is possible to determine the identical variables of two statistical surveys and their further use: 1) in empirical analysis: in the analysis of time series and in the realization of empirical models of small area estimations, 2) for the possibility to link databases, and 3) for the use of other statistical methods (data correction, imputation, etc.).

**Key words:** *Household Income and Expenditure Survey of Georgia, Georgia Census, small area estimation methods, methodology, metadata and field work instruments of statistical survey.*

**JEL Codes:** *P 20, P 31, P 40, P 52*

**აგრარული პრობლემები - AGRARIAN PROBLEMS**

*მურმან ცეცხლაძე*

*ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;*

*სალომე სულაბერიძე*

*მოწვეული მასწავლებელი, დოქტორანტი,  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**„ჩაის“ წარმოება და მისი როლი აგროტურიზმის განვითარებაში  
(გურიის რეგიონის მაგალითზე)**

**ანოტაცია.** აგროტურიზმი არის სფერო, სადაც ტურიზმის ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტი ერთობლივადაა წარმოდგენილი. ნაშრომში შესწავლილია, საქართველოსა და მსოფლიოში მეჩაიეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, დასახულია მისი განვითარების პერსპექტივები გურიის რეგიონში, შემოთავაზებულია ტურისტული პროდუქტის – „ჩაის გზის“ ვიზიტორებისათვის მიწოდების შესაძლებლობები. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს იმპორტირებული ჩაის ადგილობრივით ჩანაცვლებას, ვიზიტორის დაინტერესებას „ჩაის გზის“ აქტივობებით. ამით გაიზრდება მოსახლეობის შემოსავლები, შემცირდება მიგრაციული პროცესები.

**საკვანძო სიტყვები:** ჩაის გზა, ვიზიტორი, ფერმერი, სოფლის მეურნეობა, აგროტურიზმი.

**შესავალი**

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი გურიის რეგიონში მთისა და ზღვის ჰავა ხელს უწყობს ჩაის კულტურის გახარებასა და გავრცელებას:

- აძლევს რბილ და სასიამოვნო არომატს;
- არ სჭირდება შხამქიმიკატებისა და პესტიციდების დამატება;
- არის ნატურალური, სუფთა და სასიამოვნო დასალევი.

აღნიშნული თვისებების გამო იგი მრავალ ვიზიტორსა და მომხმარებელს იზიდავს. გარდა ამისა, ჩაის წარმოებამ შესაძლოა გადამწყვეტი როლი შეასრულოს რეგიონის ეკონომიკის აღდგენაში, საფუძველი ჩაუყაროს სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებას. ამ ღირებულებების გამოყენებისა და განხორციელების მიზნით, სტატიაში განვიხილავთ გურიის რეგიონში „ჩაის“ წარმოებასა და მის როლს აგროტურიზმის განვითარებაში.

**ჩაის სამკურნალო თვისებები**

ჯერ კიდევ მრავალი ასეული წლის წინათ, სანამ ჩაის ქიმიური შედგენილობა გახდებოდა ცნობილი, ადამიანებმა აღმოაჩინეს მისი სამკურნალო და კვებითი ღირებულებები.

ჩაი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სასმელია მსოფლიოში სასმელი წყლის შემდეგ და მას მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი მოიხმარს. ის ინტერნაციონალურ სასმელს წარმოადგენს. ჩაის პოპულარობა შეუცვლელია მისი ორ-

განოლექტიკური მაჩვენებლებისა და მასტიმულირებელი თვისებების გამო (Чжухан, 1959).

დიდია ადამიანის ჯანმრთელობისათვის ჩაის მიკრო- და მაკროელემენტების წილი, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის ორგანიზმის საერთო ცხოველმყოფელობის ზრდას. მიკროელემენტებიდან მნიშვნელოვანია ფტორი. ჩაის პროდუქტის მშრალი ნივთიერებების 5-6%-ს შეადგენს მინერალური ნივთიერებები, რომელთა 50% არის კალიუმი, 15,5% კი – ფოსფორნაერთები. ჩაის ეთერზეთების შემცველობა აუმჯობესებს ადამიანის განწყობას, ანიჭებს მას სიმხნევას, შრომისუნარიანობას, ააქტიურებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას (Джемухадзе, 1961).

### **ჩაის გავრცელების ისტორია გურიის რეგიონში**

გურიაში ჩამოსულ ვიზიტორებს ჩაის მეურნეობის ნახვის, სამუშაო პროცესზე დაკვირვებისა და დაგემოვნების გარდა, ჩაის გავრცელების ისტორიაც აინტერესებთ.

გურიაში პირველი ჩაის ბუჩქი 1809 წელს მამია მეხუთე გურიელის (გურიის მთავარი 1809-1826 წწ.) ბაღში დაირგო (მამია გურიელის ბაღი ქალაქ ოზურგეთის ამჟამინდელი ცენტრალური ბაღების, ჭადრების ბაღს წარმოადგენდა). ბაღში გაშენებულ ჩაის სამრეწველო დანიშნულება არ ჰქონდა.

15 წლის განმავლობაში გურიელმა ჩაის, ფორთოხლისა და ლიმონის გაშენებით შესანიშნავი ბაღი მოაწყო. ბაღის გაშენებას შოტლანდიელი აგრონომი და მეზაღე, იაკობ მარი ხელმძღვანელობდა.

მამია გურიელის სიკვდილის შემდეგ მისი ბაღი მოიშალა. რუსეთ-ოსმალეთის ომის (1854—1856 წწ.) დროს ქალაქის ცენტრში, ყოფილ მამიასეულ ბაღში სამხედროები დასახლდნენ, რომლებმაც აჩეხეს და გაანადგურეს ბაღი.

ი. მარის რჩევით ჩაის ბუჩქები გადარგეს გორაბერეჟოულში, მიხეილ ერისთავის მამულში. მ. ერისთავი ჩაის კულტურის დამფასებელი იყო. მან პირველად ჩაი ჩინეთში ნახა, დააგემოვნა და გადაწყვიტა მისი საქართველოში გაშენება.

გადმოცემის თანახმად, იმ პერიოდისათვის ჩინეთიდან ჩაის ნერგის ან თესლის გატანა აკრძალული იყო, მაგრამ მას მაინც მოუხერხებია ჩამოტანა. 1864 წელს მ. ერისთავმა საქართველოში პრიმიტიული წესით პირველმა დაამუშავა ჩაის პროდუქცია, გაიტანა თბილისსა და სანქტ-პეტერბურგში გამართულ სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩაის ბუჩქების გაშენება გურიას გასცდა და პრაქტიკულად დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში გავრცელდა: აფხაზეთში, აჭარაში, იმერეთსა და სამეგრელოში. 1861 წელს პირველი ქართული „ბაიხის ჩაი“ დამზადდა. 1864 წელს პროდუქტი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარადგინეს სანქტ-პეტერბურგში, ხოლო 1885 წელს პირველი საექსპორტო გადაზიდვა განხორციელდა ევროპაში.

XX ს-ის 80-იან წლებში ქართული ჩაის ინდუსტრიაში 190 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული, ჩაის პლანტაციები 70 ათასი ჰექტარზე იყო გაშენებული. მის დამზადებას ემსახურებოდა 140 პირველადი წარმოების, 25 დაფასოებისა და 3 მექანიკური ქარხანა, ასევე რამდენიმე სამრეწველო ობიექტიც. საქართველოში იწარმოებოდა 600 ათასი ტონა მწვანე ფოთოლი, ანუ 133 ათასი ტონა ჩაი. საქართველო მეხუთე ადგილზე იყო ჩაის წარმოებაში ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიისა და შრი-ლანკის შემდეგ (ჩაი...).

საქართველოდან ჩაი გადიოდა დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებში. ექსპორტი, ასევე ხდებოდა აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ აფრიკაშიც. ქართული ჩაი იყიდებოდა საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, ფინეთსა და დიდ ბრიტანეთში.

საქართველოში ჩაის ინდუსტრიას ყველაზე დიდი სოციალური პასუხისმგებლობა ეკისრებოდა როგორც სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული განვითარების კუთხით, ასევე დასაქმების, საბიუჯეტო შემოსავლებისა და სოციალური კეთილდღეობის მაჩვენებლებით.

1900 წელს საქართველოში არსებული ჩაის 23 საცდელი ნაკვეთიდან ყველაზე მეტი (9 ნაკვეთი) ოზურგეთის მაზრაში მდებარეობდა. ამათგან აღსანიშნავია თავად ნაკაშიძეების მამული ზედუბანში.

1889 წელს მიხეილ ნაკაშიძემ ჩაი ჩაქვიდან შემოიტანა და გააშენა ხუთ ჰექტარზე, ააშენა ფაბრიკა, რომელიც უშვებდა პროდუქციას სახელით „Чай Князя М. М. Накашидзе“. 1900 წლისთვის ერმილე ნაკაშიძეს ჰქონდა ჩაის გადამამუშავებელი დანადგარი და უშვებდა ჩაის სავაჭრო ნიშნით „ერმილიტა“.

გურიაში ჩაის აწარმოებდა „საუფლისწულო საზოგადოებაც“. 1900 წლის 21 მაისს „ივერია“ წერდა: „საუფლისწულო უწყება ამ წელს გურიის პლანტაციებიდან 5 000 გირვანქა ჩაის მოკრევას ელის, ხოლო მერმის 20 ათას გირვანქის იმედი აქვს“<sup>25</sup>. 1913-1918 წლებში გურიაში გაზარდა ჩაის პლანტაციების რაოდენობა, მაგრამ 1918 წლისთვის დაეცა ჩაის წარმოება 50 %-ით. 1921 წელს საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე იყო 500 კგ. (ჩაი...).

სოფელ ასკანაში ჩაის აწარმოებდა ცნობილი მეღვინე სოლომონ ჭეიშვილი. ს. ჭეიშვილს ჩაი გაჰქონდა რუსეთის ქალაქებში. მის მიერ წარმოებულმა ჩაიმ ქების სიგელი დაიმსახურა 1914 წელს მოსკოვში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1924 წლისთვის გავრცელებული იყო მეტწილად ჩინური ბუჩქები, ნაწილობრივ იაპონური და ინდურიც. მოხდა ბუნებრივი ჰიბრიდიზაცია და მიღებულ იქნა ჰიბრიდი „ბათუმის ჩაი“. სწორედ ეს გაშენდა საბჭოთა პერიოდში გურიაში და აჭარაში.

პირველი ფაბრიკები საბჭოთა ხელისუფლების დროს მოქმედებდა ზედუბანსა და ოზურგეთში.

კოლექტივიზაციის შემდეგ საბჭოთა პერიოდში ჩაი იქცა გურიაში გავრცელებულ № 1 კულტურად. 1933 წელს მოიკრიფა 138 870 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ყველა დიდ სოფელში მოქმედებდა ჩაის ფაბრიკა, ყველა სოფელში იყო პლანტაციები და მიმღები პუნქტები (ჩაი...).

ანასეულში შეიქმნა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა კვლევითი ინსტიტუტი. ჩაიმ განდევნა მანამდე გავცელებული ყველა ტრადიციული სასოფლო სამეურნეო კულტურა (ღომი, ვაზი და სხვ.). საბჭოთა პროპაგანდა მეჩაიეობის განვითარებას საბჭოთა სახელმწიფოს უდიდეს წარმატებად მიიჩნევდა.

1958 წელს ჭანიეთის, ლაითურისა და ლიხაურის მეურნეობებში პირველად გამოსცადეს ჩაის საკრეფი მანქანები.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლა ქართული ჩაის ინდუსტრიისთვის დამანგრეველი შედეგების მომტანი აღმოჩნდა. ქართულმა ჩაიმ საბჭოთა ბაზარი დაკარგა, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ფონზე კი სახელმწიფოს ახალ ბაზარსა თუ მრეწველობის შენარჩუნებაზე ზრუნვა

<sup>25</sup> იხილეთ ბმული: <https://el.ge/articles/45150>

არ შეეძლო. აფხაზეთის ომმა დამატებით გამოიწვია ჩაის მწარმოებელი მნიშვნელოვანი რეგიონის დაკარგვაც, რამაც წარმოება შეამცირა. მოსავლის აღების გაჭიანურების გამო კი პლანტაციები გაველურდა.

საქართველო, როგორც დიდი ისტორიის მქონე ჩაის მწარმოებელი ქვეყანა, ჩაის ინდუსტრიის მქონე ქვეყნებს შორის უნიკალურ მაგალითს წარმოადგენდა, რომელსაც ჰქონდა ჩაის პლანტაციების გაშენების დიდი გამოცდილება, ჰყავდა დარგის პროფესიონალები და მეცნიერები, ჰქონდა დიდი ინდუსტრიული პოტენციალი.

2010 წლის ივნისამდე ქართული დაფასოებული ჩაი, ადგილობრივი ბაზრის მხოლოდ 2 %-ს შეადგენდა (ჩაი ...).

### ქართული ჩაის წარმოება ამ ეტაპზე

ამჟამად ქართული ჩაი ადგილობრივი ბაზრის დაახლოებით 25%-ს აკვებს.

საქსტატის მონაცემებით, 2021 წლის 10 თვეში საქართველომ 3,9 მილიონი \$-ის 1,9 ათასი ტონა ჩაი გაყიდა. ძირითადი საექსპორტო ქვეყნებია:

- მონღოლეთი - 416 ტონა / \$ 219 ათასი;
- აზერბაიჯანი - 279 ტონა / \$ 1.9 მილიონი;
- თურქეთი - 196 ტონა / \$ 622 ათასი (ქართული... 2021).

2021 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველომ 1,9 ათასი ტონა ჩაის (არომატიზებული და არაარომატიზებული) იმპორტში \$ 7,2 მილიონი გადაიხადა. 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ჩაის იმპორტი 14 %-ით შემცირდა. საქართველოში ჩაის ძირითადი იმპორტიორი ქვეყანებია:

- აზერბაიჯანი - 633 ტონა / \$ 3.4 მილიონი;
- შრი ლანკა - 264 ტონა / \$ 1.2 მილიონი;
- რუსეთი - 206 ტონა / \$1.2 მილიონი (ქართული... 2021).

### ამ ეტაპზე ჩაის წარმოება გურიის რეგიონში

გურიის რეგიონში ფუნქციონირებს ჩაის გადამამუშავებელი დიდი და მცირე საწარმოები (იხ. დიაგრამა № 1).

დიაგრამა № 1. ჩაის საწარმოებისა და დასაქმებულების რაოდენობა



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, რეგიონში ფუნქციონირებს 18 ჩაის საწარმო, სადაც დასაქმებულია 172 ადგილობრივი მოსახლე. გარდა ამისა, სეზონურად ქირობენ დამატებით მუშახელსაც.



საწარმოთა საქმიანობა მხოლოდ ჩაის წარმოებით არ შემოიფარგლება, ზოგიერთი მათგანი აგროტურისტული საქმიანობითაცა დაკავებული, კერძოდ, 2019 წლიდან გურიაში ვითარდება ახალი ტურისტული პროექტი „ჩაის გზა“. აღნიშნული მარშრუტი შეიქმნა „ასოციაცია ჩაის გზის“ ორგანიზებით, რომელიც აერთიანებს საქართველოს რეგიონებში მოქმედ ორგანიზაციებს და საოჯახო მეურნეობებს (გურული...2021).

აღნიშნული მიზნით, გურიის რეგიონში შეირჩა „ჩაის გზის“ მასპინძელი საწარმო და საოჯახო მეურნეობები. ფერმერები სთავაზობენ ვიზიტორებს ჩაის კრეფას, გადამუშავების პროცესში მონაწილეობის მიღებას, ჩაის დამზადების ტექნოლოგიისა და ისტორიის გაცნობას, დეგუსტაციას, ტრადიციული კერძებს, საჭიროების შემთხვევაში განთავსებასაც.

იდეის პოპულარიზაციის მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, გურიაში ყოველწლიურად იმართება ჩაის ფესტივალი.

„ჩაის გზის“ მონაწილე ძირითადი ობიექტებია:

1. **დავით თენიეშვილის საოჯახო საწარმო „იალონი“**. მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვიში. საწარმოს მდებარეობა განსაკუთრებულ პირობებს ქმნის უმაღლესი ხარისხის ჩაის პროდუქციის წარმოებისათვის. ადგილზე ხდება, ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა ჩაის პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია.

ეტაპობრივად აწარმოებს 7-8 ტ. ჩაის 4 სახეობას: მოცვის ჩაი, შავი ჩაი, მწვანე ჩაი, თეთრი ჩაი.

საწარმოს მომხმარებელია ადგილობრივი მაღაზიები, მოსახლეობა, ვიზიტორები, ასევე ექსპორტს ახორციელებს პოლონეთში, ჩეხეთში, გერმანიაში და კანადაში.

**პროდუქციის მიწოდება შეუძლიათ ნებისმიერ ლოკაციაზე ადგილობრივი და უცხოელი მომხმარებლებისათვის.**

**ვიზიტორებს ადგილზე, სთავაზობენ ტურს:** სტუმრები გაივლიან ე.წ. „ჩაის გზას“, რომელიც მოიცავს ჩაის წარმოების პროცესს პლანტაციებიდან გადამამუშავებელ საწარმომდე და შეფუთვამდე.

სტუმრებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ჩაის კრეფის პროცესში ტრადიციული ეკიპირების (ჭილოფის ქუდი და კალათი) გამოყენებით, დაკრეფილი ჩაის ფოთლის გადამამუშავების პროცესში, მიიღონ პასუხი მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე. ტური სრულდება სხვადასხვა სახეობის ჩაის დეგუსტაციით.

2. **გიორგი ხუჭუას ჩაის გადასამუშავებელი საწარმო**. მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ანასეულში. ამუშვებენ და ყიდიან შავ და მწვანე ჩაის. აბარებენ მაღაზიებს ბათუმსა და თბილისში, ასევე ამარაგებენ ადგილობრივ ბაზარსაც ოზურგეთში. გარდა ადგილობრივი მომხმარებლისა ჰყავთ უცხოელი ტურისტები და დამსვენებლები. რომელებსაც სთავაზობენ ჩაის კულტურის გაცნობას, საწარმოს დათვალიერებას, სამეურნეო პროცესში მონაწილეობას, ჩაის დაგემოვნებას.

2020 წლის განმავლობაში პროდუქტის შესაძენად, დაახლოებით, 2 000-ზე მეტი ტურისტი ესტუმრათ პოლონეთიდან, ჩეხეთიდან, ბალტიისპირა ქვეყნებიდან (ლიეტუვა, ესტონეთი).

ჩაის კრეფასა და სამეურნეო სამუშაოებში დასაქმებული ჰყავთ 80 ადამიანი. ყოველწლიურად ეტაპობრივად ხდება ჩაის ბუჩქის განახლება, მაგალითად, 2021 წელს განახლეს 4 ჰა ჩაი.

2019 წელს შეუერთდა მუნიციპალურ ტურისტულ პროექტს. ჩაის დარგში საწარმოს თითქმის 60-წლიანი ისტორია და ჩაის მუზეუმი აქვს. საწარმოს ტერიტორიაზე მოქმედებს ნატურალური ხილის ალკოჰოლური სასმელების საწარმო „ანასეულის ოტკა“. სწორედ ანასეულში დაირგო პირველი ჩაის ნერგი 1847 წელს და აქვე ფუნქციონირებს ანასეულის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (ტურისტული...2021).

**3. ლანა ჟღენტის ჩაის გადამამუშავებელი საწარმო „პლანტაცია“. მდებარეობს** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მელექედურში. ამჟამად, აწარმოებს მხოლოდ 1 სახის შავ გრეხილ ჩაის (2 ტონა). ჩვეულებრივი მომხმარებლების გარდა, სტუმრობენ გერმანელი, ინგლისელი და ამერიკელი ტურისტები.

სამომავლოდ ეზოში გეგმავს პატარა ხის სახლების ჩადგმას ტურისტების განსათავსებლად, ამ ეტაპზე კი მხოლოდ დეგუსტაციასა და პროდუქტის მიყიდვას ახერხებს. ხის სახლების ჩადგმის შემდეგ ტურისტებს საშუალება ექნებათ 1 დღის მაგივრად რამდენიმე დღე დარჩნენ.

აგროტურიზმის მიმართულებით ბიზნესის გასაფართოებლად შეისყიდა დამატებითი ტერიტორია, სადაც გაშენებულია ჩაი. მიმდინარეობს მათი გაკულტურების სამუშაოები.

ტურისტული ლოკაცია „პლანტაცია“ 2021 წელს შეუერთდა მუნიციპალურ ტურისტულ პროექტ „ჩაის გზას“. ტურის დროს მომხმარებლებს სთავაზობენ ავთენტური გარემოს დათვალიერებას, ნატურალური ჩაისა და ადგილობრივი სამზარეულოს გაცნობა-დეგუსტაციას (ტურისტული...2021).

**4. ლიკა მგერელიძის ჩაის გზა „კომლი“** 2019 წელს შეუერთდა მუნიციპალურ პროექტ „ჩაის გზას“. ტურისტული ლოკაცია განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვიზიტორებში. 150-წლიან საოჯახო მეურნეობაში შექმნილია ყველანაირი პირობა, რომ ტურისტმა თავი იგრძნოს განსაკუთრებულ გარემოში. „კომლი“ ვიზიტორებს სთავაზობს:

- მოკლე ექსკურსს საქართველოში ჩაის ისტორიის შესახებ;
- ეთნო-აგროტურს ეზოში (ითვალისწინებს გამოცდილების გაზიარებას, კულინარიულ მასტერკლასებს);
- ახლოს მდებარე ტურისტულ ლოკაციებზე გასვლას (შემოქმედის მონასტერი, მდინარე ბჟუჟის ხეობა, ჩაის პლანტაციების დათვალიერება);
- ჩაის ხელით კრეფა-დამამუშავებასა და ბუნებრივი შრობის პროცესში სტუმრის მონაწილეობას;
- სასტუმროში განთავსებას და კვებას (ტურისტული...2021).

**5. ბერდია ელგუჯაურის ჩაის გადამამუშავებელი საწარმო „Natura Tea Company“**, მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთაში.

იგი საქართველოში პირველი ქართული ჩაის მწარმოებელი საწარმოა, რომელსაც მიენიჭა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი დამადასტურებელი ISO სერტიფიკატი. კომპანია აწარმოებს უმაღლესი ხარისხის 7 სახეობის ქართულ ჩაის.

ჩაის ყიდის საზღვარგარეთ, ევროპაში – ირლანდიაში, შვეიცარიაში და სხვა ქვეყნებში. ამუშავებენ 100 ტონამდე ნედლეულს. ამჟამად ფლობს 18 ჰექტარ ჩაის

პლანტაციას, აქედან ჩაი გაკულტურებულია 14 ჰა-ზე. საწარმო ორიენტირებულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე.

საწარმო ექსპლუატაციაში 2014 წლის 5 მაისიდან შევიდა. ის 10 ტონამდე ნედლეულს ამუშავებს. ნედლეულის 60%-ს მეწარმე საკუთარი პლანტაციებიდან იღებს, 40%-ს კი – მოსახლეობისგან.

გარდა ამისა, ტურისტებისათვის აქვთ სადეგუსტაციო ადგილი, სთავაზობენ საწარმოს დათვალიერებასა და მეურნეობის მონახულებას. საშუალოდ, დღეში ტურისტების 1 ჯგუფი მაინც სტუმრობს ობიექტს 15-კაციანი, 4- ან 8-კაციანი შემადგენლობით.

ჩინელმა ტურისტებმა კი საწარმოში თავიანთი ჩაიგ მოიტანეს და აქაურს შეადარეს, ადგილობრივი წარმოების პროდუქტი არანაკლები აღმოჩნდა, რომატი უფრო მოეწონათ კიდევ. ვიზიტორები ჩამოდიან ასევე გერმანიიდან, შვეიცარიიდან და სხვა.

**6. ილია ბასილაშვილის ჩაის საწარმო, „საქართველოს თაიგული“** მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. დვაბზუში. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს პრემიუმ ხარისხის წარმოების ნატურალურ ქართულ ჩაის, რომელიც არ შეიცავს ქიმიურ საღებავს და არომატიზატორებს. საწარმო ექსპლუატაციაში შევიდა 2018 წელს.

პლანტაცია გაშენებულია 2,5 ჰა-ზე. საწარმო მიმდებარე სოფლებიდანაც იბარებს ჩაის. აქვთ საწარმო, სადეგუსტაციო და საგამოფენო კუთხე. შესაბამისად, ვიზიტორები მათთვის გამოყოფილი სპეციალური ტანსაცმლით ათვალიერებენ მეურნეობას, აკვირდებიან საწარმოო პროცესს, ასევე ასწავლიან ჩაის დაყენებას, რის შემდეგ ხდება მისი დაგემოვნება.

საწარმო უშვებს 7 სახის ჩაის. აქედან ბრენდული არის დასაყენებელი მწვანე ჩაი და დასაყენებელი შავი ჩაი. დანარჩენი კი არის – ექსტრა შავი ჩაი ერთჯერადი ნეილონის კონვერტით, ექსტრა მწვანე ჩაი, მოცვის შავი ჩაი, მოცვის მწვანე ჩაი, მაყვლის ჩაი. მათგან ბოლო სამი სახეობა მთის ჩაის სახეწოდებითაა ცნობილი და სამკურნალო დანიშნულება აქვს. ასევე ამზადებენ ჩაის სხვადასხვა არომატებით: თაფლის, ვაშლის, ლიმონის არომატითა და სხვა.

ვიზიტორების ყველაზე მეტი რაოდენობა რუსეთიდან მოდის, საწარმოს ასევე სტუმრობენ უკრაინიდან, პოლონეთიდან, ამერიკიდან, შვედეთიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან.

სამომავლოდ იგეგმება მეურნეობის გაფართოება და პროდუქტის როგორც რაოდენობრივი ზრდა, ასევე მისი ექსპორტზე გატანაც. აგროტურიზმის მიმართულებით საწარმო გეგმავს ეზოსთან ახლოს სასტუმროს მშენებლობასაც, სადაც ვიზიტორები განთავსდებიან. ასევე მათთვის 100 ძირამდე სელექციური ჩაის გაშენებას, რათა მონაწილეობა მიიღონ ჩაის კრეფასა და საწარმოს საქმიანობაში.

**7. გელა ზოიძის ჩაის გადასამუშავებელი საწარმო „კოოპერატივი ჩიბათი“** მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათში.

„კოოპერატივი ჩიბათის“ ისტორია ტრადიციული დარგის განვითარებას უკავშირდება. სოფელ ჩიბათში გაშენებული იყო 90 ჰექტრამდე ჩაის პლანტაცია, რომელსაც მოსახლეობა უვლიდა. კოოპერატივის წარმომადგენლებმა მოახერხეს ამ ტრადიციის აღდგენა და საბჭოთა ტიპის ობიექტი თანამედროვე ბიზნესზე ორიენტირებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივად აქციეს, რომელიც სოფელში ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია-აღდგენაზე მუშაობს და თან საკუთარი ბიზნესის

წარმატებაზე ზრუნავს. ჩაის წარმოებაში ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად არის ჩართული.

2014 წელს საწარმომ ENPARD-ის პროექტში მიიღო მონაწილეობა და გადამამუშავებელი ფაბრიკის აღსაჭურვად და პლანტაციების სარეაბილიტაციოდ დახმარება ითხოვა, რის შემდეგ გადაეცათ ჩაის გადამამუშავებელი ხაზი, ქარხნისთვის შენობა კი მუნიციპალიტეტიდან აიღეს იჯარით. წლის განმავლობაში ყიდიან 1 ტონამდე ჩაის. მცირე რაოდენობით კი – ადგილობრივ ბაზარზე, ასევე დამსვენებლებზე საკურორტო სეზონის დროს. ვიზიტორებს შეუძლიათ, მეურნეობის დათვალიერება, სამუშაო პროცესის გაცნობა, წარმოების პროცესზე დაკვირვება, ჩაის ნაყენის მომზადება, დეგუსტაცია და შექმნა.

მათ უახლოეს გეგმებში შედის ჩაის ექსპორტზე გატანა. ამ მხრივ კოოპერატივს უკვე აქვს წარმატება ჩინეთში პროდუქციის გატანის კუთხით. მწარმოებლებს სურვილი აქვთ, რომ პროდუქცია 20-25 ტონამდე გაზარდონ და ერთჯერად პაკეტებში შეფუთონ.

**8. მიხელ ცინცაძის ჩაის გადამამუშავებელი საწარმო შპს „არომატი“**, მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ცენტრის მიმდებარე ტერიტორიასთან.

საწარმო თვეში ახერხებს 50-60 ტ. ჩაის გადამამუშავებას. უშვებს შავ ჩაის, მწვანე ჩაის, ყვითელ ჩაის ლიმონით, წითელ ჩაის ლიმონით, გრანულეზიან ჩაის და ა.შ. მომხმარებელს სთავაზობს სულ ცხრა სახეობას, რომელიც იყიდება ადგილობრივ მაღაზიებში, მეზობელ ქალაქებში. გარდა ამისა, ტურისტებს სთავაზობს მეურნეობისა და საწარმოს დათვალიერებას, წარმოების პროცესის გაცნობას, დეგუსტაციას, პროდუქტის შექმნას.

საწარმოში დასაქმებული ჰყავთ 30 ადამიანი, ხოლო მკრეფავებად მუშაობს 100-მდე ადამიანი. მეურნეობა ფლობს 2,5 ჰა-ს სოფელ მამათში, რაც საწარმოს მოსამარაგებლად ძალიან მცირეა, მაგრამ იქვე მაცხოვრებელ მოსახლეობას 6 ჰა-მდე ფართობზე გაშენებული აქვს ჩაის პლანტაცია, რომლებიც „არომატის“ მზრუნველობით არის გაკულტურებული და შესაბამისად იქ მოყვანილ ჩაის წარმოებაში იყენებს.

**9. მურმან გოჩალიძევილის ჩაის გადამამუშავებელი საწარმო, შპს „გეოპლანტ ოზურგეთი“** მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. აწარმოებს სხვადასხვა სახის ჩაის, მაგალითად, მწვანე ჩაის, შავ ჩაის და ა.შ.

აქ მოყვანილი ჩაი გამოირჩევა ბუნებრივი არომატით. ამიტომაც მასზე დიდია მოთხოვნა საზღვარგარეთ და მისი ექსპორტი 1985 წლიდან ხორციელდება.

ჩაის პლანტაცია გაშენებულია 120 ჰა-ზე. ნედლეული მოყვანილია პესტიციდების გარეშე ეკოლოგიურად სუფთა გარემოში. მისი ნორჩი ყლორტები ხელით იკრიფება, ყურადღებით მუშავდება ყოველგვარი ემულგატორების, საღებავის გარეშე და მაღალხარისხიან უცხოურ ჩაისთან ერთად კუპაჟდება.

საწარმოში მუდმივად დასაქმებულია 43 თანამშრომელი, სეზონურად მეურნეობაში – 200, წარმოებას სტუმრობენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვიზიტორები: ჩეხები, პოლონელები, თურქები.

**10. ავთანდილ ლომთათიძის ჩაის გადამამუშავებელი საწარმო** მდებარეობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენობანში. აწარმოებენ 1,5 ტონა 3 სახის ჩაის: სტანდარტულს, შავი ბაიხაოს და მწვანე ჩაის. აქვთ საკუთარი ჩაის პლანტაცია. გარდა ამისა ნედლეულს ყიდულობენ ადგილობრივი მოსახლეობისაგან.

მაქსიმალურად ახდენენ ჩაის რეალიზაციას როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ – ჩეხოსლოვაკიასა და საფრანგეთში და კვლავ ცდილობენ უფრო მეტად გააძლიერონ თანამშრომლობა ევროკავშირის ქვეყნებთან.

ჩაის ყიდთან ტურისტებზეც. მათ სთავაზობენ მეურნეობის დათვალიერებას, სამუშაო პროცესის გაცნობასა და მუშაობაში ჩართვას, ჩაის კრეფას, წარმოების პროცესზე დაკვირვებას, ჩაის ნაყენის მომზადებასა და დეგუსტაციას. ასევე მათ შეუძლიათ ჩაის შექმნა, აქვთ მასპინძლის სახლში ან კარვებში განთავსებას საშუალება. ადგილობრივი ვიზიტორების გარდა, მათ სტუმრობენ უცხოელებიც: ჩეხები, ფრანგები, ბრიტანელები, გერმანელები და სხვ.

**11. ნანა მელაშვილის ჩაის გადასამუშავებელი საწარმო, კოოპერატივი „ნაგომარი“;** მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარში. საწარმო მომხმარებელს სთავაზობს ნატურალურ 8 სახეობის ძირითადად მწვანე და შავ ჩაის, ასევე ჩაის სხვადასხვა სახის ხილის არომატით.

ეტაპობრივად აწარმოებენ 7 ტონას წელიწადში. აქვთ საკუთარი, გაკულტურებული ჩაის მეურნეობა 25 ჰა-ზე. მუდმივად დასაქმებული ჰყავს 6 ადამიანი, ხოლო სეზონზე – 74 მუშახელი. ძირითადად მუშაობენ ექსპორტზე. ჩაი გააქვთ ამერიკაში და ევროპის ქვეყნებში.

ობიექტი ჩართულია ჩაის გზის პროექტში. მათ ხშირად სტუმრობენ ტურისტებიც. ისინი ათვალიერებენ პლანტაციას, აგემოვნებენ და ყიდულობენ ჩაის.

**12. გიორგი მასიურაძის ჩაის გადასამუშავებელი საწარმო შპს „მიღმართი“;** მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში. პროდუქტის რეალიზაციას ახდენს როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე ვიზიტორებთან.

**13. „აკეთის ჩაი“** მცირე საოჯახო ბიზნესია, რომელიც აწარმოებს მაღალი ხარისხის პროდუქტს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთში.

საწარმოს მიერ წარმოებული ჩაი უკვე იყიდება თბილისსა და დიდ ქალაქებში. შესაბამისად, ობიექტის მიზანია ახლოდან გააცნოს მომხმარებლებს წარმოებული პროდუქცია.

სტუმრებს საშუალება აქვთ დაათვალიერონ პლანტაციები და მიიღონ მონაწილეობა ჩაის მოკრეფაში, დააგემოვნონ ნატურალური ჩაი და მიირთვან ადგილზე მომზადებული დესერტი.

**14. ჩაი „გურიელი“;** როგორც ქართული ბრენდი, 2010 წელს გამოჩნდა ქართულ ბაზარზე. აწარმოებს მაღალი ხარისხის ჩაის. პროდუქტს. აქვს გამორჩეული გემო და არომატი, აგრეთვე ექსკლუზიური დიზაინი და შეფუთვა.

**15. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „გურია-კომპანი 2014“;** კოოპერატივი შედგება 7 წევრისაგან. მათი აქტიური ჩართულობითა და ENPARD-ის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით მოხერხდა კოოპერატივის საკუთრებაში არსებული 5 ჰა. ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია, შემოღობვა და ჩაის გადამამუშავებელი წარმოების გადაიარაღება თანამედროვე ტექნოლოგიებით. ამჟამად, კოოპერატივი აწარმოებს დაახლოებით 1,5 ტონა შავ ჩაის.

**16. ჩაი „სამების“** მწარმოებელი ფაბრიკა მდებარეობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. სამებაში. ჩაი ხელით იკრიფება, ნედლეული ისე მუშავდება, რომ შენარჩუნებული აქვს სასარგებლო თვისებები, სასიამოვნო გემო, არომატი და ვიტამინები.

**17. გიორგი გოგიშვილის საწარმო „ჩაი № 101“**, მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანაში. ჩაის მეურნეობა გაშენებულია 8 ჰა-ზე. აწარმოებს ჩაის რამდენიმე სახეობას, მათ შორის, ბიოლოგიურად სუფთა დუყის ჩაის.

**18. გიორგი ლომთათიძის გურული ჩაი „გამარჯობა“** შეიქმნა 2019 წელს გურიის მხარეში, ოზურგეთსა და ჩოხატაურში, სამი საწარმოს გაერთიანებით.

It is difficult to overestimate the importance of the concept of "economic security in the health care system". If we talk about economic security in the medical industry, it is directly related to the solvency of the population and the country's budget. For private medical organizations, a decrease in the level of solvency of the population leads to a decrease in financial stability. In the conditions of the economic crisis, only a small part of the population can receive the services of medical organizations, which has a negative effect on the development of this sector of the medical services market. Most of the population of the country has the opportunity to use the medical services provided by the health service only at the expense of the mandatory medical insurance and the budget. The lack of investment financing may lead to a decrease in the current level of public health. The analysis of the level of economic security of the health system allows us to identify possible directions for overcoming threats.

"Economic security of health care": this is the creation of conditions and factors for the development of medical organizations and the growth of the population in the region, the activity of the health care system, which is based on the development of the potential of the health care system (personnel, innovation, technology) and the protection of the system from direct and indirect organizational and economic threats.

**ქეთევან ლუღუშაური**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

**საბანკო სექტორის ფინანსური კონტროლი**

**ანოტაცია.** სუვერენული სახელმწიფოსათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საკრედიტო სისტემას. საქართველოს ჩართვა მსოფლიო სისტემაში, საწარმოთა ეფექტური ფუნქციონირება და ზოგადად, სახელმწიფოს განვითარება პირდაპირ კავშირშია საბანკო სისტემასთან. იმისათვის, რომ საქართველოში დროულად განხორციელდეს ეკონომიკური კრიზისის დაძლევისათვის აუცილებელი ღონისძიებები, მნიშვნელოვანი როლი საბანკო სისტემას აკისრია. სტატიაში განხილულია საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების საქმიანობა, ზედამხედველობის საკითხები და ეკონომიკური ნორმატივების შესრულების მდგომარეობა.

**საკვანძო სიტყვები:** საბანკო სისტემა; საბაზრო ეკონომიკა; ეკონომიკური პოლიტიკა; საბანკო კონტროლი.

**შესავალი**

მე-20 საუკუნის მიწურულს, მსოფლიოში მნიშვნელოვანი პროცესები განვითარდა, რასაც მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის რღვევა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაწყება მოჰყვა ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში.

საქართველოს პოლიტიკა 70-წლიანი ისტორიის განმავლობაში ეკონომიკურ ფაქტორებს ნაკლებად ეყრდნობოდა. შესაბამისად, საქართველო XX საუკუნის ბოლოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მექანიზმების გარეშე შეხვდა.

იმისათვის, რომ საქართველოში დროულად განხორციელდეს ეკონომიკური კრიზისის დაძლევისათვის აუცილებელი ღონისძიებები, მნიშვნელოვანი როლი საბანკო სისტემას აკისრია, რადგან ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მაკროეკონომიკური სტაბილურობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საიმედო, მყარ და ლიკვიდურ საბანკო სისტემასთან. საბანკო სექტორის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტორი, რომ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში პროგრესის დონის მთავარი მაჩვენებელი ადამიანის განვითარების ინდექსი, წმინდა კეთილდღეობა მოსახლეობის ერთ სულზე და წმინდა ცოდნის დინამიკაა. საბანკო სისტემას გააჩნია მნიშვნელოვანი რეზერვები უზრუნველყოს საზოგადოების ორიენტაცია კონკურენტუნარიანობაზე, შესაძლებლობებზე, ცოდნაზე, ადამიანზე, მენეჯმენტსა და მარკეტინგზე.

საბანკო კონტროლი ძალზე მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. საბანკო საქმიანობის კონტროლი იყოფა შიდა და გარე კონტროლად. გარე კონტროლი ტარდება ეროვნული ბანკისა და გარე აუდიტორების მიერ. შიდა კონტროლი წარმართება ბანკის მიერ. შიდა საბანკო კონტროლი ბანკის მენეჯმენტის ნაწილია. აღნიშნულ ფუნქციებს ახორციელებენ მენეჯერები და შიდა აუდიტის ორგანოები. შიდა საბანკო კონტროლის მთავარი დანიშნულებაა ბანკის საქმიანობაში ნაკლოვანებების გამომჟღავნება და მათ გადასაჭრელად ოპერატიული სისტემის შექმნა. შიდა საბანკო კონტროლი უკავშირდება გარე კონტროლს და ეროვნული ბანკის საკა-

ნონმდებლო აქტების, ასევე შიდა საბანკო ინსტრუქციების დაცვის შემოწმებას მოიცავს.

### საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების საქმიანობა და ეკონომიკური ნორმატივების შესრულების მდგომარეობა


საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკის საქმიანობის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია მისი ფინანსური ანგარიშგების სისწორის შემოწმება. ბანკის აუდიტორული შემოწმების დროს უნდა მოხდეს მისი საქმიანობის ყველა სფეროს გაანალიზება. საბანკო აუდიტი შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიმართულებებით: საბანკო საქმიანობის კონტროლი საკანონმდებლო დოკუმენტებთან, ბანკის წესდებასთან შესაბამისობის კუთხით; კაპიტალის ფორმირებისა და განთავსების ხარისხისა და მიზნობრიობის შეფასება; ბანკის სააქციო კაპიტალის დაცვის უზრუნველყოფის კონტროლი და სხვა.

აუდიტორმა შემოწმების დაწყებისას უნდა შეადაროს სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემები, რათა დარწმუნდეს ბუღალტრული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებში ასახვის სისწორესა და ნაშთის უტყუარობაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური ნორმატივების დაცვას, რომელიც უზრუნველყოფს საბანკო სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებას.

კომერციული ბანკების ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, ეროვნული ბანკი ბაზელ III-ის შესაბამისად, მათ პირველადი კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის ჯამურ მოთხოვნებს უსაზღვრავს. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს დიაპაზონში გამოთვლილმა პირველადი კაპიტალის კოეფიციენტმა 15,58% შეადგინა, ხოლო საზედამხედველო კაპიტალი კი 19,57% იყო. აღნიშნული მაჩვენებლები, კაპიტალის ადეკვატურობის ჯამურ მოთხოვნებზე 2,62%-ით და 2,09%-ით მეტია (იხ. დიაგრამა N 1).

**დიაგრამა N 1. კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ III-ის შესაბამისად**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.



2021 წლის დასასრულს საბანკო სფეროს მთლიანი საკრედიტო პორტფელი 43 მილიარდი ლარით განისაზღვრა და გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე მისმა წლიურმა ზრდამ 18,2% შეადგინა. საკრედიტო პორტფელის (გარდა ბანკთაშორისი სესხებისა) შედგენილობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ყოფილა (იხ. დიაგრამა N 2).

**დიაგრამა N 2. მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება წინა წელთან შედარებით**




**წყარო:** საქართველოს ეროვნული ბანკი.

2021 წლის განმავლობაში, გაგრძელდა წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერის კალიბრაციის პროცესი. 2020 წლისთვის ეროვნული ბანკის თანამშრომლობით კომერციულ ბანკებთან განხორციელდა ამ ბუფერის განსაზღვრისა და გაანგარიშების ჩარჩოს დამატებითი ფორმალიზება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზედამხედველო სტრეს-ტესტების ფარგლებში გამოთვლილი კაპიტალის მოთხოვნა კონსერვაციისა და კონტრციკლური ბუფერების ჯამურ მოთხოვნაზე მეტი ოდენობით განისაზღვრება.

2021 წელს (2020 წლის მსგავსად) ბანკების მხრიდან განხორციელებული სტრესტესტების შედეგად, ეროვნული ბანკის მიერ წმინდა სტრესტესტების ბუფერი არ დადგენილა, რადგან კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს მხრივ ცენტრალური ბანკის პოზიცია მოთხოვნების გავრცობას კონტრციკლურად ნიშნავს – ბუფერების დაზოგვას ეკონომიკის აღმავლობის პირობებში და შემდეგ გამოთავისუფლებას სტრესული პერიოდების დროს. 2021 წელი კი პანდემიის გავლენით საბანკო სფეროსთვის მძიმე პერიოდი იყო. 2018 წლისთვის ამოქმედდა წმინდა GRAPE ბუფერი, რომელიც განიხილება რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის უწყვეტი პროცესის ფარგლებში. მის მიზანს კომერციული ბანკების რისკების შეფასება წარმოადგენს. GRAPE-ის მიხედვით ხდება, კომერციული ბანკების რისკის პროფილის შეფასება. 2021 წლის ივლისში ეროვნულმა ბანკმა განაახლა წმინდა GRAPE ბუფერების მოცულობა და ინდივიდუალური GRAPE ბუფერების მოცულობა. რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები 1,5 პროცენტთან 9,2 პროცენტამდე დიაპაზონში განისაზღვრა.

**დიაგრამა N 3. პილარ 2-ის ჯამური მოთხოვნები ბანკების მიმართ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2021 წლის დასასრულს კრებსითი სავალუტო პოზიცია 2,6 პროცენტის ფარგლებშია და რადგან აღნიშნული პოზიციის დათვლისას აქტივებში მიმდინარე პერიოდში ნაწილობრივ ისევ გაითვალისწინება მთლიანი სესხები, შესაბამისად, ბანკების რეალური პოზიცია მოკლეა. შედეგი არის ის, რომ ლარის კურსის გაუფასურება იწვევს ზარალს. ასევე, რადგან სააქციო კაპიტალი ლარით არის წარმოდგენილი, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გადაფასებისას საგრძნობლად მცირდება ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები. ლარის გაუფასურების დროს და აღნიშნული რისკის წინაშე ბანკები უფრო მეტად სუსტდებიან.

საქართველოს საბანკო სექტორში, ლარიზაციის ზრდა წელი ტემპით გრძელდებოდა გამომდინარე იქიდან, რომ უცხოური ვალუტის აქტივებსა და ვალდებულებებს მაღალი წილი უკავიათ, სავალუტო რისკის ფაქტორი საქართველოს ბანკებისათვის ისევ საყურადღებო პრობლემაა. ცენტრალური ბანკის მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ბანკებში სავალუტო რისკის შიდა მოდელების განვითარებას და სტრუქტურულ პოზიციასთან დაკავშირებულ რისკების შეფასებას.


**დიაგრამა N 4. კომერციული ბანკების საბალანსო და კრებსითი სავალუტო პოზიციები საზედამხედველო კაპიტალთან**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2021 წლის მონაცემებით, საშუალო კაპიტალსა და აქტივებზე უკუგება, შესაბამისად 30,7% და 3,6% შეადგინა. აღნიშნული, წინა წლის მაჩვენებლებზე (1,8%-ზე და 0,2%-ზე) მნიშვნელოვნად მაღალია. აღნიშნულის წინაპირობა პორტფელის გაუმჯობესებული ხარისხი გახდა.


**დიაგრამა N 5. უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2021 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების მოცულობა საკმაოდ მაღალ დონეზე შენარჩუნდა და ლიკვიდურმა აქტივებმა მთლიანი აქტივების 21% შეადგინა, რაც არასაბანკო დეპოზიტების თითქმის 34%-ის დასაფარავად იყო საკმარისი.

**დიაგრამა N 6. ლიკვიდური აქტივების დონე**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

2021 წლისთვის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) ჯამურად სტაბილურობით ხასიათდებოდა. 2020 წლის პირველი მაისიდან, ბანკებს შესაძლებლობა მიეცათ ერთი წლის განმავლობაში ლარის ლიკვიდობის მართვის უზრუნველსაყოფად უცხოური ვალუტის ბუფერები გამოეყენებინათ და ამის საშუალებით

ჯამური ლიკვიდობის მოთხოვნის დაცვა უზრუნველყოფთ, რათა ლიკვიდობის მართვის მხრივ მეტი სარგებელი მიეღოთ. 2021 წლის ბოლო კვარტალში ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის შემცირება სესხებზე მოთხოვნის ზრდასთან იყო დაკავშირებული. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) მაღალ დონეს ინარჩუნებდა და 2021 წლის განმავლობაში 130%-ის ფარგლებში იყო.

დიაგრამა N 7. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.

ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების წესებს. მათი ლიკვიდობის მხარდასაჭერად ადგენს ეკონომიკური ნორმატივების სიდიდეს. კომერციული ბანკი ლიკვიდობის ასამაღლებლად, აგრეთვე, მეანაბრების, მეპაიების, აქციონერების ინტერესების დასაცავად ქმნის სავალდებულო ფონდებს. კომერციული ბანკების აუდიტის განხორციელების პროცესში უნდა შემოწმდეს სავალდებულო რეზერვების, დეპოზიტების, სადაზღვევო ფონდების გაკოტრებისგან დასაზღვევი ფონდების შექმნის სისრულე.

### დასკვნა

კომერციული საბანკო სფეროს ზედამხედველობის მიზანი არის საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების საქმიანობის რეგულირების გზით საბანკო სექტორის სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფა. საბანკო ზედამხედველობის ძირითადი არსი მეანაბრების დანაკარგების რისკის შემცირებითა და ბანკების მიმართ საზოგადოების მხრიდან ნდობის განმტკიცებით ვლინდება.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კომერციული ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველი ორგანო დამოუკიდებელი იყოს პოლიტიკური ზეგავლენისაგან, რათა გადაწყვეტილებების მიღება განხორციელდეს ობიექტური პრინციპების შესაბამისად.

ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად ხელს უწყობს საფინანსო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას და რისკების შემცირებას.

ცენტრალური ბანკი კომერციული ბანკების ზედამხედველობის განხორციელებისას გასცემს და აუქმებს ლიცენზიებს, გასცემს წერილობით მითითებებს, აწესებს შეზღუდვებს, ითხოვს ინფორმაციას კომერციული ბანკების კაპიტალის წარმოშობისა და მათი მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრეთა შესახებ, ამოწმებს კომერციულ ბანკებს, უზრდის სავალდებულო რეზერვების ნორმებს.

#### გამოყენებული ლიტერატურა

- [1] ოქრუაშვილი ც., კომერციული ბანკის მენეჯმენტი, თბ., 2006;
- [2] ოქრუაშვილი ც., კომერციული ბანკის მენეჯმენტი, აუდიტი, მარკეტინგი, თბ., 2009;
- [3] საქართველოს ეროვნული ბანკი, საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები, თბ., 2006;
- [4] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N69/04 კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ, 2013 წლის 28 ივნისი;
- [5] საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2020;
- [6] საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2021.

*Ketevan Gudushauri*

*Doctoral student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## FINANCIAL CONTROL OF THE BANKING SECTOR

### Expanded summary

At the end of the 20th century, important processes developed in the world, which led to break down of the command-administrative system and the beginning of the process of transition to a market economy in the former communist countries.

During the 70-year history, the politics of Georgia less relied on economic factors. Accordingly, Georgia faced to the end of the 20th century, without the mechanisms of economic policy formation.

For a sovereign state, the credit system is very important. The involvement of Georgia in the world system, the efficient functioning of enterprises and in general, the development of the state are directly related to the banking system.

In order to, implement necessary measures to overcome the economic crisis in Georgia, the banking system has an important role, because the country's economic development and macroeconomic stability are closely related to a reliable, solid and liquidity banking system. The importance of the banking sector is increased by the fact, that the main indicator of the level of progress in the postindustrial society is the human development index, prosperity of the population and the dynamics of knowledge. The banking system has significant reserves, to ensure society's orientation on competitiveness, opportunities, knowledge, person, management and marketing.

Banking control is very important in market economy conditions. Banking activity control is internal and external control. External control is conducted by the National Bank and external auditors and internal control by the bank. Internal banking control is part of the bank management. These functions are fulfilled by managers and internal audit divisions.

The main purpose of internal banking control is to reveal deficiencies in the bank's activities and to create an operational system to solve them. Internal banking control is related to external control and includes checking compliance with the legal acts of the National Bank, as well as internal banking instructions.

Commercial bank is the main entity in the field of monetary circulation, which mediates the movement of funds from lenders to borrowers and from sellers to buyers.

In the conditions of the market economy, to assessment the activity of a commercial bank, it is important to check the correctness of the bank financial statement. During the audit of the bank, all areas of the bank activities should be analyzed.

At the beginning of the audit, the auditor should compare the synthetic and analytical accounting data, to ensure the correctness of the reflection of accounting operations in the relevant reports and in the accuracy of the balance.

The inspection can be carried out in the following procedural sequence:

1. Checking the cash boxes and its operations;
2. Controlling the correctness of the statutory fund in terms of formation;
3. Study of correspondence and accounting accounts;
4. Checking of reporting and credit operations;
5. Studying the bank's incomes and expenses, as well as, rechecking the correctness of payment of taxes.

Particular attention should be paid to the compliance with the economic norms, which ensures the stable functioning of the banking system.

The results of activities of commercial banks in Georgia, for 2021 year are follows:

On December 31 of 2021, for commercial banks of Georgia, the primary capital coefficient calculated within the range of the capital adequacy framework was 15.58%, while the regulatory capital was 19.57%.

At the end of 2021, the total credit portfolio of the banking sector was 43 billion GEL and without the effect of the exchange rate, its annual growth was 18.2%.

In July of 2021, the National Bank updated the volume of net GRAPE buffers and the volume of individual GRAPE buffers, was from 1.5 percent to 9.2 percent of risk-weighted assets.

At the end of 2021, the aggregate currency position is within 2.6 percent, and because in the calculation of the mentioned position, total loans are partially taken into account in the assets, therefore, the real position of the banks is short.

As of 2021, ROE and ROA amounted 30.7% and 3.6% respectively. This is significantly higher than the indicators of the previous year, 1.8% and 0.2%. The prerequisite for this was the improved quality of the portfolio.

During the year 2021, the volume of liquid assets remained at a quite high level, and liquid assets was 21% of total assets, which was enough to cover almost 34% of non-bank deposits.

During the audit of commercial banks, should be checked the completeness of mandatory reserves, deposits and creation of insurance funds against bankruptcy of insurance funds.

It is very important, that the supervisor of commercial banks to be independent from political influence, so that, decisions to be made according to objective principles.

**Keywords:** *Banking system; Market economy; Economic policy; Banking control.*

ცოტნე გოგიშვილი

დოქტორანტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**2007-2008 წლების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის არსი,  
ფორმირება და დასასრული**

**ანოტაცია.** მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში მრავალი ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი მომხდარა, თუმცა ეს გამოცდილება 2007-2008 წლების კრიზისისგან თავის დასაღწევად მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. XX საუკუნის 30-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ შემდეგ აშშ-ს ყველაზე დიდი ზიანი 2007-2008 წლების ფინანსურმა კრიზისმა მიაყენა. ამერიკის ბაზარზე ვალების ჭარბწარმოებამ უძრავი ქონების ბუშტი შექმნა. იპოთეკური კრიზისი საბანკო კრიზისად, ხოლო შემდეგ მრეწველობის კრიზისად გადაიქცა. ფინანსური სექტორის კოლაფსი არა მარტო აშშ-ის, არამედ მთელი მსოფლიოს გამოწვევა იყო. ნაშრომში განხილულია 2007-2008 წლების ფინანსური კრიზისის ძირითადი გამომწვევი მიზეზები, მათი გავლენა მსოფლიოსა და საქართველოზე. სტატია მოიცავს სრულ, კრიზისამდელ და კრიზისის შემდგომ პერიოდს. განხილულია XX საუკუნის 80-იან წლებში მიღებული დერეგულაციები და XXI ს-ის დასაწყისში ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის მონეტარული პოლიტიკა. ნაშრომი მიმოიხილავს კრიზისის გამომწვევ მთავარ ფაქტორებს, როგორებიცაა ფინანსური ინსტრუმენტები (MBS, CDO), სადაზღვეო კომპანიები, საინვესტიციო ბანკებისა და სარეიტინგო კომპანიებს შორის ურთიერთდამოკიდებულება. ასევე ნაშრომში შეჯამებულია მთავრობებისა და რეგულატორების მხრიდან კრიზისის დასაძლევად გადადგმული ნაბიჯები. საბოლოოდ, დასკვნის სახით გვარკვევთ თუ ვისი პასუხისმგებლობა იყო 2007-2008 წლების კრიზისის დადგომა და რა უნდა გავითვალისწინოთ სამომავლოდ.

**საკვანძო სიტყვები:** ფინანსური კრიზისი, 2007-2008 წლების კრიზისი, გლობალური რეცესია, სეკურიტიზაცია, იპოთეკური სესხის კრიზისი, ფინანსური კრიზისის გამომწვევი მიზეზები.

**შესავალი**

ფინანსური კრიზისები საუკუნოვან ისტორიას ითვლის და მრავალი კვლევა დაწერილა მათ შესახებ. მიუხედავად ამისა, 2007-08 წლების საბანკო კრიზისის მსოფლიო მოუმზადებელი შეხვდა, რამაც გლობალურ ეკონომიკას დიდი დარტყმა მიაყენა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ XX ს-ის 30-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ შემდეგ 2008-2009 წლების გლობალური კრიზისი იყო ერთ-ერთი უმძიმესი მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში [Thakor, 2015:155-205].

კრიზისი სათავეს ჯერ კიდევ 2000 წლიდან იღებს, როცა ზედმეტმა ინვესტიციებმა ტექნოლოგიური აქციების ბაზარზე შექმნა „ინტერნეტ ბუშტი“, რაც საბოლოოდ აქციებზე ფასების ვარდნით დასრულდა. ამას ამერიკის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (FED) შერბილებული მონეტარული პოლიტიკით უპასუხა და საპროცენტო განაკვეთი 6.5-დან 3.5 პროცენტამდე შეამცირა. ამის შემდეგ იყო 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტრაგედია. FED-მა კვლავ გადაწყვიტა ეკონომიკის

სტიმულირება და 2003 წლის ივლისისთვის საპროცენტო განაკვეთი 1 პროცენტამდე შეამცირა [Singh, 2021]. სავსებით ლოგიკურია, რომ როცა ფული იაფია, მსესხებლები ეცდებიან რაც შეიძლება მეტი გაასესხონ, რეგულაციების ნაკლებობა კი დამატებით უწყობს ხელს ფულის არარაციონალურ გაცემას. ასევე შერბილდა იპოთეკის გაცემის სტანდარტები, საკრედიტო რისკის მნიშვნელობამ უკანა პლანზე გადაიწია და შეიქმნა მრავალფეროვანი ფინანსური ინსტრუმენტები, რათა სესხების გაცემა გაადვილებულიყო. საინვესტიციო ბანკები, სარეიტინგო კომპანიები და სადაზღვევო კომპანიები თამამად იღებდნენ რისკებს და უარყოფით სცენარებს არ განიხილავდნენ. ამ ყოველივემ იპოთეკური კრიზისის საბანკო კრიზისად გადააქცია, ხოლო საბანკო კრიზისი მრეწველობის კრიზისში გადავიდა.

ფინანსური კრიზისის დროს 3.3 პროცენტით შემცირდა მსოფლიო ეკონომიკა, მრავალი საფინანსო ინსტიტუტი გაკოტრდა, ხოლო ვინც არ გაკოტრდა ან ძალიან დაზარალდა, ან ნაციონალიზაციას დაექვემდებარა. კრიზისთან გასამკლავებლად ცენტრალურმა ბანკებმა საპროცენტო განაკვეთები შეამცირეს, რეგულაციები შემოიღეს და სხვადასხვა ღონისძიებები დაგეგმეს, თუმცა კრიზისიდან გამოსვლას რამდენიმე წელი მაინც დასჭირდა.

კრიზისმა საქართველოს ეკონომიკასაც მიაყენა ზიანი, ამას რუსეთ-საქართველოს ომიც დაემატა და ქვეყანა ორმაგი კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, თუმცა, განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, დანაკარგი შედარებით ნაკლები იყო.

ნაშრომში განვიხილავთ თუ რა უძლოდა წინ 2008-09 წლების გლობალურ ფინანსურ კრიზისს, მის გამომწვევ მიზეზებს და ცენტრალური ბანკების საპასუხო ქმედებებს. ასევე ვიმსჯელებთ რა გავლენა ჰქონდა კრიზისის მსოფლიოსა და საქართველოზე.

### **უძრავი ქონების ბუშტის შექმნა**

2008-09 წლების კრიზისის მთავარი მიზეზი აშშ-ში უძრავ ქონებაზე ფასების სწრაფი ზრდა იყო, რაც უძრავი ქონების ბუშტის სახელითაა ცნობილი. კრიზისის დადგომის ნიშნები 2007 წლის დასაწყისშივე იგრძნობოდა, როდესაც კვაზი-სახელმწიფო ორგანიზაციამ ფრედი მაკმა (Freddie Mac) განაცხადა, რომ მაღალი რისკის შემცველ იპოთეკებს აღარ შეიძენდა. იმავე წელს გაკოტრდა ამერიკული კომპანია „New Century Financial Corporation“, რომლის ძირითადი საქმიანობა რისკიანი სესხის გაცემა იყო [Marshall, 2009].

ABX ინდექსი, რომელიც გამოიყენება როგორც ბარომეტრი სუბსტანდარტიზებული (Subprime) საცხოვრებელი უძრავი ქონების სექტორში, 2007 წლის დასაწყისში დეფოლტის დონის გაზრდას პროგნოზირებდა [Fender and Scheicher, 2008:67-81]. მრავალი ეკონომისტი (ნორიელ რუბინი, მაიკლ მაიო, ვილიამ პული, უორენ ბაფეტი და სხვები) პროგნოზირებდა უძრავ ქონებაზე ფასების სწრაფ ვარდნას, თუმცა მათ არავინ დაუჯერა. 2006 წელს ამერიკელმა ეკონომისტმა ნორიელ რუბინმა საერთაშორისო სავალუტო ფონდს (IMF) მიმართა და დაუსაბუთა, რომ ახლო მომავალში აუცილებლად დადგებოდა გლობალური კრისიზი და ამის მიზეზი უძრავი ქონების ბუშტი იქნებოდა, თუმცა ამას დიდი რეაგირება არ მოჰყოლია [Brookes, 2009].

XX ს-ის 80-იან წლებში, რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის დროს, ფინანსური დერეგულაციების მხრივ გადადგმულმა ნაბიჯებმა დიდი წვლილი შეიტანა უძრავი ქონების ბუშტის შექმნაში. 1980 წელს აშშ-ში მიიღეს „სადეპოზიტო ინსტიტუტების დერეგულაციისა და მონეტარული კონტროლის აქტი“. ამ აქტის მიხედვით



ბანკებს შეეძლოთ ერთმანეთს შერწყმოდნენ, შესაბამისად საბანკო დაწესებულებების რიცხვი შემცირდა და სექტორის კონცენტრაცია გაიზარდა. ამასთანავე გრანსენ-ჟერმენის აქტის თანახმად, ბანკებს შეეძლოთ დაეწესებინათ ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, გრემ-ლიჩ-ბლაილის აქტის მიხედვით კი, საინვესტიციო და კომერციულ ბანკებს შეეძლოთ გაერთიანებულიყვნენ. მრავალი ეკონომისტი და მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატები, ჯოზეფ სტიგლიცი [Stiglitz, 2010] და პოლ კრუგმანი [Krugman, 2009], სწორედ გრემ-ლიჩ-ბლაილის აქტს ასახელებდნენ უძრავი ქონების ბუშტის შექმნის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად.

2000 წელს შემოღებულმა სუბსტანდარტულმა იპოთეკებმა დიდი როლი ითამაშეს უძრავი ქონების ბუშტის შექმნაში. ამ პერიოდამდე ბანკები სესხის მხოლოდ 80 პროცენტს (LTV=0.8) აფინანსებდნენ და საპროცენტო განაკვეთები ძირითადად ფიქსირებული იყო. 2000 წლიდან კი ბაზარზე გამოჩნდა სუბსტანდარტული სესხები, სადაც მსესხებლის თანამონაწილეობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი და ბანკი დიდ საკრედიტო რისკს იღებდა. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ის მხოლოდ რამდენიმე წელი იყო ფიქსირებული, შემდეგ კი ხდებოდა მცურავი და ებმოდა ან LIBOR-ს ან სხვა ინდექსს. ბანკირები რისკებს აღარ უყურებდნენ და გასცემდნენ ისეთ აბსურდულ სესხებს, როგორებიცაა „Ninja“ (No income, no job, and no assets) სესხები, რომლებიც შეეძლოთ აეღოთ შემოსავლის, სამსახურისა და აქტივების არმქონე ადამიანებსაც [Garriga, Noeth and Schlagenhauf, 2017].

2004 წლის ივნისიდან აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (FED) საპროცენტო განაკვეთების ზრდა დაიწყო და 2 წლის შემდეგ განაკვეთმა 5.25 %-ს მიაღწია. ეს მაჩვენებელი 2007 წლის აგვისტომდე შენარჩუნდა [The Federal Reserve Bank of New York, 2020]. შესაბამისად, ყოველთვიური გადასახადები გაიზარდა, ამას კი დეფოლტებისა და საბანკო სისტემაში უმოქმედო სესხების დონის ზრდა მოჰყვა. უძრავი ქონების ფასების კლებამ კიდევ უფრო დაამძიმა სიტუაცია სუბსტანდარტული იპოთეკების გამცემი ბანკებისთვის.

### **კრიზისის გამომწვევი მიზეზები და საპასუხო ღონისძიებები**

2008-09 წლების ფინანსური კრიზისიდან დიდი დრო გავიდა, თუმცა მის გამომწვევ მიზეზებზე კამათი დღემდე აქტუალურია. კრიზისის გამომწვევ მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ ფინანსური ბაზარზე ინოვაციური პროდუქტების განვითარება, საფინანსო სექტორის მხრიდან ფინანსური რისკების არაჯეროვნად გააზრება, მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა და ამ ყველაფრის კომპლექსური ნაერთი.

**ფინანსური ინოვაციები** - აშშ-ის ფინანსურ სექტორში გავრცელებული ინოვაციები საბანკო კრიზისის შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ფინანსური სექტორი კოლოსალურად მზარდი სფერო იყო, რომლის მასშტაბი 2008 წელს 48 ტრლნ დოლარს შეადგენდა და ამერიკის მთლიან შიგა პროდუქტს სამჯერ აღემატებოდა [ჩიქობავა & კაკულია, 2017]. ფინანსური სექტორის ზრდასთან ერთად მრავალფეროვანი გახდა ფინანსური ინსტრუმენტებიც. სუბსტანდარტული იპოთეკების გარდა, ინოვაცია იყო იპოთეკით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები (mortgage-backed securities, იგივე MBS) და სავალო ვალდებულებებით უზრუნველყოფილი ობლიგაციები (collateralized debt obligation, იგივე CDO). ჩამოთვლილი ფასიანი ქაღალდები XX ს-ის 80-იან წლებში შეიქმნა, თუმცა პოპულარობა უძრავი ქონების ბუშტის შექმნის პერიოდში მოიპოვა. CDO-ების და MBS-ების ზოგადი დახასიათება შემდეგნაირია: ფინანსური ინსტიტუტები იპოთეკებს კერძო დაწესებულებებს


ან კვაზი-სახელმწიფო ორგანიზაციებს (ამერიკის შემთხვევაში Fanny Mae ან Freddie Mac) მიჰყვითნა, შემდეგ ისინი ახდენენ ამ იპოთეკების სეკურითიზაციას (Securitization) და ერთ ფასიან ქაღალდად გარდაქმნიან, რომლის საბოლოო მიყიდველი უკვე ინვესტორია. მიყიდვას ახორციელებს არა საინვესტიციო ბანკი, არამედ ბანკის მიერ შექმნილი ვიწრო სპეციალიზაციის ცალკე კომპანია (SPV), რომელიც ბანკს ფინანსური და იურიდიული რისკისგან იცავს. გაყიდვამდე ფასიან ქაღალდებს სარეიტინგო კომპანიები ანიჭებენ რეიტინგს, ფინანსური კრიზისის დროს კი მინიჭებული რეიტინგები რეალურზე ბევრად მაღალი იყო.

2000 წლიდან ამ ტიპის ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნა გაიზარდა, რადგან ინვესტორებს სხვა ობლიგაციებსა თუ ფასიან ქაღალდებზე მაღალ საპროცენტო განაკვეთს სთავაზობდნენ. თანაც სარეიტინგო ორგანიზაციების მიხედვით უსაფრთხოდ ითვლებოდა მათში ფულის დაბანდება. შესაბამისად, აშშ-ის და სხვა ქვეყნების ინვესტორებისთვის, რომელთაც ჭარბი ლიკვიდობა ჰქონდათ, MBS-ებში და CDO-ებში ფულის დაბანდება საკმაოდ მიმზიდველი ჩანდა. შედეგად ამ ტიპის ობლიგაციებზე მოთხოვნა გაიზარდა და შეიქმნა უძრავი ქონების ბუშტი.

### **საინვესტიციო ბანკები, სარეიტინგო კომპანიები და მათ შორის დამოკიდებულება.**

აშშ-ში საბანკო და საინვესტიციო სექტორებს დიდი ხნის ისტორია აქვთ. XX ს-ის 80-იანი წლებიდან საინვესტიციო ბანკებმა ამერიკის და ზოგადად გლობალურ ბაზარზე ზრდა დაიწყეს. მომლიერებულმა საინვესტიციო ბანკებმა შეძლეს შერწყმოდნენ ერთმანეთს ან სხვა საინვესტიციო ბანკები შეეძინათ. შედეგად ამერიკის ბაზარზე მივიღეთ მონოპოლია და ბაზარზე გავლენის მოხდენა უფრო გაადვილდა.

როგორც წინა ქვეთავში აღვნიშნეთ, საინვესტიციო ბანკები ქმნიდნენ CDO-ებს, შემდეგ კი ინვესტორებზე ყიდდნენ, თუმცა დროდადრო სუბსტანდარტული სესხების რიცხვი, რომლებიც დეფოლტის მაღალი ალბათობით გამოირჩეოდნენ, მთლიანი „შეფუთული“ სესხების კალათაში იზრდებოდა. ბანკები სარეიტინგო კომპანიებს ფულს უხდიდნენ, რათა CDO-ებისთვის კარგი შეფასება (AAA) დაეწერათ და შემდეგ სესხები ადვილად გაეყიდათ. შედეგად სარეიტინგო კომპანიების მოგება საგრძნობლად გაიზარდა [Mihaelajmeno, 2015: 631-642]. ბაზარზე სამ უმსხვილეს სარეიტინგო კომპანიას შორის კონკურენცია მაღალი იყო და თითოეული ცდილობდა საინვესტიციო ბანკებთან პარტნიორობის გაძლიერებას. შესაბამისად თუ კარგ რეიტინგს არ დაწერდნენ, ბანკები თავისუფლად შეძლებდნენ მათთვის სასურველი რეიტინგის სხვა კომპანიისგან მიღებას, ამიტომ სარეიტინგო კომპანიები თვალს ხუჭავდნენ CDO-ებში არსებულ ცუდ სესხებზე. არავინ იცოდა ზუსტად როგორი სესხებისგან შედგებოდა CDO-ები და ინვესტორები ბრმად ენდობოდნენ მაღალ რეიტინგებს, ასევე FED ბანკებს CDO-ების გადეფოლტების დასაზღვევად კაპიტალის გადანახვას არ ავალდებულებდა. ბანკები აქტიურად ცდილობდნენ გაეყიდათ დიდი რაოდენობით CDO-ები და შეიქმნა უძრავი ქონების ბუშტი, რომლის გასკდომა უკვე დროის საკითხი იყო და ინვესტორთა დანაკარგების პირველივე ტალღა ამას აუცილებლად გამოიწვევდა. ჩანართი კარგად ასახავს ფინანსური კრიზისის გამომწვევ მოვლენებს და FED-ის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.



### კრიზისის შედეგები

**კრიზისი.** 2006 წლიდან მოყოლებული, უძრავ ქონებაზე ფასების ვარდნამ ამერიკის ეკონომიკაზე დიდი ზეგავლენა იქონია. ადამიანებს გაუჭირდათ სესხის მომსახურება და იძულებულნი გახდნენ სახლები გაეყიდათ. უძრავი ქონების ბუმტის გასკდომის შემდეგ მოთხოვნა სახლებზე აღარ არსებობდა და სამშენებლო სექტორი დიდი გამოწვევების წინაშე დადგა. იპოთეკის გამცემი კომპანიები თანდათანობით კოტრდებოდნენ და იპოთეკური კრიზისი უკვე ფინანსურ კრიზისად გადაიქცა.

2008 წელს ორ უმსხვილეს კვაზი-სახელმწიფო ორგანიზაციას Fannie Mae-ს და Freddy Mac-ს შეექმნა ლიკვიდობის პრობლემა და ფედერალური სარეზერვო სისტემის (FED) მფლობელობაში გადავიდა. Bear Sterns შეიძინა J.P Morgan-მა და შემდეგ, 2008 წლის 15 სექტემბერს, გაკოტრდა უმსხვილესი საინვესტიციო ბანკი Lehman Brothers, რაც მანამდე შეუძლებლად მიაჩნდათ. ფინანსური სექტორი არეულობამ მოიცვა, აქტივებზე ფასები ეცემოდა, ბანკები კი უიმედოდ ეძებდნენ მსესხებლებს, რათა ლიკვიდობა ჰქონოდათ. უმსხვილესმა სადაზღვევო კომპანია AIG-მ გაცემული CDS-ების გამო მომსახურების გაწევა ვეღარ შეძლო და ამერიკის მთავრობა იძულებული გახდა კომპანია გაკოტრებიდან დაეხსნა.

**ინვესტორების ზარალი.** უძრავი ქონების ბუმის გასკდომის შემდეგ ყველაზე მძიმე დარტყმა სწორედ ინვესტორებმა მიიღეს. საინვესტიციო ფირმებმა, ჰეჯ ფონდებმა და ასევე ყველა კერძო ინვესტორმა, ვინც ფული CDO-ებში ჩადო, დიდი დანაკარგი ნახა. საპენსიო ფონდებმა, რომელთაც გადაწყვიტეს CDO-ების ნაკლებად სარისკო ნაწილი ეყიდათ, ფული სრულად დაკარგეს.

**გლობალური რეცესია.** აშშ-ის ფინანსური კრიზისის გადრმავება და რეცესია გადამდები აღმოჩნდა მსოფლიოსთვისაც. 21-ე საუკუნეში ინვესტორები და კომპანიები ბევრად უფრო დაკავშირებულები არიან, ვიდრე აქამდე იყვნენ, შესაბამისად, კრიზისის გლობალური ეფექტი უფრო სწრაფი და მძიმეა. 2008 წლიდან კრიზისმა გლობალური სახე მიიღო. მაგალითისთვის, გერმანიაში ბანკები, რომელთაც ინვესტიცია ჰქონდათ გაკეთებული ამერიკის უძრავი ქონების სექტორში, გაკოტრებასთან ახლოს იყვნენ და მთავრობა იძულებული გახდა ჩარეულიყო [Hodson & Quaglia, 2009]. ნეგატიური მოლოდინების გამო ადამიანები ცდილობდნენ ნაკლები დაეხარჯათ, რომ მომავალში ფულის ან სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში მეტად დაზღვევულები ყოფილიყვნენ და ამან მოთხოვნაზე ზეგავლენა იქონია. მოთხოვნის შემცირებას მოჰყვა აშშ-ის ექსპორტის ჩამოშლა, რაც უმძიმესი აღმოჩნდა ჩინეთისა და იაპონიისთვის. 2009 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, გერმანიაში კლება იყო 14.4 პროცენტით, იაპონიაში – 15.2 პროცენტით, დიდ ბრიტანეთში – 7.4 პროცენტით, ევროზონაში კი – 9.8 პროცენტით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის გათვლებით, ევროპულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა ამერიკულ საფინანსო სექტორზე მეტი იზარალეს [Bailey & Elliot, 2009:1-26].

**კრიზისის გავლენა საქართველოზე.** შავი ზღვის რეგიონში ფინანსური ბაზრები ნაკლებად განვითარებული იყო, ამიტომ ფინანსური კრიზისის გავლენა, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ნაკლებად დამაზიანებელი აღმოჩნდა [Gavras & Manoli, 2015]. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები გადაურჩნენ ფინანსურ კოლაფსს, თუმცა ფინანსური ბაზრების განუვითარებლობამ ეკონომიკა კრიზისის ზეგავლენისგან ვერ დაიცვა. ამ რეგიონის ქვეყნებზე ანალიზი ცალ-ცალკე შეიძლება გაკეთდეს, თუმცა ჩვენ ყურადღებას საქართველოზე გავამახვილებთ.

საქართველოს ამ პერიოდში ორმაგ კრიზისზე მოუხდა გამკლავება. ერთი – ეს იყო მსოფლიო ფინანსური კრიზისი და მეორე – 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკაზე ამ ორი კრიზისის ეფექტების განცალკევება საკმაოდ რთულია.

რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული სამხედრო აგრესიის შემდეგ, 2008 წლის 22 ოქტომბერს, ქ. ბრიუსელში მოწყობილ დონორთა კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველო მიიღებდა 4,55 მილიარდ აშშ დოლარს, საიდანაც 2,55 მლრდ იყო კრედიტი, ხოლო 2 მილიარდი – გრანტი. ომის შემდეგ, მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს 750 მლნ აშშ დოლარის კრედიტი გამოუყო. 2009 წლის 6 აგვისტოს, იმავე პროგრამის ფარგლებში IMF-მა საქართველოს დამატებით 420 მლნ აშშ დოლარი გადასცა [პაპავა, 2013:65-70]. 2009 წლის გაზაფხულზე ბანკებს გასასტუმრებელი ჰქონდათ 500 მლნ აშშ დოლარის ვალდებულება, რისი რესურსიც არ გააჩნდათ და სწორედ ამ დახმარებებიდან გამოიყო 636 მლნ აშშ დოლარი, რამაც ბანკებს ფინანსური სტაბილურობა შეუნარჩუნა [World Bank, United Nations, 2009]. შედეგად სახეზე გვაქვს „ომის პარადოქსი“, როცა ქვეყნისთვის უარყოფითმა მოვ-

ლენამ – ომმა, საერთაშორისო პარტნიორების დახმარების ხარჯზე მოგვცა საშუალება, თავიდან აგვეცილებინა ფინანსური კოლაფსი [Papava, 2010:47].

### დასკვნა

2008-09 წლების ფინანსური კრიზისი უმძიმესი იყო მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში. კრიზისამდე მიმდინარე პერიოდში ადამიანები იღებდნენ დიდი რაოდენობით სესხებს სახლების საყიდლად. ამავდროულად, სამშენებლო სექტორი წარმოებას არ წყვეტდა და შეიქმნა ვალების ჭარბწარმოების კრიზისი, რომელიც მიწოდების ჭარბწარმოების კრიზისად გადაიქცა. აშშ-ში დაწყებულ კრიზისს მალევე გლობალური სახე მიეცა, ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობა რისკის ქვეშ დადგა, უმუშევრობის დონე გაიზარდა, უძრავი ქონების სექტორში ინვესტიორებმა უდიდესი ზარალი ნახეს და დაიწყო გლობალური რეცესია.

მრავალი ფაქტორი შეიძლება დასახელდეს მის გამომწვევ მიზეზად. მათ შორის მნიშვნელოვანია აშშ-ის მონეტარული პოლიტიკა, ფინანსური ინოვაციები, ნაკლები რეგულაციები, ფინანსური ინსტიტუტების ურთიერთკავშირი და რისკების მართვის სერიოზული ხარვეზები. კრიზისმა საქართველოსაც მძიმე დარტყმა მიაყენა, თუმცა, როგორც ვნახეთ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ზარალი ბევრად ნაკლები იყო. ამას დაემატა რუსეთ-საქართველოს ომი, მაგრამ „ომის პარადოქსმა“ ქვეყანას ეკონომიკური მდგრადობა შეუნარჩუნა და ფინანსური კოლაფსი გადაარჩინა.

ვის მიუძღვის ბრალი 2008-09 ფინანსური კრიზისის შექმნაში? იმ ადამიანებს ვინც შექმნა ახალი პროდუქტები, როგორებიცაა CDO, CDS და მოდელები (რომლებიც მათ აფასებს?), თუ მაღალი კლასის მენეჯმენტი, რისკ მენეჯერები (რომლებიც ზედმეტად მაღალ რისკს იღებდნენ) და ტრეიდერები (რომლებიც ჭარბ ინვესტირებას ახდენდნენ)? იქნებ AAA რეიტინგით სარისკო ფასიანი ქაღალდების შეფასება გახდა ამ კრიზისის მიზეზი? ან სარისკო სექტორში ჭარბი ინვესტირების გაშვება? ან რეგულატორები, რომლებიც უშვებდნენ ასეთ გაუთვალისწინებელ, ჭარბ ინვესტირებას სარისკო სექტორში?

პასუხია – ყველა მათგანი! ფინანსური კრიზისის მთავარი გამომწვევი ადამიანების დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა იყო. ფინანსური კრიზისი ყველასთვის დიდი გაკვეთილია. დღევანდელი მეტად დახვეწილი რისკ მენეჯმენტი და რეგულაციები, რომლებიც ბანკებს მეტი ლიკვიდობის დატოვებას ავალდებულებს, იმედის მომცემია სამომავლო კრიზისებისაგან თავის დასაზღვევად.

### ლიტერატურა:

- პაპავა ვ. (2013). "რუსეთთან ომის შემდგომ საქართველოში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი თავისებურებების შესახებ." *ქართული პოლიტიკა*, გვ.65-70.
- ჩიქობავა მ., კაკულია ნ. (2017). "ეკონომიკური კრიზისის თეორიების შედარებითი ანალიზი." *პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია*. თბილისი, თსუ.
- Acharya V., Philippon T., Richardson M., Roubini N. (2009). "The Financial Crisis of 2007-2009: Causes and Remedies." *Financial Markets Institutions & Instruments*, pp.89-137.

- Anonymous. (2008). "Confessions of a Risk Manager." *The Economist*.
- Baily M., Elliott D. (2009) "The U.S. Financial and Economic Crisis: Where Does It Stand and Where Do We." *The Initiative on Business and Public Policy*, pp. 1-26.
- Brookes E. (2009). He told us so. January 24, <https://www.theguardian.com/business/2009/jan/24/nouriel-roubini-credit-crunch> (accessed 05 16, 2022).
- Fender I., Scheicher M. (2008) "The ABX: How Do the Markets Price Subprime Mortgage Risk?" *Bank for International Settlements*, pp. 67-81.
- GARP. (2020) "Financial Risk Manager." In *Foundation of Risk Management*, by GARP, pp. 159-160. New York: Pearson Education.
- Garriga C., Noeth B., and Schlagenhaut D. (2017) "Household Debt and the Great Recession." *Federal Reserve Bank of St. Louis Review*, pp. 183-205.
- Gavras P., Manoli P. (2015) *The Black Sea Region After the 2008 Global Financial Crisis*. Policy Report I, Istanbul: The Black Sea Trust for Regional Cooperation, pp. 48-56.
- Gordon G. (2009) *How Goldman Secretly Bet On The U.S. Housing Crash*. June 16, <https://www.mcclatchydc.com/news/politics-government/article24561376.html> (accessed 05 20, 2022).
- Hodson D., Quaglia L. (2009) "European perspectives on the global financial crisis:." *Journal of Common Market Studies*, pp. 939-953.
- Krugman P., (2009, May 31) *Reagan Did It*. <https://www.nytimes.com/2009/06/01/opinion/01krugman.html> (accessed 05 16, 2022).
- Loungani P. (2006, October) *IMF Survey* (International Monetary Fund), pp.308.
- Marshall J. (2009, April 22) "The Financial Crisis in the U.S.: Key Events, Causes and Responses." *Research Paper 09/34*. London: House of Commons Library, pp. 1-55.
- Meissner G. (2014) *Correlation Risk Modeling and Management*. Wiley.
- Mihaelajméno M. (2015) "Credit Rating Agency Performance In Terms of Profit." *3rd Economics & Finance Conference*. Italy: Elsevier B.V. pp. 631-642.
- Papava V. (2010) "The Economic Development Complex in the Black Sea Area: The Impact of the Global Financial and Economic Crisis." *International Centre for Black Sea Studies (ICBSS)*, pp. 1-96.
- Singh M. (2021, January 11) *The 2007-2008 Financial Crisis in Review*. <https://www.investopedia.com/articles/economics/09/financial-crisis-review.asp> (accessed 05 15, 2022).
- Stiglitz J. (2010) *Freefall: America, Free Markets, and the Sinking of the World Economy*. New York: W. W. Norton & Company.
- Taylor J. (2009) "Economic Policy and the Financial Crisis: An Empirical Analysis of What Went Wrong." *Critical Review: A Journal of Politics and Society*, pp. 341-364.
- Thakor A. (2015). "The Financial Crisis of 2007-2009: Why Did It Happen and What Did We Learn?" *Review of Corporate Finance Studies*, pp. 155-205.
- The Federal Reserve Bank of New York. (2020, March 16) *FOMC's target federal funds rate or range, change (basis points) and level*. <https://www.federalreserve.gov/monetarypolicy/openmarket.htm> (accessed May 16, 2022).
- Theater D., Milner M. (2005). "GM and Ford plunge to junk status." *The Guardian*.

- World Bank, United Nations. (2009). *Georgia: Donor Funding in Support of Post-Conflict Recovery and Reconstruction*. Progress Report, The United Nations and the World Bank.

**Tsotne Gogishvili**

*PhD student*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

## **THE NATURE, FORMATION, AND END OF 2007-2008 GLOBAL FINANCIAL CRISIS**

### **Expanded Summary**

Financial crises are very familiar phenomena. However, 2007-2008 financial crisis unexpectedly hit US and Global financial market. The formation of the crisis did not start in 2007 but it was years in the making. The Depository Institutions Deregulation and Monetary Control Act of 1980 relaxed the rules under which national banks could merge. Moreover, the Gramm-Leach-Bliley Act (GLBA), also known as the Financial Services Modernization Act of 1999 allowed commercial banks, investment banks, securities firms, and insurance companies to consolidate. So concentration in the financial sector increased and the “too big to fail” mentality encouraged banks to engage in more risk taking activities. Thus, the Garn-St Germain Act allowed lenders to offer 2/28 adjustable-rate mortgages at low rates to attract subprime borrowers, but in the end when mortgage rates increased they could not afford the payments. Increased subprime mortgage lending since 2000 was one of the main reasons creating the housing market bubble. Before that banks only financed 80% (LTV=0.8) of the loan and interest rates were fixed. After 2000, subprime lending did not require much collateral from the borrowers, thus interest rates were fixed for a couple of years and after it was linked to LIBOR or other indices. Banks took high credit risk and provided an absurd funding like “Ninja” loans (no income, no job, and no asset) to the public. Their main purpose was to lend and make as much as possible in a short period. They used well-established practice in the global debt capital market - securitization, which allows financial institutions to convert assets that are not easily marketable, such as mortgages or car loans, into rated securities that are tradable in the secondary market. The main reasons for banks to undertake securitization are to fund the assets it owns, balance sheet capital management, risk management, and credit risk transfer. Securitisation depends on the type of the underlying assets, often called mortgage-backed securities (MBS), or collateralized loan obligations (CLOs). Repackaging other securitizations is called collateralized debt obligations (CDOs, issuing bonds against a collateral pool consisting of ABS, MBS, or CLOs), collateralized mortgage obligations (CMOs), or collateralized bond obligations (CBOs). Financial institutions even used third-level securitizations, in which the collateral pool consists of CDO liabilities, which themselves consist of bonds backed by a collateral pool, called CDO-squareds. However, most of the investors did not understand the nature of the derivatives used and the real credit risk of loans used in the securitization process. Investors made decisions according to the ratings given by credit rating agencies but their methodologies were very optimistic and ratings undervalued credit risk of the securities. In 2004, the FED rate increased to 5.25%, and people were unable to bear the expense of higher monthly payments on mortgages.

Default rate increased and the housing market crashed in 2008. It effected not only US but the global market. Investors from all over the world invested in US mortgage sector but in the end they faced high liquidity problems which in most cases ended up with government involvement and bail out. In the first quarter of 2009 GDP of Germany was -14.4%, Japan -

15.2%, Great Britain -7.4%, and GDP declined in Eurozone by 9.8%. In case of Georgia, financial market is not highly developed and the impact was smaller. Moreover, Georgia was at war with Russia and funding after International Donors' Conference in Brussels, 22 October 2008 helped country to lessen the impact of the global recession.

We have listed some of the factors contributing to the global financial crisis but the main one is greediness! Upper management, the traders and investors engaged in irresponsible risk taking and excessive trading to receive high returns, generous salaries and massive bonuses. Most regulators and risk managers ignored market, credit and liquidity risks placed in financial sector's activities thus the majority of traders knew the risks they were taking.

After 2007-2008 financial crisis, most countries created legislation to enforce the Basel accords for their banks. The goal of the Basel accords is to incentivize banks to develop their risk measurement and management systems and to have higher level of safety and soundness in the banking system. Specifically, Basel III addresses the shortcomings of the banking system during the financial crisis and establishes many ratios (LCR, NSFR) to prevent liquidity problems and ensure adequate leverage for banks in the future.

**Key words:** Global financial crisis, financial crisis of 2007-2008, global recession, securitization, liquidity crisis, subprime mortgage crisis.



მარიამ ბიწაძე

ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დოქტორანტი, ეკონომიკის მიმართულება

### სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების განვითარების დონე და გამოწვევები საქართველოში

**ანოტაცია.** ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტექნოლოგიურმა განვითარებამ საწარმოო პროცესის გარდაქმნა გამოიწვია. დღეს მომხმარებელთა საჭიროებებზე სწრაფი რეაგირება კომპანიების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორია. ბაზარზე კონკურენციის გამძაფრებამ მოითხოვა მცირე დროში რთული და მრავალფეროვანი პროდუქტების წარმოება, რამაც წარმოების ხარჯების შემცირების პრობლემა წარმოქმნა. ახალი პროცესების, პროდუქტების ან თუნდაც მომსახურების პროტოტიპირებისთვის საჭირო გახდა ახალი კოლაბორაციული სივრცეების, ისეთის როგორცაა ფაბ ლაბი, ფორმირება. პროტოტიპი საშუალებას გვაძლევს დამუშავებაში მყოფი იდეა უკეთ აღვიქვათ. იდეის განვითარების პროცესებში ფაბლაბმა უზრუნველყო ცოდნისა და ტექნიკური უნარების გაზიარება, ადამიან-კაპიტალის განვითარება, ციფრული დიზაინის შექმნის შესაძლებლობა. ლაბორატორიაში მიმდინარე აქტივობები დადებითად მოქმედებს იდეებზე და ქმნის გარემოს სადაც შესაძლებელი ხდება მისი გარდაქმნა და განვითარება.

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს იმ ფაბლაბების კვლევის შედეგებს, რომლებსაც მასპინძლობს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტი, მათ შორის: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი და აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტი. ასევე სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“. წარმოდგენილია სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების განვითარების დონე და არსებული გამოწვევები. უცხოური საუკეთესო გამოცდილების შესწავლა განხორციელდა ოულუს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ფაბლაბ ოულუს ძირითად აქტივობებზე დაყრდნობით.

**საკვანძო სიტყვები:** ფაბ ლაბი, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია, უნივერსიტეტი, ინოვაცია, კვლევა და განვითარება

### შესავალი

სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების ფორმირება და განვითარება კვლევასა და განვითარებაზე ორიენტირებული ქვეყნებისთვის აქტიური განხილვის საგანია. ფაბლაბი ინოვაციის ეროვნული სისტემის ერთ-ერთ მთავარ მონაწილეს წარმოადგენს, რომელიც ინოვაციების რეალიზების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მიიჩნევა. ლაბორატორია ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ერთი მხრივ ინოვაციური იდეების პროტოტიპად გარდაქმნის და მეორე მხრივ სტარტაპების ფორმირების პროცესს. ეფუძნება კომპიუტერულ ტექნოლოგიებსა და თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემებს, რომლებიც იდეების პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას ქმნის. ფაბლაბის სამრეწველო ინოვაციური აღჭურვილობა სასურველი დიზაინისა და ფუნქციონალური თვისებების მქონე პროდუქტის შექმნას უზრუნველყოფს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიებს, რომლებსაც უნივერსიტეტები მასპინძლობენ. ლაბორატორია ფიზიკური ან/და იურიდიული პირებისთვის უზრუნველყოფს იდეის პროდუქტად ქცევისთვის შესაბამის გარემოზე, უნარებზე, მასალებსა და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობას. ხელსაყრელია ისეთ გარემოში მუშაობა სადაც სტიმულირდება ტექნოლოგიური და ინოვაციური იდეა, რომელზე დაყრდნობითაც შექმნილი პროტოტიპი რეალიზდება. საწარმოები (განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები), რომლებიც ვერ პოულობენ ასეთ გარემოს, სჭირდებათ განსაკუთრებული ძალისხმევა ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად (გველესიანი 2015). ასეთ დროს დახმარებისთვის შეუძლიათ მიმართონ საუნივერსიტეტო ფაბლაბებს და აქ არსებული მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე შექმნან ტექნოლოგიური პროდუქტი. გლობალიზაციამ განაპირობა ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის მთავარ და მამოძრავებელ ძალად ტექნოლოგიები და ინოვაცია დაგვენახა (ერქომაიშვილი 2016). უნივერსიტეტების ახალი სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკის განვითარებაში მათი როლის გააქტიურებას, რისთვისაც აუცილებლობას წარმოადგენს განსაკუთრებით კვლევისა და განვითარების, ინოვაციების სფეროში შესაბამისი პოლიტიკის განხორციელება (Lekashvili and Bitsadze 2021). სწორედ აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ინსტრუმენტს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები წარმოადგენენ.

კვლევის მთავარი მიზანია საქართველოში არსებული ფაბლაბების განვითარების დონისა და გამოწვევების დადგენა. მიზნიდან გამომდინარე ფორმირდა შემდეგი ამოცანები: 1. განვსაზღვროთ უნივერსიტეტის მნიშვნელობა ფაბლაბების ფორმირების პროცესში; 2. უცხოური გამოცდილების შესწავლა; 3. საქართველოში არსებულ ფაბლაბებში კვლევის განხორციელება და ძირითადი მიგნებების ფორმირება; 4. დასკვნები და რეკომენდაციები.

საქართველოში მოქმედი ფაბლაბებიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგიონში N1 უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტისა (საინჟინრო-ტექნოლოგიური პროფილის უმსხვილესი უნივერსიტეტი) და აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტის (აერთიანებს საინჟინრო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ, საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტებს) ფაბლაბებმა. რადგან უნივერსიტეტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიან-კაპიტალის ფორმირების პროცესში, შესაბამისად საინტერესოა მათ ფარგლებში არსებული ფაბლაბების წვლილი ადამიან-კაპიტალის ცოდნისა და უნარების განვითარებაში. რაც გამოიხატება ინოვაციური იდეების პროტოტიპებად გარდაქმნის შესაძლებლობასა და რეალიზებაში. კვლევაში ჩაერთო სსიპ კოლეჯის – „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ – სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაც. განვითარებადი ქვეყნების მეცნიერები ხშირად იკვლევენ მოწინავე განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას, რომელიც შემდგომში სხვადასხვა (მათ შორის განათლება, მეცნიერება და ეკონომიკა) პრობლემების გადაწყვეტის დროს დიდ მნიშვნელობას იძენს (Lekashvili and Bitsadze 2021). წინამდებარე ნაშრომის შემთხვევაში საუკეთესო უცხოური გამოცდილების შესწავლისთვის გათვალისწინებულია გლობალური ინოვაციის ინდექსის 2022 შედეგები (World Intellectual Property Organization 2022). ყურადღება გამახვილდა მაღალშემოსავლიანი ეკონომიკების პირველ ათეულზე და მასში გამოყოფილ იქნა ევროკავშირის წევრი ქვეყანა ფინეთის სახით, რომელიც ევროპის ინოვაციის ტაბლოს მი-

ხედვით ინოვაციის ლიდერთა ჯგუფში ხვდება (EU 2022). ფინეთში 7 ფაბლაბი ფუნქციონირებს, მათგან კვლევისთვის ოულუს უნივერსიტეტის ფაბ ლაბზე გაკეთდა აქცენტი. ლაბორატორია ქვეყნის მასშტაბით პირველ სამეულში შედის და გამოირჩევა მოწინავე ტექნოლოგიებით (International Fab Lab community 2014). კვლევისთვის მონაცემთა ანალიზის, სინთეზის, შედარების, დედუქციისა და ინდუქციის მეთოდები იქნა გამოყენებული.

### თეორიული საფუძვლები

სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის ფორმირების შესახებ იდეა 1998 წელს მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორმა ნეილ გერჰენ-ფილდმა წამოაყენა, ხოლო 2001 წელს მისივე მხარდაჭერით უნივერსიტეტში პირველი ლაბორატორია – ბიტებისა და ატომების ცენტრის სახელწოდებით გაიხსნა. ლაბორატორიის მიზანი ელექტრონული სქემებისა და მიკროპროცესორის ფორმირება გახდა. იდეა ეფუძნებოდა იმის კვლევას, თუ როგორ გამოეყენებინათ ციფრულად კონტროლირებადი აღჭურვილობა სხვა მანქანების წარმოებისთვის. იდეით არა მხოლოდ საინჟინრო არამედ არქიტექტურის სტუდენტებიც დაინტერესდნენ. მოცემული მაგალითი საგანმანათლებლო ფაბ ლაბის ეკონომიკურ მოდელს წარმოადგენს, რომელიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო ინსტიტუტთან. სამიზნე აუდიტორია სხვადასხვა ფაკულტეტის თუ მიმართულების სტუდენტები არიან. ლაბორატორია უზრუნველყოფს მათ შეხვედრებს, იმისთვის რომ ერთმანეთს გადასცენ ცოდნა და ინდივიდუალურად თუ ერთობლივი ძალისხმევით შეძლონ იდეების განხორციელება.

უნივერსიტეტის ფარგლებში ფაბ ლაბის არსებობისთვის მნიშვნელოვანია შესრულდეს ოთხი მთავარი პირობა, კერძოდ: ლაბორატორიამ უნდა უზრუნველყოს 1. ტექნოლოგიისა და აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა; 2. ციფრული სივრცე; 3. ინსტრუმენტებისა და პროცედურის გაზიარება; 4. გლობალური საზოგადოების წევრობა (არ უნდა იყოს იზოლირებული) (Isabelle Liotard 2017). ფაბლაბი აერთიანებს ისეთ ტექნოლოგიას, როგორცაა: 3D სკანირებისა და ბეჭდვის ტექნოლოგია, კომპიუტერით კონტროლირებადი ლაზერები, ზედაპირზე დამონტაჟებული ელექტრონიკა, ჩაშენებული პროგრამირება და გამოთვლები, ინსტრუმენტები დიზაინისა და თანამშრომლობისთვის. ლაბორატორიაში განვითარებული დიზაინი ან/და პროცესი შეიძლება იქნას დაცული ან გაყიდული. ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თავად გამომგონებელი, თუმცა ინდივიდებისთვის ის ასევე ლაბორატორიის ფარგლებში უნდა დარჩეს ხელმისაწვდომი (გამოყენებისა და სწავლებისთვის) (Ropin, Pflieger-Landthaler and Wolfram 2020).

უნივერსიტეტებში ცენტრალიზებურად მართული ფაბ ლაბი არის პლატფორმა, რომელსაც აქვს უნარი კვლევის განსახორციელებლად და პროტოტიპირებისათვის უზრუნველყოს უნივერსიტეტებს, ინდუსტრიებსა და მომხმარებლებს შორის ძლიერი კავშირები.

ფაბ ლაბი შესაძლებელია დავინახოთ, როგორც კერძო სივრცე: (1) რომლის გამომყენებლები არიან ის მწარმოებლები, რომლებსაც აღარ აკმაყოფილებთ წარმოების სტანდარტული ფორმატი; (2) რომლის ფარგლებშიც მიღწეულია პრინციპი „სწავლა პრაქტიკის მეშვეობით“; (3) რომელიც უზრუნველყოფს ხელოვნების, მეცნიერებისა და საინჟინრო მიმართულებების დაკავშირებას და (4) ინდივიდების გაძლიერებას, ობიექტების ავტომატიზაციას. ინდივიდებს სთავაზობს თავისუფ-

ლად ჩაერთონ კვლევით პროცესებში და განივითარონ კვლევითი უნარები (Isabelle Liotard 2017). სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია მცირე მასშტაბის სასწავლო და სამრეწველო სივრცეა, სადაც ექსპერტები დაინტერესებულ პირებს ეხმარებიან ისწავლონ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. ტექნოლოგიებში მსხვილი ინვესტიციების განხორციელების გარეშე შესაძლებელია გამოცდილების მიღება, პროტოტიპის შექმნა და მისი გატესტვა მცირე მასშტაბებში. ფაბ ლაბი მოიცავს ფაბაკადემიას, რომელიც აერთიანებს: სწავლების პროგრამას – ციფრული წარმოების ინსტრუმენტებითა და ტექნოლოგიით პროტოტიპის ან პროდუქტის შექმნის შესახებ; სტუდენტების ინდივიდუალური პროექტების ხელმძღვანელობას; საერთაშორისო ლექციებს (Verket FabLab 2016). სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიამ უნდა უზრუნველყოს ტექნოლოგიებთან, ციფრულ მექანიზმებთან წვდომა ცოდნის, ინოვაციისა და გამოგონების შექმნისთვის (Isabelle Liotard 2017).

საგანმანათლებლო ფაბ ლაბისგან განსხვავებით ასევე ვხვდებით: 1. კერძო ბიზნეს ფაბ ლაბებს, რომლებიც კომპანიის ინტერესებს უჭერენ მხარს. ამ ტიპის ფაბ ლაბი კომპანიის დასაქმებულთა ცოდნას და გამოცდილებას ეყრდნობა. 2. ფართო საზოგადოებრივი/სამოყვარულო ფაბ ლაბებს. მათ გვერდით დგას: მთავრობა, ადგილობრივი ორგანოები ან /და კერძო ფინანსისტები. ისინი არ მდებარეობენ უნივერსიტეტებში და კომპანიებში. ღია არიან საზოგადოებისთვის. შესაძლებელია მათ მიერ შემოთავაზებული სერვისები იყოს უფასო ან ფასიანი, ჰიბრიდული ეკონომიკური მოდელის მიხედვით (University of BRISTOL 2018).

### **უცხოური გამოცდილება: ფაბლაბ ოულუ**

წინამდებარე კვლევის ინტერესის ობიექტია უნივერსიტეტის ბაზაზე ფორმირებული ფაბ ლაბი. განვიხილოთ მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია – ფინეთის ოულუს უნივერსიტეტის ფაბ ლაბ ოულუს სახით, რომელიც ღია ინოვაციის კონცეფციას შეესაბამება. კონცეფცია შემუშავებულია მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მიერ. ფაბლაბი დაფუძნდა ოულუს უნივერსიტეტის ბაზაზე და თანხვედრაში მოდის უნივერსიტეტის მისიასთან. რომელიც განსაზღვრულია კანონით უნივერსიტეტების შესახებ, კერძოდ: უფასო კვლევითი, აკადემიური და სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, კვლევაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების პროგრამით უზრუნველყოფა და სტუდენტების სწავლება, რათა მოემსახურონ ქვეყანას სამომავლოდ. უნივერსიტეტს აქვს უფლება განხორციელოს ბიზნეს აქტივობები, რათა მიღწეულ იქნას კანონით გაცხადებული მისია (Ministry of Education and Culture 2009).

ფაბ ლაბის მთავარი სამიზნე აუდიტორია უნივერსიტეტის საზოგადოებაა, თუმცა ამავდროულად ღიაა მათთვისაც ვინც უნივერსიტეტის მიღმა საქმიანობს. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს ადგილობრივ კომპანიებთან და სკოლებთან ძლიერი თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ნებისმიერ მსურველს შეუძლია შექმნას საკუთარი პროტოტიპი ან დაიკმაყოფილოს საკუთარი საჭიროებები კვლევითი და საგანმანათლებლო პროექტების საშუალებით. ლაბორატორია უზრუნველყოფს მოწინავე ტექნოლოგიებზე წვდომას. დანადგარების გამოყენებამდე აუცილებელია წინასწარ მათი დაჯავშნა. გარდა ამისა ფაბ ლაბი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ინსტრუქციას თუ როგორ უნდა მოხდეს კონკრეტული დანადგარის სწორი და ეფექტური გამოყენება (University of Oulu, Fab Lab Oulu n.d.).

აუდიტორიას მუდმივად სთავაზობს ციფრულ წარმოებასთან დაკავშირებულ კურსებს, ვორქშოფებს, საჯარო ღონისძიებებსა თუ პროექტებს. საგანმანათლებლო

პორტფელი აერთიანებს შემდეგ მიმართულებებს, როგორცაა: 1. ფაბ აკადემია, რომელიც წარმოადგენს 6 თვიან საერთაშორისო ღია პროგრამას ყველასთვის. რომელიც ასწავლის ციფრული წარმოების პრინციპებს პრაქტიკული მიდგომის გამოყენებით. პროგრამა მოიცავს: პროექტის მართვას; 2D და 3D დიზაინს; ელექტრონიკის დიზაინსა და წარმოებას; 3D ბეჭდვას, ლაზერულ ჭრას და ჩაშენებულ პროგრამირებას. მსოფლიოს მასშტაბით 80-ზე მეტი ფაბ ლაბი იღებს მონაწილეობას ფაბ აკადემიაში. იმართება ნილ გერშენფელდის მიერ და ადგილობრივ დონეზე მხარდაჭერილია ფაბ ლაბის ინსტრუქტორების მიერ. იმისთვის რომ ფაბ აკადემია დასრულებულად ჩაითვალოს აკადემიის დასკვნით ფაბზე სტუდენტი საბოლოო პროექტს ამზადებს. პროექტი იმ უნარებისა და ცოდნის გამოვლენას უწყობს ხელს, რომელიც სტუდენტმა გამოიმუშავა და შეიძინა აკადემიაში სწავლის განმავლობაში. ფაბ აკადემია არის ფასიანი თუმცა ოულუს უნივერსიტეტის ზოგიერთი ფაკულტეტი სტუდენტებს სტიპენდიებს სთავაზობს, რამაც შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად დაფაროს აკადემიაში სწავლის საფასური (University of Oulu n.d.).

2. სპეციალური საუნივერსიტეტო კურსები (განსზღვრული კრედიტებით) საინფორმაციო ტექნოლოგიისა და ელექტრული ინჟინერიის; ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტებისგან: 1. ციფრული წარმოების პრინციპები – ეს არის შესავალი კურსი ფაბლაბის მთავარი პროცესების შესახებ, რომელიც ღია ნებისმიერი უნივერსიტეტის სტუდენტისთვის. 2. ფაბლაბის პროექტების მართვა – შესავალი კურსი, სადაც ისწავლება ფაბლაბის ძირითადი პროცესები. ასევე ის თუ როგორ უნდა წარმოვადგინოთ პროექტი. 3. ფაბლაბის ელექტრონიკა – ეს კურსი ასწავლის სტუდენტებს, თუ როგორ უნდა შეიმუშაონ და შექმნან სხვადასხვა ტიპის სქემები ლაბორატორიაში და როგორ დააკავშირონ სენსორები და აქტივატორები მიკროსქემის დაფაში. 4. ფაბლაბის პროექტის პროგრამირება – სტუდენტები სწავლობენ როგორ დაუკავშირდნენ სხვა მოწყობილობებს და როგორ წარმოაჩინონ ინფორმაცია სხვა მოწყობილობებში. 5. ფაბლაბის ციფრული წარმოება – ეს კურსი ასწავლის სტუდენტებს, თუ როგორ გამოიყენონ ფაბ ლაბის სხვადასხვა აღჭურვილობა და პროცესები, მათ შორის 3D პრინტერი, CNC რობოტერი და CNC დანადგარები. 6. ფაბლაბის საპროექტო სამუშაო – ამ კურსის განმავლობაში სტუდენტებმა ორი განსხვავებული პროექტი (ერთი ჯგუფური და ერთი ინდივიდუალური) უნდა განავითარონ. ამ მიზნით მათ უნდა გააერთიანონ ცოდნა, რომელიც მიიღეს ფაბლაბის კურსებიდან (University of Oulu, Education and projects at Fab Lab Oulu n.d.).

3. სხვადასხვა ვორქშოფები (სემინარი) სკოლებისთვის, მაგ: სემინარი ჭკვიანი ნივთების ინტერნეტზე, მის ფარგლებში მონაწილეები ქმნიან მარტივ სისტემას, რომელიც კონტროლირდება მობილური მოწყობილობის საშუალებით (ხორციელდება სინათლის კონტროლი, ტემპერატურის დადგენა და ა.შ.). ლაბორატორიის ფარგლებში შექმნილია მობილური ფაბ ლაბი, რომელიც სტუმრობს სკოლებს ოულუსში და ფინეთის სხვადასხვა რეგიონში. მობილური ფაბ ლაბი მოიცავს რამდენიმე დანადგარს და ციფრული წარმოების აღჭურვილობას, რომლის მიტანაც ხდება ადგილზე და გაცნობა მოსწავლეებისთვის. მისი დაჯგავმნა სკოლებისთვის არის უფასო (University of Oulu, School collaboration n.d.). ასევე ლაბორატორია 2018 წლიდან ჩართულია STEAM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, ხელოვნება და მათემატიკა) ოულუს ქსელში, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ფაბ ლაბს, უნივერსიტეტებსა და სკოლებს. განათლების ეროვნული სააგენტოს მიერ იქნა დაფინანსებული ქსელის ფორმირება. ხორციელდება მასწავლებლებისა და მოსწავ-

ლევების გადამზადება ციფრული საწარმოო პროცესების მიმართულებით. ქსელში ჩართული სკოლებისთვის სალექციო კურსები არის ფასიანი და დამოკიდებულია სკოლის მოსწავლეთა რაოდენობაზე (STEAM in OULU 2018).

ფაბ ლაბის ფარგლებში განვითარებული პროტოტიპების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ გვერდზე და შესაძლებელია გაეცნოს ყველა დაინტერესებული პირი. ამასთან ინფორმაცია აერთიანებს გამომგონებლის მონაცემებსა და პროტოტიპის შესაქმნელად განვლილი პროცესის შესახებ დოკუმენტებს.

რადგან ფაბ ლაბი შექმნილია უნივერსიტეტის ბაზაზე, იგი იყენებს ოულუს უნივერსიტეტის რესურსებს, მათ შორის ფინანსურ რესურსს. თავად უნივერსიტეტის წლიური ბიუჯეტის ფორმირება დამოკიდებულია განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ უნივერსიტეტებისთვის გამოყოფილ ძირითად დაფინანსებაზე. უნივერსიტეტების კანონის მიხედვით, სამინისტრო ანიჭებს საბაზისო დაფინანსებას უნივერსიტეტებს საქმიანობის, ხარისხისა და ეფექტურობის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პოლიტიკის (მათ შორის ეროვნული მისიები) მიზნების საფუძველზე. ძირითადი დაფინანსების გარდა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები იღებენ გარე დაფინანსებას, რომელშიც უმნიშვნელოვანესი ადგილი დონაციას უჭირავს. უნივერსიტეტები თავად წყვეტენ დაფინანსების შიდა განაწილებას დამოუკიდებლად, მათი სტრატეგიული არჩევანის საფუძველზე.

ოულუს უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს საინვესტიციო საქმიანობას, რომლის მიზანი გრძელვადიან პერსპექტივაში არის პროდუქტიული და დამცავი ინვესტიციის განხორციელება, რომელიც შესაბამის დაბრუნებებს და რისკის მისაღებ დონეს უზრუნველყოფს. ოულუს უნივერსიტეტი პასუხისმგებელი ინვესტორია და მოითხოვს თავისი ფინანსური პარტნიორებისგან ხელი მოაწერონ გაეროს პრინციპებს საპასუხისმგებლო ინვესტიციების შესახებ. ეს პრინციპები ხელს უწყობს გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორატიული მმართველობის ფაქტორების გათვალისწინებას საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების დროს (University of Oulu, University finance n.d.).

ფაბ ლაბის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფინანსებზე. ლაბორატორიისთვის ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს ფინანსების, ადამიანური რესურსისა და აღჭურვილობის მართვა. ფონდების ტიპები მოცემულია ცხრილში I.

<b>ცხრილი I. ფონდის ტიპები</b>	
მომხმარებლის მიერ დაფინანსებული	მომსახურების გადასახადი, საწევრო გადასახადი, სწავლების გადასახადი
ბიზნესის მიერ დაფინანსებული	ბიზნესის მიერ გაღებული ფონდები
კერძო დაფინანსება	კერძო ორგანიზაციების მიერ გაწეული დონაცია
საჯარო დაფინანსება	საუნივერსიტეტო დაფინანსება, მთავარი მიზნით სწავლება, სტარტაპთა ინკუბაცია და ტექნოლოგიების მხარდაჭერა
საგრანტო დაფინანსება	სახელმწიფო თუ კერძო გრანტების მიღება
ქველმოქმედება	შემოწირულობები

წყარო: (Jeremy , Chen and Alcudia 2018)

განხილულ მაგალითზე დაყრდნობით ფაბ ლაბი იყენებს, უნივერსიტეტის რესურსს (სტიპენდია სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ ფაბ აკადემიაში სწავლა; უნივერსიტეტის ფაკულტეტებში შექმნილი სპეციალური კურსები; უფასო მობილური ფაბ ლაბი სკოლებისთვის), ასევე საზოგადოებას სთავაზობს ფასიან მომსახურებას (როდესაც ფაბ ლაბის აღჭურვილობა გამოიყენება არა პროტოტიპირებისთვის, არამედ წარმოებისა და რეალიზაციისთვის). იყენებს გარე ფონდებსაც, როგორცაა ევროპის სოციალური ფონდები. მათი საშუალებით ახორციელებს პროექტს „ცვლილებებისთვის“ . პროექტი არის სამწლიანი და დასაქმების დონის ზრდას ემსახურება. მიმართულია მოქალაქეების ციფრული უნარების გაუმჯობესებისკენ, რომლებიც ადგილობრივი ინდუსტრიის მოთხოვნებთან მოდის შესაბამისობაში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილ ვორქშოფებს აორგანიზებს ხუთი უნივერსიტეტის ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ციფრული წარმოების მიმართულებით სხვადასხვა გამოცდილებას ერთიანებს (ESF and Oulu n.d.).

ფაბ ლაბის ზოგადი ბიუჯეტი მოიცავს: ქირისა და ინტერნეტთან წვდომის ხარჯებს; კომუნალურ გადასახადებს; ადმინისტრაციულ ხარჯებს, რომელიც აერთიანებს – საფოსტო მომსახურებას, ოფისის აღჭურვილობასა და მასალებს, მგზავრობის ხარჯებს (ადგილობრივი, საერთაშორისო), ვორქშოფებისა და ტრენინგების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე რეკლამირებას, დაზღვევასა და ბეჭდვის ხარჯებს; რა თქმა უნდა მოიცავს ფაბ ლაბში დასაქმებულთა სახელფასო ანაზღაურებას (ლაბორატორიის მენეჯერი, ქსელის ადმინისტრატორი); ფაბ ლაბში არსებული აღჭურვილობებისთვის საჭირო მასალების შეძენისა და ცვეთასთან დაკავშირებულ ხარჯებს; საკანცელარიო და სატრენინგო მასალების მომზადების ხარჯებს; მანქანა-დანადგარების შეძენისა და პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯებს.

ფაბ ლაბ ოულუს არ გააჩნია დამოუკიდებელი ანგარიში. ლაბორატორიის მიერ გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი ირიცხება უნივერსიტეტის ანგარიშზე. ფაბ ლაბის მიერ გამომუშავებული შემოსავლები გაითვალისწინება მის ბიუჯეტში, რომელიც ემსახურება არა მხოლოდ ფაბ ლაბში დასაქმებული პირების შრომით ანაზღაურებას არამედ მის ფარგლებში განხორციელებულ პროგრამებთან, პროექტებთან და არა მხოლოდ დაკავშირებულ ხარჯებს. ლაბორატორიის ბიუჯეტის დიდი ნაწილი უნივერსიტეტის ფინანსურ რესურსზე დაყრდნობით დგება.

როგორც ზევით უკვე ვახსენეთ ფაბ ლაბში შექმნილი პროტოტიპის ან/და პროდუქტის დაცვასა და გაყიდვაზე გადაწყვეტილებას იღებს თავად გამომგონებელი. ხოლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ პროცესებს უნივერსიტეტში არსებული ინოვაციების ცენტრი უზრუნველყოფს. მისი მიზანია კვლევითი შედეგების კომერციალიზაცია, ინდივიდუალური საკუთრების უფლებების დაცვა, ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბება, ფაკულტეტებსა და ბიზნეს სექტორს შორის კავშირების გაძლიერება. ცენტრის აქტივობების შედეგები მოცემულია ცხრილში 2.

ცხრილი II: უნივერსიტეტის აქტივობები

წლები	2017	2018	2019	2020	2021
გამომგონების გამჟღავნება	47	35	61	33	46
პრიორიტეტული საპატენტო განაცხადები	9	6	6	10	10
უნივერსიტეტის საპატენტო პორტფელი	30	35	37	39	45

ტექნოლოგიების გადაცემის ხელშეკრუ- ლებები	19	13	17	24	13
ახალი კვლევაზე დაფუძნებული კომპა- ნიები	3	3	3	2	3
კონცეფციის დამადასტურებელი (PoC) პროექტები <sup>26</sup>	12	9	11	15	17

წყარო: ოულუს უნივერსიტეტის წლიური ანგარიში 2021

საინოვაციო ცენტრის ამგვარი წარმატებული ფუნქციონირება მნიშვნელოვ-  
ნად არის დამოკიდებული სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამ-  
შრომლობით ურთიერთობებზე. გლობალური ინოვაციების ინდექსი 2021–ზე დაყ-  
რდნობით ფინეთის შედეგები უნივერსიტეტი–ინდუსტრიის თანამშრომლობა  
კვლევისა და განვითარების მიმართულებით საკმაოდ მაღალია და 154 ქვეყანას შო-  
რის მესამე ადგილს იკავებს, ასევე მაღალი შედეგით გამოირჩევა ისეთი მაჩვენ-  
ებლის მიხედვით, როგორცაა ბიზნესის დანახარჯები კვლევისა და განვითარების  
მიმართულებით (პირველი ადგილი), რაც მიუთითებს იმაზე რომ კომერციული  
სექტორი აქტიურად ერთვება სამეცნიერო, ტექნოლოგიური და ინოვაციური პრო-  
დუქტების, მომსახურების ან/და სამეწარმეო პროცესის შექმნის ყველა ფაზაში  
დაწყებული საბაზისო კვლევებიდან დამთავრებული ექსპერიმენტული განვი-  
თარებით (UNDP 2021).

**საქართველოს გამოცდილება: კვლევის ძირითადი შედეგები**

(ვაზლაზ-თსუ, ტექნიკური უნივერსიტეტის ვაზლაზი, ვაზლაზ – აწსუ, გლდანის  
პროფესიული მომზადების ცენტრი ვაზლაზი)

2015 წელს მერიის მხარდაჭერით საქართველოს უნივერსიტეტებში ინო-  
ვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს საგრანტო კონკურსის საფუძველზე ვაზ-  
ლაზების გახსნის პროცესი დაიწყო. დღეს საქართველოში 25-მდე სამრეწველო ინო-  
ვაციების ლაბორატორიას ვხვდებით. ვაზლაზის მასპინძელი ორგანიზაციები არიან:  
უნივერსიტეტები, პროფესიული სასწავლებლები და ინოვაციებისა და ტექნოლო-  
გიების სააგენტო. წინამდებარე კვლევის პროცესში ჩაერთო სამი უმაღლესი სას-  
წავლებელი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-  
ტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი და აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნი-  
ვერსიტეტი. ასევე სსიპ კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“.  
კვლევის კითხვაში აქცენტი გაკეთდა სამ ძირითად მიმართულებაზე: ბიუჯეტი;  
ვაზლაზის გუნდი და პროექტები. კვლევაში მონაწილე ვაზლაზები უმეტესწილად  
უნივერსიტეტის ფონდებზე არიან დამოკიდებული. ვაზლაზები სხვადასხვა პრო-  
ექტებში ერთვებიან, რომლის ფარგლებშიც განხორციელებული ტრენინგები ან/და  
აქსელერაციის პროგრამები უნივერსიტეტისგან დამოუკიდებელი ბიუჯეტით ხორ-  
ციელდება. ლაბორატორიები ცდილობენ ადგილობრივ და საერთაშორისო სივრ-  
ცეში ცნობადობის ზრდას და თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას  
ერთობლივი მასტერკლასების, ტრენინგების, პროექტების, პროგრამებისა და

<sup>26</sup> კონცეფციის დადასტურება (PoC) არის პროდუქტის/პროცესის/კონცეფციის თეორიული დემონსტრირება. ძირითადად განსაზღვრავს, შეიძლება თუ არა იდეა რეალობად იქცეს.



სამუშაო შეხვედრების განხორციელების გზით. თუმცა აქტივობები უმეტესწილად ერთჯერად ხასიათს ატარებს და ფაბლაზში აღარ მეორდება.

ამ კუთხით საინტერესოა ტექნიკური უნივერსიტეტის ფაბ ლაბსა და ოჰაიოს ცინცინატიის უნივერსიტეტის მაგისტრის, ამერიკელი არქიტექტორის ერთობლივი მასტერკლასი „ფენომენოლოგია არქიტექტურაში; ფილოსოფია და დიზაინი“; მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტების მიერ განხორციელებული 3 კვირიანი ტრენინგი; სკოლებისთვის შექმნილი ერთი პროექტი ფაბ ლაბთან; სტუდენტური მეწარმეობის პროგრამა; ასევე „5 ინსტალაციის“ პროექტი (ერთ-ერთი ინსტალაცია გამოყენებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის „ტელესკოლის“ გაკვეთილში); პროექტი „აღმოაჩინე ევროპა“ და ა.შ. ტექნიკური უნივერსიტეტის ფაბ ლაბისგან განსხვავებით ფაბლაზ თსუ-ს პროექტებიდან უმეტესობა ყოველწლიურად იმართება, მათ შორისაა: ვიდეო-ფიჩ კონკურსი Big idea Challenge, რომელიც ბრიტანეთის საბჭოსა და ლონდონის მეტროპოლიტენ უნივერსიტეტის მიერ არის მხარდაჭერილი; პროექტი Creative Spark – ბრიტანეთის საბჭოსა და ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაციის (WIPO-ს) მიერ შემოთავაზებული სასერტიფიკატო ონლაინ კურსი ინტელექტუალურ საკუთრებაზე; JET29 – ფაბ ლაბის, ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის პრე-აქსელერაციის ერთობლივი პროგრამა, რომლის მხარდამჭერია ბრიტანეთის საბჭო და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, პარტნიორი ორგანიზაცია – საქართველოს ბანკი; დიზაინი გრადუესებში – მხარდაჭერილია მეწარმეთა ჰაბისა და ბრიტანეთის საბჭოს მიერ; ტექნოლოგიების გადაცემის დღე. ფაბ ლაბ თსუ აქტიურად მუშაობს ამავე უნივერსიტეტში მოქმედ ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრთან, რომელსაც აქვს უნარი ჩამოაყალიბოს ძლიერი კავშირ-ურთიერთობები ბიზნეს სექტორთან. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს iTeams პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სამი სტარტაპი სამ სტუდენტურ გუნდს წარუდგენს სამ რეალურ ბიზნეს გამოწვევას. მათ გადაწყვეტაზე სტუდენტები მენტორებთან ერთად იმუშავებენ. აღნიშნული პროექტის მხარდამჭერია ბრიტანეთის საბჭო, ინგლისის ესექსის უნივერსიტეტთან ერთად. გარდა ამისა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ერთეულების, მეცნიერების, მკვლევარების, კვლევებისა და პროექტების შესახებ ერთიანი ბაზა არის ფორმირებული. ბაზა შეიქმნა „Experts.ai for Georgia“ პროექტის ფარგლებში, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. თსუ ფაბ ლაბის აქტივობების შესწავლამ ცხადყო, რომ ლაბორატორია აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რაც სექტორთა შორის კავშირების გაძლიერებას უწყობს ხელს და პროგრამების წარმატებით განხორციელებას განაპირობებს.

კვლევაში მონაწილე აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტის ფაბ ლაბის აქტივობები საწყის ეტაპზე მოიცავდა პროგრამებს, რომლებიც მიმართული იყო: ლაბორატორიის მუშაობის პრინციპების ახსნაზე (პროგრამა „როგორ მუშაობს ფაბ ლაბი“ 2015); მოსწავლეებისთვის ლაბორატორიის სივრცის წარდგენასა და მათი საინოვაციო პროცესებში ჩართვაზე (მაგ. სასკოლო ჰაკათონი 2015–2017 წლებში). შემდგომ წლებში ფაბ ლაბი მასპინძლობს საერთაშორისო სივრციდან სტუმრებს, მათ შორის სამხრეთ კორეის უნივერსიტეტის დელეგაციას. ფაბ ლაბში განხორციელებული ვორქშოპები უმეტესწილად მხარდაჭერილია ბრიტანეთის საბჭოს, DAAD-ის, GITA-ს, კლასტერისა და ინოვაციური განათლების ფონდის (IEE)

მიერ. საყურადღებოა 2020 წელს ბრიტანეთის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელებული ონლაინ ჰაკათონი; ქუთაისში GITA-სა და VREX-ის მიერ ორგანიზებული პრე-აქსელერაციის პროგრამა. 2022 წლის პროექტი “ახალგაზრდა ტექნოლოგიური კლუბების ქსელი“, რომელიც განხორციელდა ევროკავშირი საქართველოსთვის, GITA-ს, IEF-ს დაფინანსებითა და მხარდაჭერით; 3D დიზაინის ვორქშოპი მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის, რომელიც DAAD-ის მიერ არის მხარდაჭერილი და ა.შ.

რაც შეეხება სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ფარგლებში არსებულ სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიას მისი აქტივობები მეტად შეზღუდულია. 2021 წლიდან ფაბლაბის კოორდინატორის შტატაგარეშე პოზიცია თავისუფალია და ლაბორატორია მუშაობს ინდუსტრიული დიზაინის შესრულების სტუდენტების პრაქტიკული სამუშაოებისათვის, რასაც ხელმძღვანელობს ინდუსტრიული დიზაინის შესრულების პროფესიული განათლების მასწავლებელი.

სამიზნე ფაბ ლაბების კვლევამ ცხადყო, რომ აუცილებელია თანამშრომლობითი ურთიერთობების გაძლიერება მასპინძელი უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან ერთობლივი ლექცია-სემინარების ფორმირების საფუძველზე, ისევე როგორც კომერციულ სექტორთან პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ერთობლივი პროექტების შეთავაზებით (მაგ. iTeams პროგრამა) და სკოლებთან სასწავლო პროცესის ვიზუალიზაციის უზრუნველყოფი პროექტების განხორციელებით (მაგ. ტექნიკური უნივერსიტეტის ფაბლაბის ფარგლებში მომზადებული ინსტალაცია გამოყენებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის „ტელესკოლის“ გაკვეთილებში). სექტორებს შორის სუსტ კავშირ-ურთიერთობებზე ასევე ყურადღებას ამახვილებს გლობალური ინოვაციების ინდექსი 2021, რომელზე დაყრდნობითაც საქართველო უნივერსიტეტი-ინდუსტრიის თანამშრომლობის მიხედვით 154 ქვეყანას შორის 73-ე ადგილს იკავებს (UNDP 2021).

პრობლემა, რომელზეც კვლევის პროცესში ფაბ ლაბის წარმომადგენლებმა გაამახვილეს ყურადღება უკავშირდება დანადგარების გამოყენებას. აღინიშნა, რომ ის პირები რომლებიც დაინტერესებული არიან ფაბ ლაბის ტექნოლოგიით არ აქვთ შესაბამისი ცოდნა მათი გამოყენების შესახებ. ნიმუშის შექმნისა და დანადგარით სარგებლობისთვის საჭირო ხდება შესაბამისი პროგრამული ფაილის მომზადება, რაც მოითხოვს ამ პროცესებში სპეციფიკური ფასიანი პროგრამების გამოყენებასა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის ჩართვას. ამისთვის საჭიროა გარეშე პირის მომსახურების მიღება, რომელიც ასევე ხარჯებთან არის დაკავშირებული და არ არის ჩართული იმ ბიუჯეტში რომელიც ფაბ ლაბისთვის არის განსაზღვრული. დანადგარების გამოყენების პრობლემას მარტივი გადაწყვეტა მოუძებნა ოულუს უნივერსიტეტის ლაბორატორიამ. ფაბ ლაბის გვერდზე განთავსებულია მანქანა-დანადგარების გამოყენების ინსტრუქცია. გარდა ამისა შემოთავაზებულია სასწავლო კურსები, რომლებშიც უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტი არის ჩართული. კურსები უზრუნველყოფენ სტუდენტების სწავლებას: ფაბ ლაბის მთავარი და ძირითადი პროცესების, აღჭურვილობის გამოყენების; სქემების შექმნის შესახებ.

ფაბ ლაბის ფარგლებში შექმნილი პროტოტიპების ან/და პროდუქციის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტების ფაბ ლაბების ოფიციალურ ფეისბუქ გვერდებზე. თუმცა სოციალური ქსელის საშუალებით მეტად რთულდება წარსულში განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციის მიღება. ფაბ ლაბ

ოულუს გამოცდილების შესწავლამ ცხადყო, რომ მნიშვნელოვანია არსებობდეს ლაბორატორიაში შექმნილი პროტოტიპისთვის შესაბამისი სივრცე საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება პროტოტიპის განვითარებისა და მისი გამომგონებლის შესახებ მიიღოს ინფორმაცია. პრობლემა რომელიც დასახელებულ იქნა კვლევის პროცესში უკავშირდება შექმნილი პროტოტიპების შემდგომ რეალიზებას და პლაგიატს. ამ კუთხით უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 10 უნივერსიტეტებს აძლევს საშუალებას განახორციელოს: 1. საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზება; 2. სამეცნიერო-კვლევითი და ლაბორატორიული საქმიანობის პროცესში შექმნილი პროდუქციის (გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის) წარმოება და რეალიზება; 3. დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ბოლო განახლება 2022). თსუ-ში შექმნილია ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი რომელიც უნივერსიტეტის ბაზაზე კანონით განსაზღვრული უფლებების შესრულებას უზრუნველყოფს. ცენტრისა და ფაბ ლაბის ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება ცოდნის გადაცემა: ტრენინგებისა და ლექცია-სემინარების საშუალებით, სამეწარმეო იდეების სტიმულირებით და უნივერსიტეტი-ინდუსტრიის კავშირების გაძლიერებით. ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი, თუმცა დეპარტამენტსა და ფაბლაბს შორის თანამშრომლობით ურთიერთობებს ვერ ვხედავთ. რაც შეეხება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, აქ კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრი ფუნქციონირებს. ლაბორატორიაში შექმნილი პროტოტიპის, რომელსაც აქვს უნარი გავიდეს ბაზარზე, დაკავშირება ფაბ ლაბის თანამშრომლების ძალისხმევით ხორციელდება. აქ არ იკვეთება ამ და სხვა კუთხით კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების ცენტრთან თანამშრომლობითი კავშირები. არ არის წარმოდგენილი ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი, რომელიც იზრუნებდა ფაბ ლაბში შექმნილი პროტოტიპების შემდგომ განვითარებაზე.

უნივერსიტეტის ფარგლებში შექმნილ ფაბ ლაბს დამოუკიდებელი ბიუჯეტი არ აქვს, უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი ფინანსები უმეტეს ფაბლაბში მხოლოდ დასაქმებული თანამშრომლების ანაზღაურებას უზრუნველყოფს. რადგან ფაბლაბს არ აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, ასევე არ გააჩნია დამუკიდებელი ანგარიში, რომელზეც დაირიცხება ფაბ ლაბის მიერ გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები. ამდენად გამოიყენება უნივერსიტეტის ანგარიში. ზოგიერთი ფაბ ლაბის შემთხვევაში ადგილზევე არის საკასო აპარატი განთავსებული, რომელიც ამარტივებს ფაბ ლაბის მომსახურების საფასურის გადახდას. თუმცა უმეტესწილად საჭირო ხდება მომსახურების მიღებისთვის ხელშეკრულების გაფორმება და ინვოისის მომზადება, რაც წარმოქმნის ბიუროკრატიულ პროცესებს და ართულებს ფაბ ლაბთან მუშაობის შესაძლებლობას. მომსახურება ფასიანია იმ პირებისთვის, რომლებიც არ არიან დაკავშირებული უნივერსიტეტთან ან/და იყენებენ ფაბ ლაბს სამეწარმეო მიზნებისთვის.

კვლევაში მონაწილე ლაბორატორიის გარკვეული ნაწილის მიერ გაწეული მომსახურება ფაბლაბის მასპინძელი უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის უფასოა. ხოლო იმ ფიზიკური თუ იურიდიული პირისთვის, რომელიც უნივერსიტეტთან არ არის დაკავშირებული მისთვის ფასიანი. თუმცა კვლევის შედეგად გამოვლინდა ის ფაბ ლაბიც სადაც მანქანა-დანადგარების გამოყენებისთვის სპეციალური სტუდენტური ტარიფები მოქმედებს, რომელიც ვრცელდება მასპინძელი უნივერსიტეტის

სტუდენტზე. რაც შეეხება ფაბ ლაბის პერსონალს (მის მიერ გაწეული მომსახურება არის უფასო), თავისი კომპეტენციის ფარგლებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს იდეის განვითარებასა და მის პროტოტიპად ქცევის პროცესში.

### დასკვნები და რეკომენდაციები

1. ფაბლაბსა და უნივერსიტეტს შორის კავშირები სუსტია. ერთობლივი სასწავლო კურსების ფორმირება მნიშვნელოვანია ფაბლაბის მთავარი და ძირითადი პროცესების, აღჭურვილობის გამოყენების; სქემების, პროტოტიპების შექმნის შესახებ ცოდნის გადაცემისთვის. რაც ხელს შეუწყობს კვლევისა და განვითარების მიმართულებით სტუდენტების გააქტიურებას.
2. იმ ფიზიკური თუ იურიდიული პირებისთვის, რომლებიც დაკავშირებული არ არიან უნივერსიტეტთან, მნიშვნელოვანია ფაბლაბში არსებული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ შესაბამისი პროგრამების ფორმირება ან თუნდაც ვიდეო ინსტრუქციების მომზადება.
3. ფაბლაბის ფარგლებში განხორციელებული ერთჯერადი პროგრამები. რადგან ფაბ ლაბის ძირითადი მიზანი და მიმართულებაა უნივერსიტეტის სტუდენტების, ასევე იმ ფიზიკური და იურიდიული პირების, რომლებიც უნივერსიტეტთან არ არიან დაკავშირებული, იდეების განხორციელებაში მხარდაჭერა, მნიშვნელოვანი ხდება ფაბ ლაბის ფარგლებში ორგანიზებული ვორქშოპების, ტრენინგებისა და გრძელვადიანი პროგრამების ორგანიზება. აღნიშნული მათი უნარების განვითარებას და იდეების პროტოტიპებად გარდაქმნის შესაძლებლობას უწყობს ხელს.
4. ფაბლაბის შეზღუდული ბიუჯეტი, რომელიც უმეტესწილად ლაბორატორიის პერსონალის ხელფასების ანაზღაურებას უზრუნველყოფს. ბიუჯეტი ასევე უნდა მოიცავდეს: 1. გაუთვალისწინებელ ხარჯებს. მაგ. პროტოტიპის შექმნის პროცესში იმ გარეშე პირის ჩართვას, რომლის გამოცდილებაც და უნარებიც უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას და ვერ მოიძებნა უნივერსიტეტის ფარგლებში. 2. ვორქშოპებისა და ტრენინგების ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს; 3. ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ფაბ ლაბის წარმომადგენლების მგზავრობის ხარჯებს, რაც ემსახურება ლაბორატორიასთან თანამშრომლობითი ურთიერთობების გაძლიერებას.
5. ცოდნის ან/და ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრთან ფაბ ლაბის სუსტი კავშირები. მნიშვნელოვანია ერთობლივი პროექტებისა თუ პროგრამების საშუალებით სამეწარმეო იდეების განხილვა და ლაბორატორია-ინდუსტრიის კავშირების გაძლიერება. თუნდაც პროტოტიპის შემქმნელის დაკავშირება კომერციულ სექტორთან და მიღებული პროდუქტის რეალიზება.
6. ლაბორატორიაში შექმნილი პროტოტიპის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი შესაბამისი სივრცის ფორმირება, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება პროტოტიპის განვითარებისა და მისი გამომგონებლის შესახებ მიიღოს ინფორმაცია.
7. ლაბორატორიაში განვითარებული დიზაინის ან/და პროცესის შემდგომი განვითარების შესაძლებლობის ნაკლებობა. ფაბ ლაბში შექმნილი პროდუქტი შეიძლება იქნას დაცული ან გაყიდული, მის შესახებ გადაწყვეტილებას თავად გამომგონებელი იღებს. მიღებულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით პროცესების შემდგომი განვითარებისთვის უნდა ჩაერთოს ცოდნის ან/და

ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი და უზრუნველყოს გამომგონებლის მხარდაჭერას.

8. ფაბ ლაბისა და სკოლებს შორის სუსტი კავშირები. მისი გაძლიერება შესაძლებელია სკოლებთან სასწავლო პროცესის ვიზუალიზაციის უზრუნველყოფი პროექტების განხორციელებით.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- გველესიანი, რევაზ. 2015. "Intrinsic Contradictions of Entrepreneurship Development and Self-development." *International Journal of Economics and Management Engineering*, Vol:9, No:3 1007- 1010.
- ერქომაიშვილი, გულნაზ. 2016. *საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები*. თბილისი.  
<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/207987/1/SaqartvelosGanvitarebisEkonomikuriPolitikisPrioritetuliMimartulebebi.pdf>.
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ბოლო განახლება 2022. *უმადღესი განათლების შესახებ*. Accessed 10 9, 2022.  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=97>.
- ESF, and University of Oulu. n.d. *OUR INSTRUCTORS Meet Our Stuff*. Accessed 10 9, 2022. <http://make4change.fi/en/home.html#ourCourses>.
- EU. 2022. *European innovation scoreboard*.  
[https://ec.europa.eu/assets/rtd/eis/2022/ec\\_rtd\\_eis-country-profile-fi.pdf](https://ec.europa.eu/assets/rtd/eis/2022/ec_rtd_eis-country-profile-fi.pdf), EU: European Commission website.
- International Fab Lab community. 2014. *Fablabs.io About*. Accessed 11 19, 2022.  
<https://www.fablabs.io/labs/fablaboutulu>.
- Isabelle Liotard. 2017. "FabLab – a new space for commons-based peer production." *SASE conference*. Lyon: ResearchGate.  
[https://www.researchgate.net/publication/318014679\\_FabLab\\_-\\_a\\_new\\_space\\_for\\_commons-based\\_peer\\_production](https://www.researchgate.net/publication/318014679_FabLab_-_a_new_space_for_commons-based_peer_production).
- Jeremy , Brun, Eva Chen, and Monica Alcludia. 2018. *The challenges of managing a Fablab in a developing country: the Philippines*. Article, Toulouse: Fab14.
- Lekashvili, E., and M. Bitsadze. 2021. "The Role of University Spin-Offs in the Success of Research Programs." In *Progress in Education*, by Roberta V. Nata, 73-102. New York: Nova Science Publishers. <https://novapublishers.com/shop/progress-in-education-volume-68/>.
- Lekashvili, Eka, and Mariam Bitsadze. 2021. "Spin Offs Activities and Technology Commercialization Policy at European Universities." *5th International Scientific Conference "Is it time for a total reset?"*. Maribor: University of Maribor, University Press. 185-196.  
doi:<https://press.um.si/index.php/ump/catalog/book/566>.
- Ministry of Education and Culture. 2009. *UNIVERSITIES ACT*. Accessed 10 8, 2022.  
<https://karvi.fi/wp-content/uploads/2016/05/6-Universities-Act.pdf>.
- Ropin, Helmut, Anja Pflieger-Landthaler, and Irsa Wolfram. 2020. "A FabLab as integrative part of a Learning Factory." *Procedia Manufacturing* 45: 355-360.  
<https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2351978920310714>.

- STEAM in OULU. 2018. *START STEAM ACTIVITIES IN YOUR UNIT - WE HELP!*  
Accessed 10 9, 2022. <https://www.steaminoulu.fi/steam-koulutus/>.
- UNDP. 2021. *GKI*. Annually , UNDP and MBRF 2021.
- University of BRISTOL. 2018. *FABLAB Guide how to set up your lab and maximise its impact*. Great Britain, 12 18.  
[https://issuu.com/j\\_johns/docs/bu\\_fablabs\\_document\\_final/4?ff&e=35968760/66510214](https://issuu.com/j_johns/docs/bu_fablabs_document_final/4?ff&e=35968760/66510214).
- University of Oulu. n.d. *Education and projects at Fab Lab Oulu*. Accessed 10 8, 2022.  
<https://www.oulu.fi/en/university/fab-lab-oulu/education-and-projects-fab-lab-oulu>.
- Fab Academy*. Accessed 10 8, 2022. <https://www.oulu.fi/en/university/fab-lab-oulu/fab-academy>.
- Fab Lab Oulu*. Accessed 10 8, 2022. <https://www.oulu.fi/en/university/fab-lab-oulu#accordion-control-instructions-for-using-fab-lab-machines>.
- School collaboration*. Accessed 10 8, 2022. <https://www.oulu.fi/en/university/fab-lab-oulu/school-collaboration>.
- University finance*. Accessed 10 9, 2022. <https://www.oulu.fi/en/university/university-finance>.
- Verket FabLab. 2016. "unevoc.unesco.org/." *FabLab - UNESCO-UNEVOC*. Accessed 10 8, 2022. [https://unevoc.unesco.org/pub/digitalization\\_verket\\_fablab.pdf](https://unevoc.unesco.org/pub/digitalization_verket_fablab.pdf).
- World Intellectual Property Organization. 2022. *Global Innovation Index (GII)*.  
[https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo\\_pub\\_2000\\_2022/fi.pdf](https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_2000_2022/fi.pdf), Geneva, Switzerland : WIPO.

**Mariam Bitsadze**

*Doctoral student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## **DEVELOPMENT LEVEL AND CHALLENGES OF THE FABRICATION LABORATORY IN GEORGIA**

### **Expanded Summary**

The first part of the work - "Development level and challenges of the fabrication laboratory in Georgia" shows how important is fabrication laboratory for a development oriented country. The laboratory is one of the main participant of the national innovation system, which is perceived as an important tool for the creation of innovations. Special attention is paid to those fab labs, which are hosted by universities.

The laboratory stimulates technological and innovative ideas, creates an environment for transforming ideas into a prototype. In the process of idea development, fab lab provides: sharing of knowledge and technical skills, developing of human capital, creating of digital designs. It is a space where stakeholders learn how to create prototypes by using a modern technologies and test them on a small scale without making large investments.

For the existence of the fab lab, it is important to fulfill four conditions: technology and equipment; digital space; tools and procedures; membership of the global community. Fab labs include: A laser cutter; A 3D printer, A CNC (computer numerical control), electronic components and tools.

The second part of the work discusses foreign experience: through the study of Fab lab Oulu. Its main target audience is the university community, also it is available to those outside the university. The laboratory depends on the resources of the host university and uses external funds too. Its service becomes paid when the goal is not to create a prototype but to produce. The university innovation center acts in accordance with the inventor decision - protect or sell the prototype and/or product. There are courses, workshops, public events and projects related to digital production for stakeholders. The importance of the 6-month international program within the Fab Academy is shown. It helps to identify, develop and improve skills and knowledge of human capital. The faculty of the university offers students scholarships that can partially or fully cover the cost of the program.

There is an appropriate space for receiving information about the prototype which was created within the laboratory. All interested parties have the opportunity to receive information about the inventor and the idea development process.

The third part of the work shows the results of the research, which was carried out in three Georgian universities: Ivane Javakishvili Tbilisi State University, Technical University and Akaki Tsereteli State University; LEPL College "Gldani Vocational Education and Training Center".

The research questionnaire focused on three main areas: budget; team and projects. Fab labs are mostly dependent on university funds. Also, Fab labs are involved in various projects, which are carried out with a budget independent of the university. Laboratories are trying to increase awareness and establish collaborative relationships to the local and international space through the implementation of joint master classes, trainings, projects, programs and workshops. However, most of the activities have one-time nature.

In this part, attention is focused on the problematic issues that hinder the successful functioning of fab labs in Georgia. There are suggested recommendations on how to solve the problems. Most important is to strengthen the ties between Fab lab and the university through the formation of joint training courses; to Format of appropriate programs and video instructions on the use of technologies available in the laboratory to expand the possibilities of using Fab lab technology by individuals and legal entities; to Support the ideas of university students, as well as individuals and legal entities (not connected to the university) by forming trainings and long-term programs within the laboratory; to Cooperate with the knowledge and/or technology transfer center; to Provide further development of the design and/or process developed within the laboratory.

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.

ჟურნალ “ეკონომისტში” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ ვებგვერდზე:  
ekonomisti.tsu.ge

Journal “**Ekonomisti**”

Address: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103

Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: ekonomisti.tsu.ge

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი ნელი ქაფიანიძე

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor Neli Qafianidze